

K 257.965
3

ქართული
ბიბლიოთეკა



მერაბ ვარნაძე, ვახტანგ გურული

რუსეთის ეკლესიის ისტორია

III

(1901-2001)



მერაბ შარნაძე
პანტანო გურული

წიგნის აღწერა

რუსეთის ეკლესიის ისტორია

(სალექციო კურსი)

ნაწილი მეხამე

(1901-2001)


ნაკვეთი პირველი

(1901-1945)

ილია ჭავჭავაძის სახ.
ეროვნულ ბიბლიოთეკას
აკადემიკოსი

გამომცემლობა „არტანუჯი“

თბილისი 2008



25.02.2008



საქართველოს
რესპუბლიკის
ნაციონალური ბიბლიოთეკა

ნაშრომში განხილულია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები XX საუკუნის დამდეგიდან 1945 წლამდე. ნაშრომი წარმოადგენს სალექციო კურსს და განკუთვნილია სტუდენტთათვის.

(იმპრესო რედაქციის)

რედაქტორი

პროფ. გიორგი პაპუაშვილი

რეცენზენტი პროფ. დიმიტრი შველიძე

(1001-1001)

ISBN 978-99940-59-83-6 (ტომეულის)
978-99940-59-85-0 (მესამე ტომის)

© მ. ვაჩნაძე, ვ. გურული, 2008

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

296.756.1

წინასიტყვა

„რუსეთის ეკლესიის ისტორია (სალექციო კურსი). ნაწილი მეხამე. (1901-2001) ნაკვეთი პირველი (1901-1945)“ წარმოადგენს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის გაბმულ თხრობას. სალექციო კურსში გადმოცემულია შემდეგი საკითხები: ბრძოლა პატრიარქობის აღდგენისათვის XX საუკუნის დამდეგს, 1917-1918 წლების რუსეთის საეკლესიო კრება და პატრიარქობის აღდგენა, რუსეთის ეკლესია XX საუკუნის 20-30-იან წლებსა და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის წლებში (1941-1945).

პროფ. მერაბ ვაჩნაძე

პროფ. ვახტანგ გურული

8 თებერვალი, 2008 წელი.




თავი პირველი

რუსეთის ეკლესია XX საუკუნის დაშლამდე. საეკლესიო კრების წინა თათბირი

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი კონსტანტინე პობედონოსცევი რუსეთის სამი იმპერატორის – ალექსანდრე II-ის, ალექსანდრე III-ისა და ნიკოლოზ II-ის – მთავრობაში მუდმივად ინარჩუნებდა გავლენიანი კარისკაცის მდგომარეობას. კონსტანტინე პობედონოსცევი ჭკვიანი და განათლებული ადამიანი იყო, მაგრამ არც სახულიერო პირი ყოფილა და არც ეკლესიური ადამიანი. იგი სახელმწიფო მოხელე იყო და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია სახელმწიფო უწყებად წარმოედგინა. კონსტანტინე პობედონოსცევის მიზანი არა იმდენად ეკლესიის გაძლიერება იყო, რამდენადაც ეკლესიაზე სახელმწიფო კონტროლის გაძლიერება. უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი მტკიცედ იცავდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მართვის იმ პრინციპებს, რომელიც პეტრე I-ისა (1696-1725) და ეკატერინე II-ის (1762-1796) ეპოქაში ჩამოყალიბდა. სამაგიეროდ, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, შავი და თეთრი სამღვდელოება, აღარ აპირებდა დრომოჭმული მმართველობის შენარჩუნებას.

1904 წლის დეკემბრის მიწურულს პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონმა, ვადკოვსკიმ, სატახტო ქალაქს სამღვდელოების სახელით რუსეთის მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს სერგეი ვიტტესს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი. მასში ჩამოყალიბებული იყო რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში გასატარებელი რეფორმების პროექტი. მიტროპოლიტ ანტონის მოხსენებითი ბარათი განხილულ იქნა მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე. პირადად სერგეი ვიტტემ და კომიტეტმა მხარი დაუჭირა მოხსენებით ბარათში გატარებულ იდეას. განხილვის შემდეგ სერგეი ვიტტემ იმპერატორ



ნიკოლოზ II-ს მოხსენებითი ბარათი მიართვა. მასში წარმოდგენილი იყო რუსეთის ეკლესიაში გასატარებელი რეფორმების პროექტი. სერგეი ვიტტეს პროექტის წინააღმდეგ გაილაშქრა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორმა კონსტანტინე პობედონოსცევმა. სინოდის ობერ-პროკურორის აზრით, სერგეი ვიტტეს მიერ შეთავაზებული რეფორმები საფრთხეს უქმნიდა თვითმპყრობელობას (სამეფო ხელისუფლებას).

1905 წლის იანვარში რუსეთში რევოლუცია დაიწყო. ხელისუფლება იძულებით დათმობებზე წავიდა. 1905 წლის 17 აპრილს გამოქვეყნდა ნიკოლოზ II-ის მანიფესტი „**რჯულთშემწყნარებლობის თაობაზე**“. მანიფესტი რუსეთის იმპერიაში აკანონებდა რჯულთშემწყნარებლობას. აიკრძალა რელიგიური სექტების დევნა. ყველა რელიგიურ კონფესიას მიეცა საკულტო ნაგებობის მშენებლობისა და იქ მსახურების ჩატარების უფლება, ასევე რელიგიური საძმოების შექმნისა და რელიგიური ლიტერატურის გამოცემის უფლება.

საერო ხელისუფლების მითითებით რუსეთის ეკლესიის უწმიდესმა სინოდმა 1905 წლის ზაფხულში ჩაატარა საეკლესიო იერარქების (მიტროპოლიტების, არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსების) აზრის გამოკითხვა. გაირკვა, რომ საეკლესიო იერარქები აუცილებლად მიიჩნევდნენ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში ძირეული რეფორმების გატარებას.

1905 წლის იანვარში რუსეთში დაწყებულმა რევოლუციამ აუცილებელი გახადა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის განახლება. რევოლუციის პირველმა თვეებმა „ნგრევის“ ნიშნით ჩაიარა. რეფორმატორულ პერიოდს საფუძველი დაუდო იმპერატორ ნიკოლოზ II-ის 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტმა. რეფორმა შეეხო რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასაც.

1905 წლის ოქტომბერში პრემიერ-მინისტრმა სერგეი ვიტტემ ჩამოაყალიბა რუსეთის იმპერიის ახალი მთავრობა. სერგეი ვიტტეს ერთ-ერთ პირველ ღონისძიებას წარმოადგენდა რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის კონსტანტინე პობედონოსცევის გადაყენება. იმპერატორი ნიკოლოზ II ყოველგვარი მერყეობის გარეშე დაეთანხმა მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებას. უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორად დაინ-

იშნა სერგეი ვიტცეს თანამოაზრე თავადი **ა. დ. ობოლენსკი**, ახალი ობერ-პროკურორი მხარს უჭერდა საეკლესიო რეფორმას.

კონსტანტინე პობედონოსცევის გადაყენებასთან ერთად განახლდა უწმიდესი სინოდის შემადგენლობა. 1905 წლის 14 ნოემბერს ნიკოლოზ II-მ უწმიდესი სინოდის წევრები მიიღო. იმპერატორმა სინოდის წევრებთან შეხვედრაზე აღნიშნა: „მტკიცე რწმენა მაქვს იმისა, რომ მთელი სამღვდელოება, განსაკუთრებით სოფლის სამღვდელოება, გულითადად, ქრისტიანული რწმენით ეცდება თავის სამწყსოში მშვიდობის დამყარებას, ყოველი მათგანი შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.“ 1905 წლის 17 დეკემბერს ნიკოლოზ II-მ მიიღო უწმიდესი სინოდის წევრი ოთხი მიტროპოლიტი. იმპერატორმა საეკლესიო იერარქებს განუცხადა, რომ აუცილებელი იყო რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში რეფორმის გატარება. ნიკოლოზ II-მ მიტროპოლიტებს დაავალა შეძლებისდაგვარად ახლო ხანებში რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევა. საეკლესიო კრებას უნდა გადაეწყვიტა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი პრობლემები.

რევოლუციამ რუსეთის საზოგადოებაში წარმოშვა ბევრი ისეთი მოვლენა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაუკავშირდა ეკლესიას. მხედველობაში გვაქვს მონარქისტული და სხვა კონსერვატორული ძალების გააქტიურება. 1905 წლის ზაფხულში **ა. ი. დუბროვინის** ხელმძღვანელობით შეიქმნა კონსერვატორული მიმართულების ორგანიზაცია „**რუსი ხალხის კავშირი**“. 1905 წლის შემოდგომაზე **ვ. მ. პურიშკევიჩმა** შექმნა ორგანიზაცია „**მიქაელ მთავარანგელოზის კავშირი**“, რომელიც თავისი ხასიათით ასევე მონარქისტული იყო. ორივე ორგანიზაციას მოგვიანებით „**შავი რაზმი**“ ეწოდა. ორგანიზაციის მიზანს შეადგენდა რუსეთში მონარქიის უცვლელად შენარჩუნება, მონარქიის დაცვა ლიბერალური და მემარცხენე ძალების შემოტევისაგან. მისი საპატიო წევრები გახდნენ იმპერატორი **ნიკოლოზ II** და ტახტის მემკვიდრე **ალექსი**.

„რუსი ხალხის კავშირი“ და „მიქაელ მთავარანგელოზის კავშირი“ დასაყრდენს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში ეძიებდა. დიდი მცდელობის მიუხედავად, პეტერბურგის მიტროპოლიტმა, უწმიდესი სინოდის უპირველესმა წევრმა **ანტონმა (ვადოვსკიმ)** „რუსი ხალხის კავშირს“ ლოცვა-კურთხევაზე უარი უთხრა. მიტროპოლიტმა ანტონმა კავშირის ხელმძღვანელს **ა. ი. დუბროვინს**

პირდაპირ განუცხადა, რომ მის მიერ შექმნილი ორგანიზაცია ტერორისტული იყო. ა. ი. დუბროვინმა მემარჯვენე პრესაში მიტროპოლიტ ანტონის წინააღმდეგ ცილისმწამებლური კამპანია დაიწყო. სამწუხაროდ, გამოჩნდნენ ისეთი ეპისკოპოსები, რომლებიც არა მარტო „რუსი ხალხის კავშირსა“ და „მიქაელ მთავარანგელოზის კავშირში“ გაერთიანდნენ, არამედ მატერიალურადაც ეხმარებოდნენ ამ შავრაზმულ ორგანიზაციებს. „შავ რაზმს“ მფარველობდა უმაღლესი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი. „შავი რაზმის“ პოლიტიკაში ჩარევას საშიშ მოვლენად მიიჩნევდა ბევრი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე. „შავი რაზმის“ დასახასიათებლად სერგეი ვიტტე ასეთ სიტყვებს იყენებდა: „ბნელი, ველური მასა“, „პოლიტიკური არამზადები“, „მატყუარები“, „ცილისმწამელები“. სერგეი ვიტტეს თქმით, „შავი რაზმის“ ბირთვის წარმომადგენდნენ ძირძველი მემამულეები (თავადაზნაურები), რომლებიც აღიარებდნენ პრინციპს: **„ჩვენ ხალხისათვის კი არ ვარსებობთ, არამედ ხალხი არსებობს ჩვენთვის“.**

1905 წლის დასაწყისიდან მემარცხენე სოციალისტური პარტიების (სოციალ-დემოკრატების, ესერების, ანარქისტების) ათეისტური პროპაგანდის კვალობაზე, მუშათა გაფიცვებისა და გლეხთა ამბოხებების პირობებში როგორც ქალაქად, ისე სოფლად შეფერხდა ღვთისმსახურება. მასობრივი ხასიათი მიიღო ეკლესიების დარბევამ და სამღვდელოების დევნა-შევიწროვებამ. ეს იყო მეტად საშიში მოვლენა.

1905 წლის რევოლუციურმა მოვლენებმა მოშალა სასულიერო განათლების სისტემა. 1905 წლის შემოდგომისათვის დახურული იყო 18 სასულიერო სემინარია. სემინარიის მოსწავლეების ნაწილი რევოლუციურ მოძრაობაში აღმოჩნდა ჩართული.

1905 წლის შემოდგომაზე გაიფიცა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოთხივე სასულიერო აკადემია. გაფიცულები სასულიერო აკადემიებისათვის უნივერსიტეტების მსგავს ავტონომიას ითხოვდნენ.

რუსეთის სამღვდელოებაში მრავლად იყვნენ მონარქისტები. ისინი უსიტყვოდ უჭერდნენ მხარს რევოლუციის წინააღმდეგ მიმართული სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას. თავის მონარქისტული შეხედულებებით ცნობილი იყვნენ: ვოლინის არქიეპისკოპოსი ანტონი (ზრაპოვიცკი), კურსკის ეპისკოპოსი პიტირიმი (ოკნოვი), არქიმანდრიტი ვიტალი (მაქსიმენკო).



იმპერატორი ნიკოლოზ II და საეკლესიო იერარქები (მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები), ცხადია, გრძობდნენ, რომ საეკლესიო რეფორმის გატარება ადვილი არ იქნებოდა, რეფორმას სერიოზული გააზრება და გულდასმით მომზადება სჭირდებოდა. გადანყდა, რომ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში გასატარებელი რეფორმის პროექტი უნდა მოემზადებინა საგანგებოდ შექმნილ ორგანოს – **საეკლესიო კრების წინა თათბირს**.

საეკლესიო კრების წინა თათბირი გაიხსნა 1906 წლის 8 მარტს პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ტაძარში. თათბირი გახსნა პეტერბურგის მიტროპოლიტმა **ანტონმა (ვადკოვსკიმ)**. მიტროპოლიტმა შესავალ სიტყვაში აღნიშნა: ალექსანდრე ნეველის ტაძარი აშენებულია იმ ადგილას, სადაც მთავარმა ალექსანდრე ნეველმა გაანადგურა დასავლეთიდან პაპის ლოცვა-კურთხევით რუსეთის დასაპყრობად მომავალი მტერი; იმხანად რუსეთი აღმოსავლეთიდან შემოჭრილ მონღოლებსაც ებრძოდა; რუსეთს ამჯერადაც ემუქრება მტერი, რომლის მიზანია სახელმწიფოს, მეფისა და მართლმადიდებლობის მოსპობა; ყოველივე ეს უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საეკლესიო წინა თათბირის მუშაობას. დასასრულ მიტროპოლიტმა ანტონმა აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო დღის წესრიგის შემუშავება და თათბირისათვის წარდგენა.

საეკლესიო კრების წინა თათბირს დიდი მისია დაეკისრა. მას ბიძგი უნდა მიეცა რუსეთის სულიერი ცხოვრების აღორძინებისათვის.

1906 წლის 19 მარტს, ოთხშაბათს, პეტერბურგში მსოფლიოს შვიდი საეკლესიო კრების სახელობის ტაძარში საღმრთო ლიტურგია აღასრულა ფსკოვის ეპისკოპოსმა **არსენმა (სტადნიცკიმ)**. ლიტურგიის დასრულების შემდეგ ვრცელი ქადაგებით გამოვიდა მოგილევის ეპისკოპოსი **სტეფანე (არხანგელსკი)**. ქადაგებისას ეპისკოპოსმა სტეფანემ აღნიშნა: მართალია, რუსეთში მართლმადიდებლობა არ შერყეულა, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში რუსეთის ეკლესია, როგორც კონსტანტინეპოლის ეკლესიის ნაწილი, საგარეო ვითარებისადმი შეგუებას ცდილობდა. პეტრე I-მა ეკლესიაში გაბედული რეფორმები გაატარა. ამავე დროს მან რუსეთის ეკლესიას მოსალოდნელ საფრთხეთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის მოამზადა: დააარსა სასულიერო აკადემიები, აამალა სამღვდლოების განათლების დონე, დააარსა უწმიდესი მმართველი სინოდი. ყოველივე ამან თავისი შედეგი გამოიღო. რუსეთის ეკლესია განმტ-

კიცდა, მის წიაღში აღიზარდნენ გამოჩენილი მოღვაწეები, წმინდანები: **დიმიტრი როსტოველი, ინოკენტი ირკუტსკელი, მიტროფანე ვორონეჟელი, ტიხონ ვორონეჟელი, თეოდორი უგლიჩელი, ამბროსი ოპტინელი, სერაფიმ საროველი.** ამასთან ერთად, ეპისკოპოსმა სტეფანე მოგილუველმა აღნიშნა, რომ ბოლო ხანებში სინოდალური მმართველობა აფერხებდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ზრდას, ვნებდა ეკლესიის პრესტიჟს უცხოეთში. ეპისკოპოს სტეფანეს ქადაგებაში არაორაზროვნად, პირდაპირ იყო გაცხადებული: რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია უნდა გათავისუფლებულიყო პეტრე I-ის დროს შემოღებული შეზღუდვებისაგან, უნდა გაუქმებულიყო ეკლესიის მართვის არსებული სისტემა.

ლოცვის დასრულების შემდეგ საეკლესიო კრების წინა თათბირის მონაწილეებს მიმართა პეტერბურგის მიტროპოლიტმა **ანტონმა (ვადკოვსკიმ).** მან დამსწრეთ შეახსენა, რომ თათბირის გადწყვეტილებებს ელოდებოდა იმპერატორი. მიტროპოლიტმა ანტონმა თათბირის მონაწილეებს ოფიციალურად აცნობა, რომ საეკლესიო კრების წინა თათბირის დასრულებისთანავე მოწვეული იქნებოდა რუსეთის საეკლესიო კრება. შემდეგ შეკრებილთ მიმართა რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორმა **ა. დ. ობოლენსკიმ.** ობერ-პროკურორმა აღნიშნა, რომ საეკლესიო კრების წინა თათბირი მოწოდებულია შეარიგოს სხვადასხვა შეხედულების მქონე ადამიანები; დაარწმუნოს ახალგაზრდობა იმაში, რომ მტრობითა და ზიზლით ვერაფერს მიაღწევენ, უმჯობესია მოუსმინონ უფროსებს და დააფასონ მათი ღვაწლი. **ა. დ. ობოლენსკიმ** ხაზი გაუსვა იმას, რომ ყოველი საკითხის გადაჭრისას ამოსავალი უნდა ყოფილიყო შემდეგი: **მართლმადიდებლობა ემყარება წმიდა წერილსა და ეკლესიის ტრადიციას.** დასასრულ, სინოდის ობერ-პროკურორმა წაიკითხა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ტელეგრამა საეკლესიო კრების წინა თათბირისდმი. **ა. დ. ობოლენსკის** გამოსვლის შემდეგ მოკლე სიტყვა წარმოთქვა კიევის უნივერსიტეტის პროფესორმა **ევგენი ტრუბეცკოიმ.** მისი აზრით, აუცილებელი იყო რუსეთის საეკლესიო კრების წინ მოწვევათ ეპარქიათა კრებები, რათა უკეთ გაეგოთ სამღვდელთა აზრი საეკლესიო კრებაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. სინოდალური კანცელარიის მმართველმა **ნიკოლოზ აქსაკოვმა** აღნიშნა, რომ საეკლესიო რეფორმა გამომდინარეობს მართლმადიდებლობის კანონიკიდან, თუმცა მართლმადიდებლობის კანონიკაში თანამე-

დროვე პრობლემების გადაჭრის გზების პოვნა ადვილი არ იქნებოდა. ნიკოლოზ აქსაკოვმა წარმოადგინა იმ საკითხების ჩამონათვალი რომელთა გადაჭრა უნმიდესი სინოდის წევრთა და ეპისკოპოსთა აზრით, აუცილებელი იყო. ეს საკითხები შვიდ ჯგუფად გაიყო და საეკლესიო კრების წინა თათბირმა მათ განსახილველად შვიდი განყოფილება შექმნა. თათბირის მონაწილეებს შეეძლოთ თვითონ აერჩიათ თუ შვიდიდან რომელ განყოფილებაში სურდათ მუშაობა. სულ საეკლესიო კრების წინა თათბირის მონაწილეთა შორის იყო 10 ეპისკოპოსი და სასულიერო აკადემიებისა და უნივერსიტეტების 21 პროფესორი. თათბირის წევრი იყო უნმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი ა. დ. ობოლენსკი. როგორც ვხედავთ, საეკლესიო კრების წინა თათბირი საკმაოდ ვიწრო შემადგენლობით შეუდგა მუშაობას. შემდეგში თათბირის შემადგენლობა გაიზარდა სასულიერო და საერო პირთა ხარჯზე. თათბირის წევრები გახდნენ გენერალი ა. ა. კირეევი (ძველ კათოლიკურ ეკლესიასთან გაერთიანების მომხრე), დიმიტრი ხომიაკოვი (ცნობილი სლავოფილის ალექსი ხომიაკოვის ვაჟი), ევგენი ტრუბეცკოი (ფილოსოფოსი და პუბლიცისტი), პავლე მანსუროვი (ანგლიკანურ ეკლესიასთან გაერთიანების მომხრე), ნიკოლოზ კუზნეცოვი (ნაფიცი მსაჯული, საეკლესიო რეფორმის თაობაზე ნაშრომების ავტორი), ა. ა. სამარინი (ცნობილი საეკლესიო მოღვაწე).

საეკლესიო კრების წინა თათბირსა მუშაობა დაამთავრა 1905 წლის 15 დეკემბერს. თათბირის ოქმები და გადაწყვეტილებები 1907 წელს ოთხ ტომად გამოსცა უნმიდესმა სინოდმა (ოთხივე ტომი, მართალია, 1907 წელს გამოვიდა, მაგრამ გამოცემის თარიღად 1906 წელია მინიშნებული).

საეკლესიო კრების წინა თათბირმა, როგორც აღვნიშნეთ, შექმნა შვიდი განყოფილება. ყოველ მათგანს კონკრეტულ საკითხზე (საკითხებზე) უნდა გამოეთქვა აზრი. ეს საკითხები იყო:

1. რუსეთის საეკლესიო კრების შემადგენლობა და ცენტრალური საეკლესიო ორგანოები;

2. ეპარქიების რეორგანიზაცია, სამიტროპოლიტოების დაარსება, საქართველოს ეკლესიის მომავალი სტატუსი;

3. საეკლესიო სასამართლო, განქორწინება და შერეული ქორწინება;

4. ეკლესიის სამწყსოები, საეკლესიო (სასულიერო) სასწავლებლები, სამღვდლოების მონაწილეობა არასაეკლესიო მოძრაობაში;



- 5. საღვთისმეტყველო სწავლება;
- 6. სტაროვერები;
- 7. სექტანტები.

საეკლესიო კრების წინა თათბირის მიერ შემუშავებულმა რეკომენდაციებმა, ისევე, როგორც 1905 წლის ზაფხულში ჩატარებულმა ეპარქიების მმართველი ეპისკოპოსების გამოკითხვის შედეგებმა, ცხადი გახადა რუსეთის ეკლესიის განახლებისაკენ მისწრაფება. მოთხოვნა სავსებით ნათელი იყო – **სინოდალური მმართველობის გაუქმება და საეკლესიო კრების, როგორც უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების ორგანოს, აღდგენა. ამასთან ერთად, აუცილებლად იქნა მიჩნეული პატრიარქობის აღდგენა.** პატრიარქი უნდა ყოფილიყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური და საეკლესიო კრების თავმჯდომარე, ეკლესიის უმაღლესი წარმომადგენელი სახელმწიფოსთან ურთიერთობაში და საერთაშორისო ასპარეზზე. რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდი რჩებოდა, მაგრამ იგი აღარ იქნებოდა საეკლესიო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო. უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება უნდა გადასცემოდა რუსეთის საეკლესიო კრებას. საეკლესიო კრება მოწვეული უნდა ყოფილიყო რეგულარულად, რომლის დელეგატებიც აირჩეოდნენ ეპარქიების ყრილობებზე. საეკლესიო კრების დელეგატი შეიძლება ერისკაციც ყოფილიყო, მაგრამ გადამწყვეტი ხმა მხოლოდ შავ სამღვდლოებას (მიტროპოლიტებს, არქიეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებს, ილუმენებს და ა. შ.) ექნებოდათ. საეკლესიო კრების წინა თათბირის აზრით, ეპარქიათა მმართველი ეპისკოპოსები უნდა აერჩიათ ეპარქიების ყრილობებზე. აუცილებლობად იქნა მიჩნეული ეპარქიების მმართველობის რეორგანიზაცია. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცა საეკლესიო სასამართლოს, რომელიც პრაქტიკულად XVIII საუკუნის შემდეგ აღარ შეცვლილა. ძირეული ცვლილებები იგეგმებოდა საეკლესიო (სასულიერო) განათლების სისტემაში.


ცხარე პოლემიკა გაიმართა საეკლესიო (სასულიერო) განათლების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. 1884 წლის კანონის მიხედვით სასულიერო აკადემიაში სწავლის უფლება ჰქონდათ, როგორც სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულებს, ისე საერო სასწავლებლების კურსდამთავრებულებს. მიუხედავად ამისა, 1902 წლის განკარგულება (მიწერილობა) საერო სასწავლებლების კურსდამთავრებულების სასულიერო აკადემიებში შესვლას შეუძლებელს ხდიდა. 1902 წლის განკარგულება პოლიტიკური მოტივით

იყო ნაკარნახევი: ხელისუფლებას სურდა სასულიერო აკადემიები რევოლუციური იდეების გავლენისაგან დაეცვა. საეკლესიო კრების წინა თათბირის მონაწილეთა აზრით, უნდა შექმნილიყო საეკლესიო (სასულიერო) სასწავლებლების ორი ტიპი. **პირველი ტიპის სასწავლებელს** ზოგადი განათლება უნდა მიეცა სასულიერო წოდების (სამღვდულოების) შვილთათვის, რომელთაც სურვილი არ ჰქონდათ ღვთისმსახურები გამხდარიყვნენ. **მეორე ტიპის სასწავლებლებს** უნდა მიეცათ მხოლოდ დაწყებითი განათლება. გამოითქვა აზრი იმის თაობაზე, რომ უნივერსიტეტებში გახსნილიყო საღვთისმეტყველო ფაკულტეტები. პროფესორი **ნ. ნ. გლუბოკოვსკი** ამტკიცებდა, რომ ამ შემთხვევაში საღვთისმეტყველო დისციპლინების შესწავლა მოხდებოდა სრული თავისუფლების ვითარებაში. საკითხი დაისვა ქალთათვის უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლების მიცემის თაობაზე. მოწონებული იქნა ქალთათვის სპეციალური სასწავლებლის გახსნის იდეა. (ასეთი სასწავლებლის პროექტი მხოლოდ 1914 წელს იქნა მოწონებული, მაგრამ პირველმა მსოფლიო ომმა მისი რეალიზება შეუძლებელი გახადა).

საეკლესიო კრების წინა თათბირის პირველმა განყოფილებამ ხერსონის არქიეპისკოპოსის **დიმიტრის (კოვალნიცკის)** თავმჯდომარეობით განიხილა რუსეთის საეკლესიო კრების შემადგენლობის, დღის წესრიგისა და საეკლესიო ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების არჩევის საკითხი. პირველ განყოფილებაში ჩანერილი იყო 21 კაცი, თუმცა მის მუშაობაში სხვა განყოფილების წევრებიც მონაწილეობდნენ.

მეორე განყოფილება ლიტვის არქიეპისკოპოს **ნიკანდრის (მოლჩანოვის)** თავმჯდომარეობით იხილავდა სამიტროპოლიტოების შექმნის, სამიტროპოლიტოების მართვისა და ეპარქიების რეორგანიზაციის საკითხს. მეორე განყოფილება 14 წევრისაგან შედგებოდა და სხდომებს პირველ განყოფილებასთან ერთად ატარებდა.

მესამე განყოფილებამ შეიმუშავა საეკლესიო სასამართლოს გარდაქმნის პროექტი და განსაზღვრა საეკლესიო ქორწინების, ასევე შერეული ქორწინების წესი. განყოფილებამ მხარი დაუჭირა ოთხსაფეხურიანი საეკლესიო სასამართლოს შემოღებას. ეს სასამართლოები იყო: **1) სამწყსოს** (ანუ ერთი ეკლესიის სასამართლო), **2) საბლაგოჩინო** (ანუ საბლაგოჩინო ოკრუგის სასამართლო, რომელიც რამდენიმე სამწყსოს (ეკლესიის) სასამართლოს წარმოადგენდა), **3) საეპარქიო** (ანუ სამიტროპოლიტოს, საარქიეპისკოპოსოს



და საეპისკოპოსოს სასამართლო), **4) სინოდალური** (ანუ რუსეთის ეკლესიის სასამართლო). მართალია, სინოდალური სასამართლო ოთხი საფეხურიდან უმაღლესი იყო, მაგრამ სინოდალური სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება შეიძლებოდა რუსეთის საეკლესიო კრებაში. ყოველი საფეხურის სასამართლოს განაჩენი შეიძლებოდა გასაჩივრებულყოფიერ ზემდგომი საფეხურის სასამართლოში. ყველა დონის საეკლესიო მმართველობა და საეკლესიო სასამართლო ერთმანეთისაგან სავსების დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო, ანუ ეკლესიის წინამძღვარი ვერ ჩაერეოდა სამწყსოს სასამართლოში, ბლაგოჩინი ვერ ჩაერეოდა საბლაგოჩინო სასამართლოში, ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი (არქიეპისკოპოსი, მიტროპოლიტი) ვერ ჩაერეოდა საეპარქიო სასამართლოში. სინოდალური სასამართლოც დამოუკიდებელი იყო საეკლესიო მმართველობისაგან.

მეოთხე განყოფილება მოგილიევის ეპისკოპოსის **სტეფანეს (არხანგელსკის)** თავმჯდომარეობით სამწყსოს პრობლემებით (სამრევლო სკოლები, სამწყსოს ქონება) იყო დაკავებული. განყოფილებას აზრი უნდა გამოეთქვა ეპარქიების ყრილობებისა და საერო დაწესებულებების მუშაობაში სამღვდლოების მონაწილეობის თაობაზე.

მეხუთე განყოფილება ფსკოვის ეპისკოპოსის **არსენის (სტადნიცკის)** თავმჯდომარეობით არკვევდა საღვთისმეტყველო სწავლების საკითხებს.

მეექვსე განყოფილება ვოლინის არქიეპისკოპოსის **ანტონის (ხრაპოვიცკის)** თავმჯდომარეობით არკვევდა სტაროვერებთან, ასევე უნიატებთან, კათოლიკეებთან და ლუთერანებთან დამოკიდებულების საკითხს.


მეშვიდე განყოფილება ფინეთის არქიეპისკოპოსის სერგის (სტრაგოროდსკის) თავმჯდომარეობით სექტანტთა შემოტევისაგან მართლმადიდებლური რწმენის დაცვის საკითხებზე მუშაობდა.

საეკლესიო კრების წინა თათბირის და მისი განყოფილებების მუშაობის პერიოდში რუსეთის ყველა სასულიერო აკადემიის სპეციალისტებს და მღვდლებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ თათბირისა და მისი განყოფილებების მასალებს, ასევე 1905 წლის ზაფხულში ჩატარებულ ეპისკოპოსების გამოკითხვის მასალებს. ამან საეკლესიო იერარქების ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. არქიეპისკოპოსმა **ანტონმა (ხრაპოვიცკიმ)** მეექვსე განყოფილების პირველი სხდომა დაასრულა გაფრთხილებით:

საეკლესიო კრებაში თეთრი სამღვდელთა და საერო პირების მონაწილეობა შეიძლებოდა განხეთქილების საფუძველი გახდესო. არქიეპისკოპოსი აღნიშნავდა, რომ საეკლესიო კანონები აკრძალავდა საეკლესიო კრებაში თეთრი სამღვდელთა და საერო პირების მონაწილეობას.

დიდი უთანხმოება გამოიწვია პატრიარქობის აღდგენის საკითხმა. გამოითქვა შიში იმის თაობაზე, რომ შეიძლებოდა პატრიარქი რომის პაპის ტიპის ეკლესიის მეთაური გამხდარიყო. არქიეპისკოპოსი **დიმიტრიმ (კოვალნიცკი)**, პროფესორი **ნ. სუვოროვი**, პროფესორი **ნ. გლუბოკოვსკი** ამტკიცებდნენ, რომ პატრიარქის რომის პაპად გადაქცევის საშიშროება არ არსებობსო. არქიეპისკოპოსმა **დიმიტრი (კოვალნიცკიმ)** აღნიშნა, რომ პაპობა აღმოცენდა ევროპაში შექმნილი განსაკუთრებული ვითარების შედეგად, კერძოდ, იმის გამო, რომ დასავლეთი რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ევროპაში არ იყო ძლიერი სახელმწიფო (საერო) ხელისუფლება.

1906 წლის 17 მაისს პირველი განყოფილების სხდომაზე გადანიშნა, რომ საეკლესიო კრების მოწვევამდე რუსეთის ეკლესიის უპირველესი პირი ატარებდა **პეტერბურგის მიტროპოლიტის ტიტულს**. რუსეთის ეკლესიის პირველი პატრიარქი უნდა აერჩია **საეკლესიო კრებას**. პატრიარქის გარდაცვალების შემთხვევაში, უწმიდესი სინოდი ნიშნავდა **პატრიარქის ტახტის მონაცვლეს**. პატრიარქის არჩევნები კი უნდა ჩატარებულიყო რთული, სამსაფეხურიანი საარჩევნო სისტემით. ყოველი ეპარქიის სამღვდელთა და საერო პირები ირჩევდნენ პატრიარქობის კანდიდატს და მის სახელს აცნობებდნენ პატრიარქის ტახტის მონაცვლეს. ყველა ეპისკოპოსი, არქიეპისკოპოსი და მიტროპოლიტი პატრიარქის მონაცვლეს, დამოუკიდებლად წარუდგენდა პატრიარქობის კანდიდატს. ამის შემდეგ კანდიდატთაგან უწმიდესი სინოდი აირჩევდა პატრიარქობის სამ კანდიდატს. ამ სამ კანდიდატს დაემატებოდა კიდევ ორი კანდიდატი, რომელთა გვარები ყველაზე ხშირად იხსენიებოდნენ პირველი და მეორე საფეხურის არჩევნებში. პატრიარქის გარდაცვალებიდან ერთი თვის თავზე ეპარქიების მმართველი საეკლესიო იერარქიები (მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები), იკრიბებოდნენ დედაქალაქში, სადაც შეიტყობდნენ პატრიარქობის ხუთი კანდიდატის ვინაობას. სამი დღის შემდეგ საეკლესიო იერარქები შეიკრიბებოდნენ **მღვდელთმთავრების კრებაზე** და ფარული კენჭისყრით აირჩევდნენ პატრიარქს. არ-



ჩეულად ჩაითვლებოდა ის კანდიდატი, რომელიც ხმების უბრალო უმრავლესობას მოაგროვებდა. თუ ორი კანდიდატი თანაბარ ხმებს მოაგროვებდა, ინიშნებოდა არჩევნების მეორე ტურში. თუ მეორე ტურშიც პატრიარქს ვერ აირჩევდნენ, მაშინ პატრიარქის ტახტის მონაცვლე ნიშნავდა პატრიარქს. არჩევნების (დანიშვნის) შემდეგ პატრიარქს წარუდგენდნენ იმპერატორს.

თევდორე სამარინი, დეკანოზი თევდორე ტიტოვი, სასულიერო აკადემიების პროფესორები: მიხეილ მაშჩანოვი, ნიკოლოზ სუვოროვი, ივანე პოპოვი, ვლადიმერ ზავიტნევიჩი, ალექსანდრე ბრილიანტოვი, ნაფიცი მსაჯული ნიკოლოზ კუზნეცოვი გამოდიოდნენ პატრიარქობის აღდგენის წინააღმდეგ. ქვეკომისიამ 14 ხმით 8 ხმის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა პატრიარქობის აღდგენას.

მეოთხე განყოფილებამ შეიმუშავა **სამწყსოს** ორგანიზაციის ფორმის შეცვლის პროექტი. პროექტის მიხედვით, ყოველი ცალკეული ეკლესიის სამწყსო უნდა გადაქცეულიყო **დამოუკიდებელ იურიდიულ პირად**. სამწყსო აირჩევდა **სამწყსოს საბჭოს**, ხოლო საბჭო მოიწვევდა **სამწყსოს კრებას**. განყოფილების წევრების უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ სამწყსოს ორგანიზაციის ფორმის რეფორმა უნდა მომხდარიყო რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევამდე. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვახდებოდა შესაძლებელი საეკლესიო კრების მომზადებასა და მუშაობაში სამწყსოთა აქტიური მონაწილეობა.

1906 წელს გაძლიერდა სამწყსოთა ნორმალური ფუნქციონირების შეფერხების ტენდენცია. საეკლესიო კრების წინა თათბირის მონაწილე სამღვდლოება აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით თავიანთ სამწყსოებში იმყოფებოდა. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ ისინი გაუგონარ ამბებს ჰყვებოდნენ. ხულიგანთა ბრბოები ეკლესიებში ღვთისმსახურების ნორმალურად ჩატარების საშუალებას არ აძლევდნენ მღვდლებს. 1906 წლის შემოდგომაზე ეპარქიებიდან კიდევ უფრო შემამოფოთებელი ცნობები მოდიოდა: სამწყსოებში ნორმალური ღვთისმსახურება თითქმის შეწყდა. ყოველივე ამან საეკლესიო კრების წინა თათბირს დამატებითი სტიმული მისცა სამწყსოს რეფორმის გატარებისათვის. მეოთხე განყოფილების მიერ შეიმუშავებული პროექტის მიხედვით, ეკლესიის სამწყსოს უნდა გაეღო სასაფლაოს მოვლისათვის აუცილებელი ხარჯები, აეშენებინა სკოლები, ობოლთა სახლები, საავადმყოფოებში, ეკლესია უნდა დაეცვა ათეისტთა თავდასხმისაგან. სამწყსოს

მმართველობას (საბჭოს) ეკლესიის გარშემო უნდა გაეერთიანებინა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა (მრევლი). განყოფილებამ ეკლესიათა სამწყსოს გაძლიერებისათვის აუცილებლად მიიჩნია სამწყსოსათვის **სრული ფინანსური დამოუკიდებლობის მინიჭება**.

განყოფილებამ დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ეპარქიების **სასულიერო სემინარიებს**. სასულიერო სემინარიების მიზნები ასე განისაზღვრა; 1) სასულიერო წოდების შვილთათვის განათლების მიცემა, 2) რუსეთის ეკლესიისათვის მოძღვართა აღზრდა, 3) სულიერი საზრდოს მიეცემა მართლმადიდებელთათვის.

საეკლესიო კრების წინა თათბირზე, განსაკუთრებით კი მეხუთე განყოფილების სხდომებზე, რომელსაც ფსკოვის ეპისკოპოსი **არსენი (სტადნიცკი)** თავმჯდომარეობდა, აღინიშნა, რომ 1905-1906 წლებში ყველა ეპარქიის სასულიერო სემინარებში განათლების დონე კატასტროფულად დაეცა, სემინარიის მონაფეები გაიფიცნენ, ისინი ქუჩაშიც კი გამოვიდნენ და ამბოხებულებს ხელმძღვანელობდნენ. თათბირის მონაწილეებს კარგად ესმოდათ, რომ სასულიერო აკადემიებისა და სემინარიების სტუდენტებისა და მოსწავლეების პროტესტი მხოლოდ რევოლუციური იდეების გავლენის შედეგი არ იყო. იგი მეტწილად სწავლების მოძველებული სისტემით იყო გაპირობებული. სტუდენტები და მოსწავლეები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ აკადემიებსა და სემინარიებში არსებული რეჟიმით.

მეხუთე განყოფილებამ საჭიროდ ჩათვალა **ორი ტიპის სასულიერო სემინარის** დაარსება. პირველი მათგანი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო მომავალი სამღვდელთათვის, ხოლო მეორე – იმ კატეგორიის მოსწავლეთათვის, რომლებიც საერო (სამოქალაქო) სამსახურში აპირებდნენ შესვლას. მეორე კატეგორიის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულს შეეძლო ემსახურა ეკლესიის სამწყსოს საბჭოში, ეპარქიის მმართველობაში და საეკლესიო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებში. მეორე ტიპის სასულიერო სემინარიების სასწავლო პროგრამები დაახლოებით ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც იყო განათლების სამინისტროს სისტემაში არსებული საშუალო სკოლის ტიპის სასწავლებლების პროგრამები. ეს გააადვილებდა განათლების სამინისტროს სისტემაში არსებული სკოლიდან სასულიერო სემინარიაში გადასვლას და პირიქით.

მიტროპოლიტი **ანტონი (ვადკოვსკი)** და არქიეპისკოპოსი **ანტონი (ხრაპოვიცკი)**, ასევე მეხუთე განყოფილების წევრები

საეკლესიო მმართველობის
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კატეგორიულად ითხოვდნენ, რომ სასულიერო სემინარიის რექტორები და მასწავლებლები უნდა დაენიშნა მხოლოდ საეკლესიო ხელისუფლებას. აუცილებლად იქნა მიჩნეული სასულიერო სემინარიებში წმენდის ჩატარება. მიტროპოლიტი ანტონი (ვადკოვსკი) მეხუთე განყოფილების წევრებს აფრთხილებდა, რომ წმენდის დაყოვნება არ შეიძლებოდა და იგი უნდა დაეწყოთ ახალი სასწავლო წლის დადგომისთანავე. განყოფილების წევრები მიიჩნევდნენ, რომ წმენდის დაწყებისთანავე სემინარიის მოსწავლეთა ნაწილი თავისი ნებით დატოვებდა სემინარიას, ნაწილი კი უნდა გაერიცხათ.

მეხუთე განყოფილებაში განსჯის საგანი გახდა სასულიერო სემინარიებში მიღების წესი და კონტიგენტის სოციალური შემადგენლობა. გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ ეკლესია ვალდებული არ იყო განათლება მიეცა სასულიერო ნოდების წარმომადგენელთა შვილებისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ღვთისმსახურთა ოჯახში დაიბადნენ. ამ წესით სასულიერო სემინარიების შევსებამ ის შედეგი გამოიღო, რომ სემინარიებში თავი მოიყარა უქნარა და ზარმაცი მოსწავლეების საკმაოდ დიდმა რაოდენობამ. განყოფილების აზრით, სასულიერო სემინარიებში უნდა მიეღოთ ღვთისმსახურთა ოჯახებიდან გამოსული ისეთი მოსწავლეები, რომელთაც ჰქონდათ სასულიერო განათლების მიღების სურვილი. სასულიერო სემინარიებში სწავლის უფლება უნდა ჰქონოდათ მუშათა და სხვა ნოდებიდან გამოსულებს.

პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონმა (ვადკოვსკიმ) არ გაიზიარა მეხუთე განყოფილების მოსაზრება. მისი აზრით, სასულიერო სემინარიებში ღვთისმსახურთა შვილები შეუზღუდავად უნდა მიეღოთ. მიტროპოლიტი ამას იმით ამართლებდა, რომ მღვდლების უმრავლესობას მრავალშვილიანი ოჯახი ჰქონდა, ხოლო ეკონომიკური მდგომარეობა მღვდელს არ აძლევდა იმის საშუალებას, რომ შვილებისათვის განათლება სხვა სასწავლებელში მიეცა. მიტროპოლიტმა ანტონმა აღნიშნა, რომ ვერავითარი რეფორმა სასულიერო განათლების დონეს მანამ ვერ აამაღლებდა სანამ ეკლესიებს არ ეყოლებოდა ღრმადმორწმუნე, განათლებული და კომპეტენტური წინამძღვარი (მღვდელი). ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორის ვ. ნესმელოვის აზრით, სწავლების დონის ამაღლებას ხელს შეუწყობდა წარჩინებული მოსწავლეთათვის სტიპენდიის დანიშვნა.

საეკლესიო კრების წინა თათბირზე სერიოზული განსჯის საგანი გახდა საეკლესიო კრებაში თეთრი სამღვდლოებისა და ერისკაცთა


მონაწილეობის საკითხი. უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ თეთრი სამღვდელოება და ერისკაცები უნდა დასწრებოდნენ საეკლესიო კრებას, მაგრამ ხმის უფლება არ უნდა ჰქონოდათ. ამ მოსაზრებას იცავდა არქიეპისკოპოსი **ანტონი (ხრაპოვიცი)**. საწინააღმდეგოს ამტკიცებდა პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონი (ვადკოვსკი). მიტროპოლიტი ანტონი (ვადკოვსკი), ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსების გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ თეთრი სამღვდელოება და ერისკაცები საეკლესიო კრებას ხმის უფლებით უნდა დაესწრონო. საეკლესიო კრების წინა თათბირმა ხმების უმრავლესობით დაადგინა, რომ **საეკლესიო კრებას ხმის უფლებით მხოლოდ ეპისკოპოსები (შავი სამღვდელოება) უნდა დასწრებოდა**. უმცირესობაში დარჩენილმა თათბირის მონაწილეებმა, ძირითადად სასულიერო აკადემიის პროფესორებმა: დეკანოზმა პ. ი. სვეტლოვმა (კიევი), ვ. ი. ნესმელოვმა (ყაზანი), მ. ნ. მაშჩანოვმა (ყაზანი), ასევე ნ. პ. აქსაკოვმა და ნაფიცმა მსაჯულმა ნ. დ. კუზნეცოვმა შეადგინეს დოკუმენტი – „საეკლესიო კრების შემადგენლობის თაობაზე უმცირესობის განსაკუთრებული მოსაზრება“. ამ დოკუმენტში აღნიშნულია: აუცილებელი არ არის ბრმად მივყვეთ საეკლესიო კანონებს, რადგან ეს კანონები თანამედროვე ვითარებაში შეიძლება სავსებით მიუღებელი აღმოჩნდესო. პავლე მოციქულის სწავლებაზე და იერუსალიმის პირველი საეკლესიო კრების დადგენილებაზე დაყრდნობით, უმცირესობა ამტკიცებდა, რომ თეთრ სამღვდელოებასა და ერისკაცებს საეკლესიო კრებაში ხმის უფლებით მონაწილეობის საშუალება უნდა ჰქონოდა.

1906 წლის 12 და 14 ივნისს ცხარე დისკუსია გაიმართა ეკლესიასა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის დამოკიდებულების თაობაზე. ხარკოველი პროფესორი **მიხეილ ოსტროუმოვი** მიიჩნევდა, რომ იმპერატორ ნიკოლოზ II-ის 1905 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულება სამი მიტროპოლიტისადმი რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევის საფუძველს წარმოადგენდა. მიხეილ ოსტროუმოვი ამტკიცებდა, რომ იმპერატორმა აღნიშნული ბრძანებულებით დე ფაქტო აღადგინა რუსეთის ეკლესიის თვითმმართველობა და ამიერიდან ეკლესიას, სამი მიტროპოლიტის დროებითი ხელისუფლების პირობებში, შეუძლია თვითონ განსაზღვროს თავისი ბედიო. დეკანოზმა **მიხეილ გორჩაკოვმა** მხარი დაუჭირა პროფესორ მიხეილ ოსტროუმოვს. მან აღნიშნა, რომ იმპერატორის 1905 წლის 17 აპრილის ბრძანებულება რჯულთშემწყნარებლობის თაობაზე და

1905 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულება სამი მიტროპოლიტისადმი იმის მაუწყებელი იყო, რომ რუსეთის ეკლესიას უკვე მინიჭებული ჰქონდა თვითმმართველობა ანუ ეკლესიას შეეძლო სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად ემოქმედა. უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორმა ა. ა. შირინსკი-შახმატოვმა, რომელმაც ლიბერალი ა. დ. ობოლენსკი შესცვალა, არ გაიზიარა პროფესორ მიხეილ ოსტროუმოვისა და დეკანოზ მიხეილ გორჩაკოვის შეხედულება. ობერ-პროკურორმა აღნიშნა, რომ კანონი რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდისა და იმპერატორის ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე ძალაში იყო და ამდენად, რუსეთის ეკლესიას ჯერჯერობით კვლავ იმპერატორი განაგებდა უწმიდესი სინოდის მეშვეობით.

უწმიდესი სინოდის ახალი ობერ-პროკურორი ა. ა. შირინსკი-შახმატოვი კონსერვატორი მოღვაწე იყო. იგი არ მაღავედა თავის სიმპათიას შავრაზმული ორგანიზაციების – „რუსი ხალხის კავშირისა“ და „მთავარანგელოზ მიქაელის კავშირისადმი“. ობერ-პროკურორი მიიჩნევდა, რომ საეკლესიო კრების წინა თათბირში მონაწილეობა არ უნდა მიეღო თერთ სამღვდელოებასა და ლიბერალური შეხედულებებით ცნობილ პროფესორებს. ა. ა. შირინსკი-შახმატოვს არ უყვარდა პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონი (ვადაოვსკი) და ყოველნაირად ცდილობდა მის შეზღუდვას. უწმიდესი სინოდი ობერ-პროკურორი წინ აღუდგა საეკლესიო კრების წინა თათბირის გადაწყვეტილებას, რომელიც 1906 წლის აგვისტოს დამდეგს რუსეთის საეკლესიო კრების მონვევას ითვალისწინებდა.

1906 წლის 9 ივლისს იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ პირველი სახელმწიფო სათათბირო დაითხოვა. ახალმა პრემიერ-მინისტრმა პეტრე სტოლიპინმა დაუყოვნებლივ გადააყენა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი ა. ა. შირინსკი-შახმატოვი. პეტრე სტოლიპინი საეკლესიო კრების წინა თათბირის დათხოვნასაც აპირებდა. რთულ პოლიტიკურ ვითარებაში პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონმა (ვადაოვსკიმ) შეძლო იმპერატორისა და პრემიერ-მინისტრის დარწმუნება და თათბირმაც მუშაობა განაგრძო. უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორად დაინიშნა პეტრე იზვოლსკი. პრემიერ-მინისტრი პეტრე სტოლიპინი და უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი პეტრე იზვოლსკი მალე დარწმუნდნენ, რომ უმჯობესი იყო საეკლესიო კრების წინა თათბირს ბოლომდე ემუშავა. თათბირს საკანონმდებლო ფუნქცია არ ჰქონდა მინიჭებული, იგი მხოლოდ რეკო-



მენდაციებით უნდა შემოფარგლულიყო და ამდენად, მისი გადან-
ყვეტილებები არავითარ საშიშროებას არ ჰქმნიდა.

საეკლესიო კრებას წინა თათბირის მეორე განყოფილება იხი-
ლავდა **საქართველოს ეკლესიის სტატუსის** საკითხს. ქართველმა
მღვდელმთავრებმა, ეპისკოპოსმა **კირიონმა (საძაგლიშვილმა)** და
ეპისკოპოსმა **ლეონიდმა (ოქროპირისძემ)**, ცნობილმა მეცნიერმა
ქართველოლოგებმა **ნიკო მარმა, ალექსანდრე ცაგარელმა** და
ალექსანდრე ხახანაშვილმა როგორც კანონიკური, ისე მეცნიერ-
ული თვალსაზრისით დაასაბუთეს საქართველოს მართლმადიდე-
ბელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის სამართლიანობა. რუსმა
სამღვდელოებამ და მეცნიერებმა ვერაფერი დაუპირისპირეს ქართ-
ველთა ლოგიკურ მტკიცებულებას. მიუხედავად ამისა, საეკლესიო
კრების წინა თათბირმა მიუღებლად მიიჩნია საქართველოს ეკლე-
სიის ავტოკეფალიის აღდგენა.

1906 წლის 2 ნოემბერს გაიმართა საეკლესიო კრების წინა თათ-
ბირის საშემოდგომო სერიის პირველი სხდომა. თათბირის წევრებს
მიესალმა პეტერბურგის მიტროპოლიტი **ანტონი (ვადაოვსკი)**. მან
აღნიშნა, რომ შექმნილ ვითარებაში თათბირის მუშაობის გაგრ-
ძელების იმედი აღარ ჰქონდა. უწმიდესი სინოდის ობერ-პროკუ-
რორმა **პეტრე იზვოლსკიმ** თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმას,
რომ მთავრობა გრძნობს „პირდაპირ კავშირს“ ეკლესიასთან და
რომ საეკლესიო კრების წინა თათბირის შეკრება „ხელმწიფოს ნება“
იყო. პეტრე იზვოლსკიმ შეკრებილთ აცნობა, რომ საეკლესიო კრე-
ბის წინა თათბირს მუშაობა 1906 წლის 15 დეკემბრამდე უნდა დაე-
მთავრებინა. სხდომის დახურვის წინ მიტროპოლიტმა ანტონმა (ვა-
დაოვსკიმ) განაცხადა, რომ პირველ რიგში უნდა დაესრულებინათ
სამიტროპოლიტოების შესახებ საკითხის განხილვა.

1906 წლის დეკემბრის დამდეგს პეტერბურგის მიტროპოლიტი
ანტონი (ვადაოვსკი) ავად გახდა. მისი ავადმყოფობის პერიოდ-
ში მემარჯვენე კონსერვატორულმა ძალებმა საეკლესიო კრების
წინა თათბირის თავიანთი მიზნით გამოყენება მოინდომეს. გან-
საკუთრებით აქტიურობდა „რუსი ხალხის კავშირი“, რომლის სა-
პატიო წევრებიც იყვნენ იმპერატორი **ნიკოლოზ II**, ტახტის მემკვი-
დრე **ალექსი** და უწმიდესი სინოდის ყოფილი ობერ-პროკურორი
კონსტანტინე პოპედონოსცევი. მიუხედავად ამისა, პეტერბურგის
მიტროპოლიტმა ანტონმა უკვე მეორედ ლოცვა-კურთხევაზე უარი
უთხრა „რუსი ხალხის კავშირს“. გარდა ამისა, თავის ქადაგებებში


მან დაგმო ასეთი კავშირის შექმნა, ხოლო კავშირის ხელმძღვანელს ა. ი. დუბროვინს მიღებაზე უარი უთხრა. მეორე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს „რუსი ხალხის კავშირი“ მღვდლებს აიძულებდა ლოცვა-კურთხევა მიეცათ კავშირის წევრებისათვის. მიტროპოლიტი ანტონი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ პეტერბურგის ეპარქიის მღვდლები დაეცვა „რუსი ხალხის კავშირის“ წევრთა ძალადობისაგან. ამის გამო მიტროპოლიტი ანტონი შავრაზმელებმა ქვეყნის მოლაღატედ გამოაცხადეს. 1906 წლის 6 დეკემბერს ა. ი. დუბროვინმა გაზეთი „რუსსკიე ზნამიაში“ გამოაქვეყნა ღია წერილი, რომელშიც პეტერბურგის მიტროპოლიტს ანტონს ბრალი დასდო მეფის ღალატში, იმპერიის მტრებისათვის დახმარების განწევაში და ეკლესიის რევოლუციონერთათვის დაქვემდებარების მცდელობაში. ა. ი. დუბროვინი მიტროპოლიტ ანტონს მოუწოდებდა ჩამოსცილებოდა საეკლესიო მოღვაწეობას. თუ მიტროპოლიტი ანტონი არ დასთანხმდებოდა, მაშინ ე. ი. დუბროვინი მას მიტროპოლიტობიდან გადაყენებითა და გაძევებით ემუქრებოდა.

საეკლესიო კრების წინა თათბირი, რომელსაც მიტროპოლიტ ანტონის (ვადკოვსკის) ავადმყოფობის პერიოდში მოსკოვის მიტროპოლიტი **ვლადიმირი (ბოგოიავლინსკი)** თავმჯდომარეობდა, აღაშფოთა ა. ი. დუბროვინის წერილმა. ნიკოლოზ კუზნეცოვის წინადადებით, თათბირმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მხარდაჭერა გამოხატა მიტროპოლიტ ანტონისადმი და დაგმო ა. ი. დუბროვინის საქციელი. რეზოლუციაში აღნიშნული იყო, რომ ა. ი. დუბროვინმა და „რუსი ხალხის კავშირმა“ შეურაცხვეს რუსეთის ეკლესია.

საეკლესიო კრების წინა თათბირის ბოლო სხდომა გაიმართა 1906 წლის 15 დეკემბერს. თათბირის სხდომებისა და განყოფილებების სხდომების ოქმები 1906 წლის დეკემბრის ბოლოსათვის წესრიგში იქნა მოყვანილი. 1907 წლის იანვრის ბოლოს საეკლესიო კრების წინა თათბირის ოქმები ოთხ ტომად გამოიცა.

1907 წლის 25 აპრილს იმპერატორმა **ნიკოლოზ II-მ** პეტერბურგის მიტროპოლიტს **ანტონს (ვადკოვსკის)** და უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს **პეტრე იზვოლსკის** აცნობა, რომ საეკლესიო კრების წინა თათბირის ოქმების კითხვა დაასრულა. მიტროპოლიტ ანტონს იმედი ჰქონდა, რომ იმპერატორი 1907 წელსვე მოიწვევდა რუსეთის საეკლესიო კრებას.

საეკლესიო კრების წინა თათბირის გადაწყვეტილებები ხე-



ლისუფლების უმაღლეს ეშელონებში სხვადასხვაგვარად შეაფასეს. ერთნი მიიჩნევდნენ, რომ ეს გადანყვეტილებები ზომიერი იყო, მეორენი კი მიიჩნევდნენ, რომ თათბირმა რადიკალური გადანყვეტილებები მიიღო.

1907 წლის 25 აპრილს ნიკოლოზ II-მ დაამტკიცა საეკლესიო კრების წინა თათბირის მიერ შემუშავებული რუსეთის საეკლესიო კრების მონვევის დებულება. ყველა ელოდა, რომ უახლოეს ხანებში საეკლესიო კრებას მოიწვევდნენ. მოლოდინი არ გამართლდა. 1907 წელს საეკლესიო კრება არ მოუწვევიათ.

იმპერატორ ნიკოლოზ II 1907 წლიდან 1912 წლამდე მერყეობდა. 1912 წელს იმპერატორმა უკან წაიღო დაპირება და რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევაზე საბოლოოდ უარი თქვა. რუსეთის უკანასკნელმა მონარქმა მონარქიის აღსასრულამდე ხუთიოდე წლით ადრეც კი ვერ გაიაზრა ეკლესიის როლი დასალუპავად განწირული იმპერიის ცხოვრებაში.

საეკლესიო კრების წინა თათბირმა მუშაობა 1906 წლის დეკემბერში დაასრულა. მოგვიანებით, 1912 წელს უწმიდეს სინოდთან შეიქმნა მუდმივმოქმედი საეკლესიო კრების წინა თათბირი, რომლის თავმჯდომარე იყო ფინეთის არქიეპისკოპოსი სერგი (სტრაგოროდსკი).



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა


თავი მეორე

1917-1918 წლების რუსეთის საეკლესიო კრება

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური გახდა რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევის საკითხი. რევოლუციის შემდეგ განახლდა რუსეთის ეკლესიის უწმიდესი სინოდის შემადგენლობა. 1917 წლის 29 აპრილს უწმიდესმა სინოდმა მიმართვა დაუგზავნა რუსეთის სამღვდელოებას. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ რუსეთში სახელმწიფო წყობილების შეცვლის შემდეგ უცვლელი ვერ დარჩებოდა ეკლესიის მმართველობის დრომოჭმული ფორმა. უწმიდესი სინოდი სამღვდელოებას ეკლესიის მმართველობის არჩევითობის პრინციპზე დაფუძნებისაკენ მოუწოდებდა. უწმიდესმა სინოდმა პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა. ყველა დონის საეკლესიო თანამდებობებზე, სადაც კი ვაკანსიები არსებობდა, სასულიერო პირი აღარ დაუნიშნიათ, თანამდებობები არჩევნების გზით იქნა დაკავებული. ასე აირჩიეს პეტროგრადის მიტროპოლიტად გლოვის ეპისკოპოსი ბენიამინი, მოსკოვის მიტროპოლიტად – ლიტვის არქიეპისკოპოსი ტიხონი, ვლადიმირის მიტროპოლიტად – ფინეთის არქიეპისკოპოსი სერგი და სხვ.

1917 წლის 29 აპრილსვე უწმიდესმა სინოდმა მიიღო დადგენილება სპეციალური კომისიის – საეკლესიო კრების წინა საბჭოს – შექმნის შესახებ, რომელსაც უნდა მოემზადებინა რუსეთის საეკლესიო კრება. საეკლესიო კრების წინა საბჭომ პირველი სხდომა 1917 წლის 11 ივნისს ჩაატარა. საბჭოს სხდომაზე მიიწვიეს საეკლესიო იერარქიები (მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები, ეპისკოპოსები, არქიმანდრიტები, ილუმენები), თეთრი სამღვდელოების წარმომადგენლები და მეცნიერები.

1917 წლის 5 ივლისს საეკლესიო კრების წინა საბჭოს მოხსენების საფუძველზე უწმიდესმა სინოდმა დაადგინა: რუსეთის საეკლესიო კრება უნდა გახსნილიყო ღვთისმშობლის მიძინების დღეს –




1917 წლის 15 აგვისტოს. იმავდროულად დამტკიცდა „საეკლესიო კრების მონვევის დებულება“. ამ პერიოდისათვის რუსეთის ეკლესიის იერარქიულ-ადმინისტრაციული მონყობა ასეთი იყო. ყველაზე დაბალი ადმინისტრაციული ერთეული იყო სამწყსო (სოფლის, დაბის, ქალაქის), სამწყსოთა გარკვეული რაოდენობა შეადგენდა საბლაგოჩინო ოკრუგს, ხოლო რამდენიმე საბლაგოჩინო ოკრუგი – ეპარქიას. დებულების მიხედვით, რუსეთის ეკლესიის ყველა სამწყსო ირჩევდა წარმომადგენლებს (დელეგატებს) საბლაგოჩინო ოკრუგის კრებისათვის, საბლაგოჩინო ოკრუგის კრება კი ირჩევდა წარმომადგენლებს (დელეგატებს) ეპარქიის ყრილობისათვის. რუსეთის საეკლესიო კრების წევრების (დელეგატების) არჩევა უნდა მომხდარიყო ეპარქიების ყრილობებზე.

1917 წლის ზაფხულში რუსეთის საეკლესიო ცხოვრება მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა. ამ პერიოდის მოვლენათაგან მნიშვნელოვანი იყო სრულიად რუსეთის სამღვდელოების ყრილობა, რომელიც 1917 წლის 1-7 ივნისს მიმდინარეობდა მოსკოვში. ყრილობას ყველა მოქმედი ეპარქიის წარმომადგენლები დაესწრნენ, სულ 800 კაცი. ყრილობაზე განხილული იქნა მომავალ საეკლესიო კრებასთან დაკავშირებული საკითხები. გადაწყდა, რომ მთელი რუსეთის მასშტაბით არჩევნები გაიმართებოდა: სამწყსოებში – 23 ივლისს, საბლაგოჩინო ოკრუგებში – 30 ივლისს, ეპარქიებში – 8 აგვისტოს. საეკლესიო კრება გაიხსნებოდა მოსკოვში 1917 წლის 15 აგვისტოს.

რუსეთის საეკლესიო კრების შემადგენლობა ასეთი იყო. სულ არჩეული იქნა 564 წევრი დელეგატი. მათ შორის: 10 მიტროპოლიტი, 17 არქიეპისკოპოსი, 53 ეპისკოპოსი, 15 არქიმანდრიტი (სულ 265 სასულიერო პირი) და 299 საერო პირი. საეკლესიო კრების წევრები სამ თანრიგად გაიყვნენ: ა) საეკლესიო კრების წევრები თანამდებობის მიხედვით, ბ) საეკლესიო კრების არჩეული წევრები, გ) საეკლესიო კრების მონვეული წევრები.

1917 წლის 15 აგვისტოს თანამდებობის მიხედვით საეკლესიო კრების წევრები გახდნენ უწმიდესი სინოდის წევრები (სულ 9 კაცი), ეპარქიათა მმართველი მიტროპოლიტები, არქიეპისკოპოსები და ეპისკოპოსები (სულ 73 კაცი), საეკლესიო კრების წინა საბჭოს წევრები (სულ 62 კაცი). გარდა ამისა, თანამდებობის მიხედვით საეკლესიო კრების წევრები გახდნენ: მოსკოვის მიძინების ტაძრის პროტოპრესვიტერი, სამხედრო ტაძრის პროტოპრესვიტერი, სამხ-



ედრო-საზღვაო ტაძრის პროტოპრესვიტერი, მონასტრების წინამძღვრები, საროვისა და ოპტის უდაბნოთა წინამძღვრები.

საეკლესიო კრების არჩეულ წევრთა შორის იყვნენ ეპარქიებში არჩეული წარმომადგენლები (ყოველი ეპარქიის სამღვდელოებიდან 2 დელეგატი, ერისკაცებიდან – 3 დელეგატი), სულ 330 კაცი. ამას დაემატა ზოგიერთი საქორეპისკოპოსოს წარმომადგენელი (სულ 11 კაცი), ასევე ბერების, სამხედრო და სამხედრო-საზღვაო უწყებაში მომსახურე სამღვდელოების წარმომადგენლები, სასულიერო აკადემიების 12 პროფესორი, უნივერსიტეტებისა და მეცნიერებათა აკადემიის 13 პროფესორი, სახელმწიფო საბჭოს და სახელმწიფო სათათბიროს წარმომადგენლები.

საეკლესიო კრების ყველა წევრი გადამწყვეტი ხმის მქონე იყო. საეკლესიო კრების წევრთაგან შეიქმნა ეპისკოპოსთა თათბირი. ეპისკოპოსთა თათბირის დანიშნულებას შეადგენდა გაერკვია საეკლესიო კრების მიერ მიღებულ დადგენილებათა და გადანყვეტილებათა შესაბამისობა წმიდა წერილთან, დოგმატებთან, საეკლესიო სამართალთან და საეკლესიო ტრადიციასთან. თუ ეპისკოპოსთა თათბირი საეკლესიო კრების მიერ მიღებულ დადგენილებას ან მის ნაწილს შეუსაბამოდ მიიჩნევდა (არ დაეთანხმებოდა), დადგენილება ხელახალი განხილვისათვის უბრუნდებოდა საეკლესიო კრებას. თუ იგივე დადგენილებას ეპისკოპოსთა თათბირის წევრთა სამი მეოთხედი მეორედ განხილვის დროსაც შეუსაბამოდ მიიჩნევდა (არ დაეთანხმებოდა) საეკლესიო კრების დადგენილება საბოლოოდ კარგავდა ძალას. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საეკლესიო კრება ეპისკოპოსთა თათბირის კონტროლით მუშაობდა.

საეკლესიო კრებამ შექმნა 22 განყოფილება და 3 თათბირი. საეკლესიო კრების წესდების 52-ე მუხლის ძალით საეკლესიო კრებამ შექმნა საეკლესიო კრების საბჭო, რომელშიც შედიოდნენ: საეკლესიო კრების თავმჯდომარე და მისი ოთხი ამხანაგი (მოადგილე), საეკლესიო კრების მდივანი და მისი თანაშემწეები და სამი წევრი (ეპისკოპოსი, თეთრი სამღვდელო და ერისკაცი).

საეკლესიო კრების საპატიო თავმჯდომარედ არჩეული იქნა კიევის მიტროპოლიტი ვლადიმირი (ბოგოაველინსკი), ხოლო თავმჯდომარედ – მოსკოვის მიტროპოლიტი ტიხონი (ბელავინი).

საეკლესიო კრების წევრების ნახევარზე მეტი ერისკაცები იყვნენ. ეს შემთხვევითი არ იყო. საეკლესიო კრებას უნდა მიეღო ისეთი გადამწყვეტილებები, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნე-

ბოდა რუსეთის ეკლესიისათვის. რუსეთის საეკლესიო იერარქებმა მიიჩნიეს, რომ ეკლესიის ბედის განსაზღვრაში შავი და თეთრი სამღვდელეობების გარდა, მონაწილეობა უნდა მიეღოთ ეკლესიის ბედით დაინტერესებულ ერისკაცებსაც. სასულიერო პირთა და ერისკაცთა ერთობლივი ნებით მიღებული გადაწყვეტილებები უფრო ბრძნული იქნებოდა. გარდა ამისა, რუსი საეკლესიო იერარქები ანგარიშს უწევდნენ იმასაც, რომ საეკლესიო კრებებში ერისკაცთა მონაწილეობა XIX საუკუნეში დამკვიდრდა კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის, სერბეთისა და ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიებში. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის საეკლესიო კრებაში ერისკაცთაგან ძირითადად წარმოდგენილი იყვნენ: სახელგანთქმული მეცნიერები ა. ი. ბრილიანტოვი, ვ. ნ. ბენეშევიჩი, ი. ვ. პოპოვი; რუსული რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის გამოჩენილი წარმომადგენლები: ს. ნ. ბულგაკოვი (დეკანოზი, უმაღლესი საეკლესიო საბჭოს წევრი) და ე. ნ. ტრუბეცკოვი; პროფესორები: პ. ი. ასტროვი, ი. მ. გრომოვლასოვი, ს. გ. რუნკევიჩი, ა. დ. სამარინი. საეკლესიო კრების მდივანი ვ. პ. შეინი, ასევე ერისკაცი იყო, რომელიც შემდეგ აღიკვეცა და არქიმანდიტის ხარისხში იქნა აყვანილი სერგის სახელით.

რუსეთის საეკლესიო კრება გაიხსნა მოსკოვის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში საზეიმო ღვთისმსახურებით. თავისი ხანგრძლივობით ეს იყო ერთ-ერთი დიდი კრება.

საეკლესიო კრების პირველი სესია (1917 წლის 15 აგვისტო – 1917 წლის 9 დეკემბერი) მიეძღვნა ეკლესიის უმაღლესი მმართველობის რეორგანიზაციის საკითხებს:

1. პატრიარქობის აღდგენა,
2. პატრიარქის არჩევნები,
3. პატრიარქის უფლებამოსილება,
4. უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების ორგანოების შექმნა,
5. უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების ორგანოების არჩევნები.

საეკლესიო კრების მეორე სესიაზე (1918 წლის 20 იანვარი – 1918 წლის 7 (20) აპრილი) იხილებოდა შემდეგი საკითხები:

1. საეპარქიო მმართველობის გარდაქმნა,
2. 1800 წელს დედაეკლესიასთან შეერთებული სტარობრიადეცების საეკლესიო ადმინისტრაციული მოწყობა,
3. სამწყსოს წესდების შემუშავება,
4. რუსეთის ეკლესიის წმინდანთა კანონიზაცია.

ძალზე რთული გამოდგა სამწყსოს წესდების შემუშავება. ამ საკითხის განხილვას მიეძღვნა საეკლესიო კრების 12 სხდომა. წესდება მიიღეს 1918 წლის 20 აპრილს საეკლესიო კრების მეორე სესიის 129-ე სხდომაზე.

საეკლესიო კრების მესამე სესია (1918 წლის 2 ივლისი – 1918 წლის 20 სექტემბერი) იხილავდა საკითხებს:

1. პატრიარქის არჩევის წესი,
2. პატრიარქის ტახტის მონაცვლის არჩევის წესი,
3. ახალი ეპარქიებისა და საქორეპისკოპოსოების დაარსება,
4. უკრაინის საეკლესიო საქმეები,
5. საეკლესიო სასამართლოს მიერ გადაყენებულ იერარქთა უფლებებში აღდგენა,
6. მონასტრებისა და ბერ-მონაზვნების თაობაზე,
7. საეკლესიო მსახურებაში ქალთა მონაწილეობის თაობაზე.

რუსეთის საეკლესიო კრებას (1917 წლის 15 აგვისტო – 1918 წლის 20 სექტემბერი) უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. საეკლესიო კრებამ დააკანონა ყოველი კარგი, რაც კი ეკლესიის სინოდალური მმართველობის პერიოდში (1721-1917 წწ.) დაგროვდა.

საეკლესიო კრების უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას წარმოადგენდა რუსეთის ეკლესიის მამამთავრის – **პატრიარქის** – თანამდებობის აღდგენა. 1917 წლის ზაფხულში საეკლესიო კრების წინა საბჭომ სასულიერო აკადემიის ზოგიერთი პროფესორის ზეგავლენით გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც პრაქტიკულად ეწინააღმდეგებოდა პატრიარქობის აღდგენას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათი აზრით, პატრიარქობისა და საეკლესიო კრების ერთად არსებობა არ შეიძლებოდა. ამ არასწორი გადაწყვეტილების მიღება შემთხვევით არ მომხდარა. საეკლესიო კრების წინა საბჭომი შედიოდა 40 ერისკაცი, 10 მღვდელი და 12 ეპისკოპოსი. ერისკაცები (40 ხმა) და თეთრი სამღვდლოება (10 ხმა) დაუპირისპირდა შავ სამღვდლოებას (12 ხმა) და შეეცადა ეკლესიაში თეთრი სამღვდლოებისა და ერისკაცთა პოზიციები განემტკიცებინა. პატრიარქობის აღდგენის იდეა „მოძველებულად და არადემოკრატიულად“ მიიჩნია უწმინდესმა სინოდმა. ეს აზრი გატარებული იქნა უწმიდესი სინოდის მიერ 1917 წლის 15 აგვისტოს დამტკიცებულ და საეკლესიო კრებისათვის წარდგენილ პროგრამაში. საეკლესიო კრების იმ

განყოფილებაში, რომელიც უმაღლესი საეკლესიო მმართველობის საკითხებს იხილავდა, ასევე საეკლესიო კრების უმრავლესობის სხდომებზე აშკარად გაილაშქრეს პატრიარქობის აღდგენის წინააღმდეგ. დიდი დებატების შემდეგ უმაღლესი საეკლესიო მმართველობის განყოფილებამ პატრიარქობის აღდგენის საკითხი საეკლესიო კრებას გადასცა განსახილველად. განხილვა შედგა 1917 წლის 11 ოქტომბერს. პატრიარქობის აღდგენის თაობაზე მთავარი მომხსენებელი იყო ასტრახანის ეპისკოპოსი **მიტროფანი (კრასნოპოლსკი)**. საეკლესიო კრების წევრი მიტროპოლიტი **ევლოგი (გეორგიევსკი)** აღნიშნავდა, რომ პატრიარქობის აღდგენის საკითხის განხილვის პროცესში საეკლესიო კრება, რომელიც მანამდე პარლამენტს უფრო წააგავდა, იქცა ნამდვილ საეკლესიო კრებად. საეკლესიო კრების იდეური ფერისცვალება აშკარა იყო. პატრიარქობის აღდგენის მომხრეთა პოზიციები განამტკიცა მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორის, არქიმანდრიტ **ილარიონის (ტროიცკის)** მოხსენებამ. მოხსენების სათაური ასეთი იყო: „რატომაა აუცილებელი პატრიარქობის აღდგენა?“ არქიმანდრიტი ილარიონი მოხსენებით 1917 წლის 23 ოქტომბერს გამოვიდა და საეკლესიო კრება პატრიარქობის აღდგენის სასარგებლოდ განაწყო. 1917 წლის 28 ოქტომბერს კრებამ პატრიარქობის აღდგენის თაობაზე ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო.

1917 წლის 31 ოქტომბერს მოხდა რუსეთის ეკლესიის პატრიარქობის კანდიდატთა შერჩევა. პატრიარქობის კანდიდატთა სიაში შევიდნენ: ხარკოვის არქიეპისკოპოსი **ანტონი (ხრაპოვიცკი)**, ნოვგოროდის არქიეპისკოპოსი **არსენი (სტადნიცკი)** და მოსკოვის მიტროპოლიტი **ტიხონი (ბელავინი)**. სამი კანდიდატის შესახებ თანამედროვენი აღნიშნავდნენ, რომ ისინი იყვნენ „ყველაზე ჭკვიანნი, ყველაზე მკაცრნი და ყველაზე კეთილნი“ რუსეთის ეკლესიის იერარქთა შორის.

პატრიარქობის სამი კანდიდატიდან პატრიარქის არჩევა საეკლესიო კრებას არ მოუხდენია. გადაწყდა: **პატრიარქი ღმერთის ნებით გამოირჩეულიყო**. 1917 წლის 5 ნოემბერს მოსკოვის ღვთისმშობლის ტაძარში საღვთო ლიტურგიის და ლოცვის შემდეგ საკურთხევილიდან გამოვიდა ღრმად მოხუცებული, ერთ-ერთი უდაბნოს სქემოსანი ბერი **ალექი**. ბერმა ალექსიმ სამჯერ გადაიწერა პირჯვარი და დაბეჭდილი პატარა კიდობნიდან (ზანდუკიდან), რომელიც ვლადიმირის სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატის წინ

იდო, ამოიღო კენჭი. ბერმა ალექსიმ კენჭი (ქალაღდი, რომელზეც აღნიშნული იყო პატრიარქობის კანდიდატის სახელი) გადასცა იქვე მდგარ კიევის მიტროპოლიტს **ვლადიმირს**. მიტროპოლიტმა ვლადიმირმა საეკლესიო კრებას ამცნო ღმერთის რჩეულის ვინაობა: „**ტიხონი, მიტროპოლიტი მოსკოვისა**“. ღვთის ნებით რუსეთის ეკლესიის პატრიარქი გახდა მოსკოვის მიტროპოლიტი **ტიხონი (ბელაჲინი)**.

რუსეთის ეკლესიის პატრიარქის ინტრონიზაცია შედგა მოსკოვის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღეს – 1917 წლის 21 ნოემბერს.

ჯერ კიდევ პატრიარქის არჩევამდე რუსეთის საეკლესიო კრებამ მიიღო შემდეგი დადგენილება:


1. რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში უმაღლესი ხელისუფლება – საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სასამართლო და მაკონტროლებელი – ეკუთვნოდა **საეკლესიო კრებას**. საეკლესიო კრება მოიწვეოდა პერიოდულად და მისი ნევრები უნდა ყოფილიყვნენ შავი სამღვდელოების (მიტროპოლიტების, არქიეპისკოპოსების, ეპისკოპოსების), თეთრი სამღვდელოებისა და ერისკაცთა წარმომადგენლები;

2. რუსეთის საეკლესიო მმართველობის სათავეში იდგა **პატრიარქი**;

3. პატრიარქი წარმოადგენდა **უპირველესს** თანასწორ ეპისკოპოსთა შორის;

4. პატრიარქი **საეკლესიო მმართველობის ორგანოებთან** ერთად ანგარიშვალდებული იყო საეკლესიო კრების წინაშე.

საეკლესიო კანონებზე დაყრდნობით, საეკლესიო კრებამ 1917 წლის 8 დეკემბრის დადგენილებით პატრიარქს მიანიჭა საეკლესიო კრების მოწვევისა და კრების თავმჯდომარეობის უფლება. პატრიარქს ასევე მიენიჭა ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებთან ურთიერთობის, რუსეთის ეკლესიის მრევლისადმი მიმართვის, საეპისკოპოსო კათედრებზე დანიშვნისა და გადაადგილების, მმართველი ეპისკოპოსებისათვის (არქიეპისკოპოსებისათვის, მიტროპოლიტებისათვის) რჩევის მიცემის, ეპისკოპოსთა საეკლესიო სასამართლოში მიცემის უფლება. იმავე დადგენილებით განისაზღვრა მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში პატრიარქის პასუხისმგებლობის საკითხის დასმის წესი.



საეკლესიო კრებიდან კრებამდე რუსეთის ეკლესიებში ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ფუნქციას ასრულებდნენ **საღვთო სინოდი და უმაღლესი საეკლესიო საბჭო**.

საღვთო სინოდის თავმჯდომარე პატრიარქი იყო. პატრიარქის გარდა, საღვთო სინოდში 12 წევრი შედიოდა. თორმეტი წევრიდან ერთი – კიევის მიტროპოლიტი – საღვთო სინოდის მუდმივი წევრი იყო. საღვთო სინოდის ექვს წევრს სამი წლის ვადით ირჩევდა საეკლესიო კრება. დანარჩენ ხუთ წევრს საღვთო სინოდის შემადგენლობაში იწვევდნენ ერთი წლის ვადით.

უმაღლესი საეკლესიო საბჭოს თავმჯდომარეც პატრიარქი იყო. პატრიარქის გარდა, საბჭოში შედიოდა 15 წევრი. თხუთმეტი წევრიდან სამი საღვთო სინოდში არჩეული საეკლესიო იერარქი (მიტროპოლიტი, არქიეპისკოპოსი, ეპისკოპოსი) იყო. საბჭოს ერთ წევრს, რომელიმე მონასტრის ბერს, საეკლესიო კრება ირჩევდა. საბჭოს დანარჩენ წევრთაგან ხუთი თეთრი სამღვდელი (მღვდელი, დიაკონი) უნდა ყოფილიყო, ხოლო ექვსი – ერისკაცი.

საღვთო სინოდსა და უმაღლეს საეკლესიო საბჭოში გადანყვეტილებას იღებდნენ საერთო თანხმობით, თუ ეს შეუძლებელი იყო – ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში თავმჯდომარის (პატრიარქის) ხმას ენიჭებოდა უპირატესობა (ორ ხმად ითვლებოდა). კენჭისყრაში მონაწილეთ უფლება არ ჰქონდათ თავი შეეკავებინათ.

საღვთო სინოდსა და უმაღლეს საეკლესიო საბჭოს უფლება ჰქონდა საეკლესიო კრების დადგენილების გაურკვევლობის (ბუნდოვანების) შემთხვევაში გაეკეთებინათ განმარტება.

1918 წლის 16 თებერვალს დამტკიცდა უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების ორგანოები – **საღვთო სინოდი და უმაღლესი საეკლესიო საბჭო**. საეკლესიო კრების 1918 წლის 74-ე ოქმის ძალით უწმიდესმა სინოდმა არსებობა შეწყვიტა და მთელი საქმეები გადაეცა საღვთო სინოდისა და უმაღლეს საეკლესიო საბჭოს.

საეკლესიო კრების მიერ ეპარქიალური მმართველობის თაობაზე მიღებული დადგენილებით განისაზღვრა ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსების არჩევის წესი და მისი კომპეტენცია, ეპარქიალური მმართველობის ორგანოების (საეპარქიო კრება და საეპარქიო საბჭო) კომპეტენცია და მათი მოქმედების წესი, საბლაგოჩინო ოკრუგის მმართველი ორგანოს (საბლაგოჩინო საბჭოს) და ბლაგოჩინის კომპეტენცია და მოქმედების წესი.



საეკლესიო კრებაზე დიდი ყურადღება დაეთმო **ეკლესიის სამწყნოს** საკითხს. კრებამ მიიღო **სამწყნოს წესდება**. წესდების ძალით ეკლესიის სამწყნოს ხელმძღვანელობდა **ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი** ეკლესიის წინამძღვართან ერთად. სამწყნოს მართვა-გამგეობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა **საეკლესიო მამასახლისს** და თვით სამწყნოს წევრებს (მრევლს). სამწყნოს კრება სამი წლის ვადით ირჩევდა **საბჭოს**, რომელიც განაგებდა ყველა საქმეს, მათ შორის, საეკლესიო ქონებას. სამწყნოს საბჭოში შედიოდნენ: ეკლესიის კრებულნი (მღვდელი, დიაკვანი, მეფსალმუნე), საეკლესიო მამასახლისი, მრევლის წევრები. სამწყნოს საბჭოს თავმჯდომარე იყო ეკლესიის წინამძღვარი, მოადგილე შეიძლებოდა ყოფილიყო სასულიერო პირიც და ერისკაციც.

რუსეთის საეკლესიო კრებამ მუშაობა დაიწყო დროებით მთავრობის მოღვაწეობის პერიოდში, კრების მუშაობა კი დასრულდა რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ – ბოლშევიკური დიქტატურის, წითელი ტერორის პერიოდში. საეკლესიო კრების მიერ მიღებული „**განჩინება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამართლებრივი მდგომარეობის თაობაზე**“ არ ითვალისწინებდა ქვეყანაში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებს. უფრო მეტიც, საეკლესიო კრებამ უარყოფითად შეაფასა საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) 1918 წლის 23 იანვრის დეკრეტი „**სახელმწიფოდან ეკლესიისა და ეკლესიიდან სკოლის გამოყოფის თაობაზე**“. საეკლესიო კრების მიერ ეს დეკრეტი სავსებით სამართლიანად შეფასებული იქნა როგორც „**ეკლესიის აშკარა დევნა**“.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში უმძიმესი პერიოდი იწყებოდა.



თავი მესამე

რუსეთის ეკლესია 1918-1925 წლებში

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდი დაემთხვა პატრიარქ **ტიხონის** მოღვაწეობას.

პატრიარქი **ტიხონი** (ერისკაცობაში ვასილი ივანეს ძე ბელავინი) დაიბადა 1865 წლის 19 (31) იანვარს ფსკოვის გუბერნიის ქ. ტოროპეცში (ახლანდელი კალინინგრადის ოლქი) მღვდლის ოჯახში. დაასრულა ტოროპეცის სასულიერო სასწავლებელი და **ფსკოვის სასულიერო სემინარია**. სემინარიის დასრულების შემდეგ შევიდა **სანკტ-პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში**, რომელიც 1888 წელს დაასრულა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით. სასურველი აკადემიის დასრულების შემდეგ მოღვაწეობდა ფსკოვის სასულიერო სემინარიაში, სადაც ასწავლიდა ჯერ ფრანგულ ენას, ხოლო შემდეგ – ღვთისმეტყველებას. 1891 წლის ნოემბერში ვასილ ბელავინი ბერად აღიკვეცა **ტიხონის** სახელით, ხოლო იმავე წლის 22 დეკემბერს ხელდასხმული იქნა **იეროდიაკვნად**. 1892 წლის მარტში იეროდიაკონი ტიხონი დაინიშნა ვარშავის ეპარქიის ქ. ხოლმის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად. იმავე წელს იგი გადაიყვანეს ქ. ყაზანში სასულიერო სემინარიის რექტორად და ხელდასხმული იქნა **არქიმანდრიტად**. 1894 წელს არქიმანდრიტი ტიხონი ინიშნება ქ. ხოლმის სასულიერო სემინარიის რექტორად, იმავედროულად ინიშნება ვარშავის ეპარქიის მონასტრების **ბლაგოჩინად**. 1897 წლის 19 ოქტომბერს სანკტ-პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის მონასტრის სამების ეკლესიაში არქიმანდრიტი ტიხონი ხელდასხმული იქნა ვარშავის ეპარქიის **ლუბლინის ეპისკოპოსად** და ვარშავის ეპარქიის **ქორეპისკოპოსად**. 1898 წლის 14 სექტემბერს ეპისკოპოსი ტიხონი დაინიშნა ალუტისა და ალიასკის (1900 წლიდან – ალუუტისა და ჩრდილო ამერიკის) **ეპისკოპოსად**. ეპისკოპოსი ტიხონი ამერიკაში შვიდი წელი მოღვაწეობდა. 1905 წლის 5 მაისს ეპისკოპოსი

ტიხონი არქივისკოპოსის ხარისხში იქნა აყვანილი. 1907 წელს არქივისკოპოსი ტიხონი გადაყვანილი იქნა იაროსლავლ-როსტოვის უძველესი ეპარქიის მმართველ არქივისკოპოსად. 1911 წელს არქივისკოპოსი ტიხონი დაინიშნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი სინოდის ანგლიკანური და ძველკათოლიკური კომისიის თავმჯდომარედ. ტიხონამდე ამ კომისიას თავმჯდომარეობდნენ ცნობილი იერარქები და ღვთისმეტყველები მიტროპოლიტი ანტონი (ვადკოვსი) და მიტროპოლიტი სერგი (სტრაგოროდსკი). კომისიის თავმჯდომარედ არქივისკოპოს ტიხონის დანიშვნა მისი ღვაწლის აღიარებას ადასტურებდა. 1913 წლის დეკემბერში ტიხონი ლიტვიისა და ვილნოს არქივისკოპოსად ინიშნება. პირველი მსოფლიო ომის დაწყების (1914 წ.) შემდეგ უწმიდესმა სინოდმა არქივისკოპოსი ტიხონი პეტროგრადში გაიწვია. 1917 წლის 19 ივნისს მოსკოვის ეპარქიის ყრილობამ ლიტვიისა და ვილნოს არქივისკოპოსი ტიხონი მოსკოვისა და კოლომნის მიტროპოლიტად აირჩია. 1917 წლის 5 ნოემბერს საეკლესიო კრებამ მიტროპოლიტი ტიხონი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქად აირჩია.

საბჭოთა ხელისუფლება ათეიზმის პრინციპებიდან გამომდინარე ღიად დაუპირისპირდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას. ბოლშევიკები არ მალავდნენ, რომ მათ მიზანს ეკლესიის დარბევა წარმოადგენდა. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ლიდერები სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში ეკლესიას ადგილს არ უტოვებდნენ. უფრო მეტიც, რუსეთის ეკლესია განიხილებოდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი, ე. წ. „კონტრრევოლუციურ“ ძალად, რომლის დასუსტებისა და განადგურების გარეშე რუსეთში სოციალიზმი ვერ გაიმარჯვებდა.

საბჭოთა ხელისუფლება წითელი ტერორის დაწყებამდე ეკლესიის როლის დაკნინებას ანტიეკლესიური, ანტირელიგიური კანონების გამოცემით ცდილობდა. 1918 წლის 20 იანვარს გამოიცა საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) დეკრეტი „სინდისის თავისუფლების, საეკლესიო და რელიგიური საზოგადოებების თაობაზე“. 1918 წლის 23 იანვარს გამოიცა საბჭოთა რუსეთის სახალხო საბჭოს მეორე დეკრეტი – „სახელმწიფოდან ეკლესიის და ეკლესიიდან სკოლის გამოყოფის თაობაზე“. ამ დეკრეტის ძალით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია გაუთანაბრდა რუსეთში არსებული სხვადასხვა რელიგიურ თემებსა და ორგანიზაციებს. ამიერიდან რუსეთის ეკლესია სახელმწიფოსა-


გან არავითარ ფინანსურ დახმარებას აღარ მიიღებდა, ხოლო მისი ქონება გამოცხადდა „საერთო-სახალხო მონაპოვრად“. რელიგიის მათ შორის, მართლმადიდებლობა, ითვლებოდა საბჭოთა რუსეთის მოქალაქეების პირად (კერძო) საქმედ. საეკლესიო ფიცის დადება გაუქმდა, ჯვრისწერამ დაკარგა იურიდიული ძალა, სასკოლო პროგრამებიდან ამოიღეს საღვთო სჯულის სწავლება. რელიგიურ თემებს დაუტოვეს უფლება თავისი ხარჯით შეენახათ სპეციალური რელიგიური სასწავლებლები, სადაც მორწმუნეები განათლების მიღებას შეძლებდნენ.

სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა დაადასტურა საბჭოთა რუსეთის კონსტიტუციამ, რომელიც 1918 წლის 10 (23) ივლისს მიიღო სრულიად რუსეთის საბჭოების V ყრილობამ.

საბჭოთა ხელისუფლების ანტიეკლესიური, ათეისტური პოლიტიკა შემდეგ მიზანს ისახავდა: 1. სახელმწიფოში ეკლესიის ტრადიციული როლის უარყოფა; 2. რუსეთის ეკლესიის ქონების მიტაცება; 3. ღვთისმომსახურების შეზღუდვა და შემდეგ საერთო აკრძალვა; 4. საეკლესიო გამოცემების (პერიოდიკისა და წიგნების) აკრძალვა; 5. შავი და თეთრი სამღვდელოების ტერორიზება; 6. ეკლესიის მრევლის ტერორიზება; 7. ახალგაზრდობის ჩამოცილება ეკლესიისაგან. ყოველივე ეს იდეურად და ეკონომიკურად დააუძღურებდა რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას, მნიშვნელოვნად შეამცირებდა მის მრევლს.

საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ქვეყნის პოლიტიკური ლიდერები ვლადიმერ ლენინი, ლევ ტროცკი და სხვები საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველი დღეებიდანვე რუსეთის მოსახლეობის ტერორიზების პოლიტიკას დაადგინენ. ტერორმა არნახული მასშტაბები მიიღო 1918 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე, მოსკოვში მემარცხენე ესერების ამბოხებისა და ვლადიმერ ლენინზე თავდასხმის შემდეგ. უამრავი ადამიანი სასამართლოს გარეშე დახვრიტეს, კიდევ უფრო მეტი ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში გამოკეტეს. განსაკუთრებული სისასტიკით იღვენებოდა თავადაზნაურობა, ბურჟუაზია, მეფის არმიის ოფიცრები, ინტელიგენცია და სამღვდელოება. საზოგადოებაში შიშმა დაიმკვიდრა. ტერორს არ შეუშინდა რუსეთის პატრიარქი ტიხონი.

1918 წლის 13 (26) ოქტომბერს, „ნითელი ტერორის“ მძვინვარების პირობებში, პატრიარქმა ტიხონმა წერილი გაუგზავნა საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობას). პატრიარქის



ნერილს ეპიგრაფად წამძღვარებული ჰქონდა სიტყვები მათეს სახარებიდან: „რამეთუ ყოველთა რომელთა აღიღონ მახლი, მახლითა წარწყმდენ“ (მათე, 26, 52). ნერილი პირდაპირ მხილვებით იწყებოდა: „მაცხოვრის ამ წინასწარმეტყველებით მოგმართავთ თქვენ, ჩვენი სამშობლოს ამჟამინდელ ბედის გამგებელთ, საკუთარ თავს „სახალხო კომისრებს“ რომ უწოდებდათ. ერთი წელია სახელმწიფო ხელისუფლება გიპყრიათ და უკვე ემზადებით აღნიშნოთ ოქტომბრის რევოლუციის წლისთავი. თქვენი ბრძანებით შეუბრალებლად მოკლული ჩვენი ძმების სისხლი მდინარეებად მოედინება, ზეცას შესჩუხჩუხებს და მე მაიძულებს მწარე სიმართლე გითხრათ“.

პატრიარქი ტიხონი საბჭოთა ხელისუფლებას ბევრ ბრალდებას უყენებდა:

1. ხალხის მოტყუება, დანაპირების შეუსრულებლობა: „სინამდვილეში თქვენ ხალხს პურის ნაცვლად ქვა, ხოლო თევზის ნაცვლად გველი მიეცით“ (მათე, 7, 9, 10).

2. გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან სამარცხვინო ზავის (1918 წლის 3 მარტის ბრესტის ზავის) დადებაში: „რუსეთი მიიყვანეთ სამარცხვინო ზავამდე, რომლის დამამცირებელი პირობების მთლიანად გამოქვეყნება თქვენ თვითონვე ვერ გაგიბედიათ“.

3. არმიის გახრწნა და დაშლა: „წინათ მამაც და უძლეველ ჯარისკაცებს თქვენ სამშობლოს დაცვაზე აალებინეთ ხელი, ასწავლეთ ბრძოლის ველიდან გაქცევა“.

4. სოციალური დემაგოგის გზით რუსი ხალხის ორად გახლეჩა და მათი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირება: „თქვენ ხალხი დაჰყავით ორ მტრულ ბანაკად და ჩაითრიეთ ისინი თავისი სისასტიკით აქამდე არნახულ ძმათამკვლელ ომში. ქრისტესმიერი სიყვარული თქვენ სიძულვილით შესცვალეთ და მშვიდობის დამყარების ნაცვლად ხელოვნურად გააჩაღეთ კლასობრივი მტრობა“.

5. ტერორისა და ძალმომრეობის დამკვიდრება: „გარეშე მტერთან სამარცხვინო ზავის დადება რუსეთს კი არ სჭირდებოდა, გჭირდებოდათ თქვენ, რათა საბოლოოდ დაგენგრიათ ქვეყნის შიგნით მშვიდობა. არავინ არ გრძნობს თავს უსაფრთხოდ, ყველა ცხოვრობს ჩხრეკის, ძარცვის, გადასახლების, დაპატიმრების, დახვრეტის მუდმივი შიშის პირობებში“.

6. სასულიერო პირების დევნა და მკვლელობა: „სიკვდილით სჯიან ეპისკოპოსებს, მღვდლებს, ბერებს. ისინი უდანაშაულონი არიან, მათ ბრალს სდებენ სრულიად გაუგებარ „კონტრრევოლუციამ““.

7. ხალხის გონების დაბნელება და გამხეცება: „ბნელი მასა აცდუნეთ ქონების ადვილად მოხვეჭის დაპირებით, დააბნელეთ შიში გუნება და დაუკარგეთ ცოდვის შეგრძნება“.

8. ხალხისათვის დაპირებული თავისუფლების უგულვებლყოფა: „არავითარი თავისუფლება თქვენ ხალხისათვის არ მიგიციათ... ნამდვილი სამოქალაქო თავისუფლების, ისევე, როგორც ადამიანის სულიერი თავისუფლების ყოველგვარი გამოვლინება თქვენ დაუნდობლად ჩაახშვით“.

9. რწმენის თავისუფლების ფეხქვეშ გათელვა: „განსაკუთრებით სასტიკი და მტკივნეულია რწმენის თავისუფლების შელახვა. დღე არ გავა, რომ თქვენს პრესაში არ გამოქვეყნდეს საშინელი ცილისწამება ქრისტეს ეკლესიისა და ღვთისმსახურთა მიმართ“.

პატრიარქ ტიხონის წერილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი ასეთი მონოდებით მთავრდება: „ხელისუფლებაში თქვენი ყოფნის ერთი წლისთავი აღნიშნეთ პატიმრობაში მყოფთა განთავისუფლებით, სისხლის ღვრის, ძალადობის, რბევის, რწმენის დევნის შეწყვეტით. შეწყვიტეთ ნგრევა, შეუდექით ნესრიგისა და კანონიერების დამკვიდრებას“. ამ მონოდების შეუსრულებლობის შემთხვევაში პატრიარქი საბჭოთა ხელისუფლებას სახარების სიბრძნეს შეახსენებდა: „რაითა იძიოს სისხლი ყოველთა წინასწარმეტყველთა, დათხეული დასაბამითგან სოფლისათ ნათესავისა ამისაგან“ (ლუკა, 11, 51); „რამეთუ ყოველთა რომელთა აღიღონ მახლი, მახლითა წარწყმდენ“ (მათე, 26, 52).

საბჭოთა ხელისუფლების ანტიეკლესიური პოლიტიკის კიდევ ერთ დადასტურებას წარმოადგენდა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 23 თებერვლის დეკრეტი „საეკლესიო ფასეულობათა ამოღების თაობაზე“. საბჭოთა ხელისუფლება აცხადებდა, რომ ეკლესიებიდან გატანილი ფასეულობანი (ძირითად ოქროსა და ვერცხლის საეკლესიო ნივთები, ძვირფასი თვლები და სხვ.) იმ რეგიონების მოსახლეობის გადასარჩენად იყო გამიზნული, სადაც შიმშილი მძვინვარებდა და ასი ათასობით ადამიანი იღუპებოდა. სინამდვილეში ეკლესიებიდან გატანილი ფასეულობის ერთი მეათედიც არ ყოფილა გამოყენებული მოშიმშილეთა გადასარჩენად. ეკლესიებიდან გატანილი ოქროსა და ვერცხლის ნივთები, ასევე ძვირფასი თვლები სამხედრო-პოლიტიკური მიზნებისათვის იქნა გამოყენებული.

ეკლესიებიდან ფასეულობათა გატანას სასტიკი წინააღმდეგობა გაუნია სამღვდელოებამ და მრევლმა. რუსეთის ყველა რეგიონში ათასობით სასულიერო პირი და მორწმუნე მხეცურად მოკლეს უშუალოდ ეკლესიებსა და მონასტრებში. სამღვდელოებისა და მრევლის წინააღმდეგობა საბჭოთა ხელისუფლებამ საბოტაჟად მიიჩნია. დაპატიმრებულ იქნა ათი ათასობით სასულიერო და საერო პირი. 1922 წლის 10 ივნისს პეტროგრადში დაიწყო 86 სასულიერო პირის სასამართლო პროცესი. საგანგებო ტრიბუნალის განაჩენით დახვრიტეს: პეტროგრადის მიტროპოლიტი **ბენიამინი (კაზანსკი)**, ეპისკოპოსი **ბენედიქტი (პლოტნიკოვი)**, არქიმანდრიტი **სერგი (შეინი)**, ასევე პროფესორი **იური ნოვიცკი**, პროფესორი **იოანე კოშაროვი** და სხვები.

1922 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე ძალზე დაიძაბა ურთიერთობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და საბჭოთა რუსეთის მთავრობას შორის. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის, ბოლშევიკი ლიდერების გააფთრება გამოიწვია პატრიარქ ტიხონის 1920 წლის 28 თებერვლის ეპისტოლეში. ეპისტოლეში საბჭოთა ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკა და კერძოდ, ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები უარყოფითად იყო შეფასებული. ხელისუფლებამ ეს მომენტი ხელიდან არ გაუშვა და სამღვდელოება კონტრრევოლუციურ განწყობილებასა და საბჭოთა კანონების საბოტაჟში დაადანაშაულა. 1922 წლის მარტში პატრიარქი ტიხონი დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს. ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში პატრიარქი თავის მოვალეობას ვეღარ ასრულებდა. ამით ისარგებლა სამღვდელოების ნაწილმა, რომელიც თავს „**პროგრესულ სამღვდელოებას**“ უწოდებდა და ეკლესიის „**განახლების**“ მოტივით რუსეთის ეკლესიაში განხეთქილების შეტანა სცადა. ამ რთულ ვითარებაში შავი და თეთრი სამღვდელოების უდიდესმა ნაწილმა და მრევლმა პატრიარქ ტიხონს უერთგულა. პატრიარქი ტიხონი და მისი თანამოაზრეები ცდილობდნენ გადაერჩინათ რუსეთის ეკლესია. ეს კი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ გარკვეული კომპრომისის მოითხოვდა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, მისი პატრიარქი, სამღვდელოება და მრევლი უნდა შეჰგუებოდა იმას, რომ ეკლესია ათეისტურ სახელმწიფოში არსებობდა, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების, ქვეყნის პოლიტიკური ლიდერების მიზანი რუსეთის ეკლესიის დარბევა, მისი იდეური დაკნინება და ეკონომიკური დაუძლურება იყო.

პატრიარქი ტიხონოვი 1923 წლის 18 ივნისის (1 ივლისის) ეპისტოლეში აღნიშნავდა: „რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას არ სურს იყოს არც „თეთრი“ და არც „წითელი“ ეკლესია. ის უნდა იყოს და იქნება კიდეც ერთიანი, მოციქულთა კანონებზე დაფუძნებული ეკლესია. ეკლესიის პოლიტიკურ ბრძოლაში ჩათრევის ყოველი მცდელობა, ვისი მხრიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი, უარყოფილი და დაგმობილი იქნება“.

1923 წლის 18 ივნისსავე პატრიარქმა ტიხონმა პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ პირველად სწირა მოსკოვის დონის მონასტერში. ღვთისმსახურებისას პატრიარქმა განაცხადა: ეკლესიის მიზანია „დედამინაზე დასთესოს ქრისტეს მოძღვრება ძმობისა და ყოვლისმძლე სიყვარულის თაობაზე. ვნებათაგან შეპყრობილ ადამიანებს დღეს ეს განსაკუთრებით ესაჭიროებათ. ეკლესიამ მისი ძირითადი დანიშნულება უნდა შეასრულოს“.

სამღვდელოების ნაწილის – „განმაახლებელთა“ – მცდელობა განხეთქილება შეეტანათ რუსეთის ეკლესიაში თავის სასარგებლოდ გამოიყენა კონსტანტინეპოლის პატრიარქმა გრიგოლ VIII-მ და რუსეთის ეკლესიის საშინაო საქმეებში ჩარევას შეეცადა. 1924 წელს პატრიარქი ტიხონი კონსტანტინეპოლის პატრიარქს წერდა: „მე და ჩემი სამწყსო ღვთის ეკლესიის, მშობლიური მართლმადიდებლობის და ჩვენი მთავრობის ერთგულნი ვართ. მხოლოდ ეკლესიის მტრებს, რომლებიც არეულობასა და მტრობას სთესენ, შეუძლიათ თქვან და ამტკიცონ საწინააღმდეგო“.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში პატრიარქი ტიხონი თითქმის ყოველ დღე ლოცულობდა, სწირავდა მოსკოვის ტაძრებში. ღვთისმსახურების შემდეგ პატრიარქი დონის მონასტრის მცირე კელიაში, სადაც იგი ცხოვრობდა, მორწმუნეთ ხვდებოდა. ღამით პატრიარქი მომავალი ქადაგების ტექსტის შედგენით იყო დაკავებული, ძილისათვის დრო თითქმის არ რჩებოდა.


1925 წლის დამდეგს სტენოკარდიული შეტევის შემდეგ პატრიარქი ტიხონი კლინიკაში მოათავსეს. ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზულად გაუარესების მიუხედავად, პატრიარქი კლინიკიდან განაგებდა რუსეთის ეკლესიას. პატრიარქს გვერდში ედგნენ თანამოაზრეები, პირველ რიგში კრუტიცკის მიტროპოლიტი პეტრე. დროდადრო პატრიარქი ტიხონი მოსკოვის ეკლესიებში ლოცულობდა და სწირავდა. პატრიარქის ღვთისმსახურებას მრევლისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

გარდაცვალებამდე ერთი დღით ადრე, 1925 წლის 25 მარტს (7 აპრილს), პატრიარქმა ტიხონმა ხელი მოაწერა ეპისტოლეს. ეპისტოლე პრესაშიც გამოქვეყნდა და, არც თუ მთლად სწორად, პატრიარქის „ანდერძად“ იქნა მიჩნეული.

პატრიარქი ტიხონი მის თანამედროვე ისტორიულ პროცესსაც გულისხმობდა, როცა ეპისტოლეში წერდა: „დროა მორწმუნეებმა გაიაზრონ ქრისტიანული მსოფლმხედველობა: „ხალხების ბედს ღმერთი განაგებს და ის, რაც ხდება ღმერთის ნებაა“. პატრიარქი ითვალისწინებდა შექმნილ უმძიმეს ვითარებას და მრევლს ასე მიმართავდა: „ისე რომ ცოდვაში არ ჩავევარდეთ ჩვენი რწმენისა და ეკლესიის მიმართ, არ შევცვალოთ მათში რაიმე, არ დავეშვათ არავითარი კომპრომისი რწმენის საკითხში სამოქალაქო თვალსაზრისით ჩვენ გულწრფელნი უნდა ვიყოთ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ“. თუ ღრმად გავიაზრებთ პატრიარქ ტიხონის ეპისტოლეს, ცხადი ხდება, რომ საბჭოთა ხელისუფლებას იგი ღვთის სასჯელად თვლიდა და მრევლს ამ სასჯელის დათმენისაკენ მოუწოდებდა.

1917-1922 წლების სამოქალაქო ომმა მნიშვნელოვნად შესცვალა რუსეთის ეკლესიის ეპარქიებისა და საეკლესიო ოკრუგების ისტორიულად ჩამოყალიბებული საზღვრები.

ეპარქიებმა, რომელთაც კავშირი აღარ ჰქონდათ მოსკოვის საპატრიარქოსთან შექმნეს თვითმმართველობის დროებითი ორგანოები. 1918 წლის ნოემბერში დროებითი უმაღლესი საეკლესიო მმართველობა შექმნა ქ. ტომსკში გამართულმა ციმბირის საეკლესიო თათბირმა. თათბირში მონაწილეობდა 13 საეკლესიო იერარქი ურალისა და ციმბირის ეპარქიებიდან, ასევე 1917-1918 წლების რუსეთის საეკლესიო კრების წევრი თეთრი სამღვდელეობა და ერისკაცები. დროებითი უმაღლესი საეკლესიო მმართველობა შექმნა 1919 წლის მარტში ქ. სტავროპოლში გამართულმა სამღვდელეობის კრებამ კრებას 11 ეპისკოპოსი ესწრებოდა. ციმბირის დროებითი უმაღლესი საეკლესიო მმართველი სათავეში იდგა ომსკისა და პავლოდარის არქიეპისკოპოსი სილვესტრი (ოლშანსკი). სამხრეთ რუსეთის დროებითი უმაღლესი საეკლესიო მმართველობის სათავეში იდგა დონისა და ნოვოჩერკოვსკის არქიეპისკოპოსი მიტროფანი (სიმაშკევიჩი), საპატიო თავმჯდომარე იყო კიევისა და გალიციის მიტროპოლიტი ანტონი (ხრაპოვიცკი).



თეთრი მოძრაობის დამარცხების შემდეგ უამრავი რუსი აღმოჩნდა სამშობლოს ფარგლებს გარეთ: ალექსანდრე კოლჩაკის არმიის ოფიცრები და ჯარისკაცები – ჩინეთში, ანტონი დენიკინისა და პეტრე ვრანგელის არმიების ოფიცრები და ჯარისკაცები – ევროპაში. ემიგრანტთა ძირითადმა მასამ ევროპაში მოიყარა თავი. 1920 წლის 1 ოქტომბრის ცნობით ევროპის ქვეყნებში იმყოფებოდა დაახლოებით 2 მილიონი რუსი ემიგრანტი. ემიგრანტთა რაოდენობა შემდეგში კიდევ უფრო გაიზარდა.

ევროპაში გადახვენილმა რუსებმა მიაშურეს XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დამდეგს ევროპის ქალაქებში აგებულ ეკლესიებს. ამ დროისათვის მართლმადიდებლური ეკლესიები მოქმედებდა: ვაისბადენში (აკურთხეს 1855 წელს), პარიზში (აკურთხეს 1861 წელს), ჟენევაში (აკურთხეს 1866 წელს), დრეზდენში (აკურთხეს 1874 წელს), კოპენჰაგენში (აკურთხეს 1883 წელს), ვენაში (აკურთხეს 1899 წელს), ფლორენციაში (აკურთხეს 1903 წელს) და სხვ. კანონიკური თვალსაზრისით, ყველა ამ ეკლესიას განაგებდა პეტროგრადის (პეტერბურგის) მიტროპოლიტი. სამოქალაქო ომის პირობებში პეტროგრადის მიტროპოლიტი პრაქტიკულად ვეღარ მართავდა ევროპაში არსებული რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს. ამიტომ იყო, რომ ყირიმში შექმნილმა რუსეთის უმაღლესმა საეკლესიო მმართველობამ სამხრეთ რუსეთსა და სამხრეთ უკრაინაში საბჭოთა წითელი არმიის შეჭრამდე (ამ ტერიტორიას იმხანად პეტრე ვრანგელის არმია უწევდა კონტროლს) 1920 წლის 2 (15) ოქტომბერს ქ. სიმფეროპოლში მიიღო გადაწყვეტილება დასავლეთ ევროპაში არსებული რუსული მართლმადიდებელი ეკლესიების მმართველობის შექმნის თაობაზე. მმართველობის ხელმძღვანელობა არჩევისკოპოს ევლოგის (გეორგიევსკის) დაეკისრა. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, პატრიარქმა ტიხონმა 1921 წლის 8 აპრილს გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც დროებით „პეტროგრადთან კანონიკური კავშირის აღდგენამდე“ დასავლეთ ევროპაში არსებული რუსული მართლმადიდებლური ეკლესიები არჩევისკოპოს (1922 წლიდან მიტროპოლიტს) ევლოგის (გეორგიევსკის) დაუქვემდებარა. მალე ყირიმში მყოფი რუსეთის დროებითი უმაღლესი საეკლესიო მმართველობა ემიგრაციაში (თავდაპირველად კონსტანტინეპოლში, შემდეგ სერბეთში) წავიდა. რუსეთის დროებითი უმაღლესი საეკლესიო მმართველობა კარგად მიიღო სერბეთის პატრიარქმა დიმიტრიმ. სერბეთში მმართველობამ

სახელწოდება შეიცვალა და ამიერიდან (1921 წლიდან) ასე იწოდებოდა: „**საზღვარგარეთის დროებითი უმაღლესი საეკლესიო მმართველობა**“. მმართველობა ქ. კარლოვიცეში (სერბეთის პატრიარქის რეზიდენცია) იმყოფებოდა. კარლოვიცეში მყოფ საზღვარგარეთის დროებითი უმაღლესი საეკლესიო მმართველობის სათავეში იდგა მიტროპოლიტი **ანტონი (ხრაპოვიცი)**. მმართველობის მდივანი და იმავდროულად ქ. ბელგრადში გამომავალი „საეკლესიო უწყებების“ რედაქტორი იყო რუსეთის არმიისა და სამხედრო ფლოტის პროტოპრესვიტერის კანცელარიის ყოფილი უფროსი **ე. მახარობლიძე**.

კარლოვიცეში მყოფი საზღვარგარეთის დროებით უმაღლესი საეკლესიო მმართველობას კარგი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთიდან ემიგრირებულ პეტრე ვრანგელის არმიის ოფიცრობასთან. საერთო ძალისხმევით 1922 წელს მოწვეული იქნა რუსეთიდან ევროპაში გადახვენილი რუსი სამღვდელოების კრება, რომელსაც შემდგომში ეწოდა „**სრულიად საზღვარგარეთის რუსული საეკლესიო კრება**“ (ამ სახელწოდებას მალე დაემატა სიტყვა „პირველი“, რადგან 1939 წელს მეორე საეკლესიო კრება იქნა მოწვეული). რუსი სამღვდელოების კრების (საეკლესიო კრების) მოწვევის ინიციატორი იყო სევასტოპოლის ყოფილი ეპისკოპოსი **ბენიამინი (ფედჩენკო)**. ეპისკოპოს ბენიამინის აზრით, რუსეთიდან გადახვენილი ყველა მორწმუნე უნდა გამხდარიყო საზღვარგარეთის რუსული ეკლესიის მრევლი.

1922 წელს კარლოვიცეში გამართული საზღვარგარეთის რუსული ეკლესიის კრების თავმჯდომარე მიტროპოლიტი **ანტონი (ხრაპოვიცი)** ემიგრანტების მიერ პოლიტიკურ ბრძოლაში იქნა ჩათრეული. განხეთქილება დაიწყო საეკლესიო კრების პირველსავე დღეს. საეკლესიო კრებას უნდა მიეღო დოკუმენტი – „**მიმართვა საზღვარგარეთის რუს მართლმადიდებელ ლტოლვილებს**“. კრების მონაწილეების ერთი ჯგუფი (34 კაცი) არქიეპისკოპოს **ევლოგის (გეორგიევსკის)** ხელმძღვანელობით მიიჩნევდა, რომ მიმართვა არ უნდა ყოფილიყო პოლიტიკური დოკუმენტი. კრებამ კი აუცილებლად მიიჩნია პოლიტიკური ხასიათის დოკუმენტის მიღება, რაც შეცდომა იყო. შეცდომა იყო ისიც, რომ საეკლესიო კრება მთელი რუსეთის ეკლესიის სახელით გამოდიოდა.

რუსეთის პატრიარქი **ტიხონი** დაეთანხმა არქიეპისკოპოს ევლოგის (გეორგიევსკის) აზრს და დაგმო კარლოვიცეში გამართული საეკლესიო კრების უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილე-

ბები. 1922 წლის 22 აპრილს (5 მაისს) რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი მმართველობის ორგანოებმა – საღვთო სინოდმა და უმაღლესმა საეკლესიო საბჭომ – მიიღეს დადგენილება საზღვარგარეთის დროებითი უმაღლესი საეკლესიო მმართველობის გაუქმების თაობაზე. კარლოვიცეში გამართული საეკლესიო კრების მონაწილეებმა არ სცნეს ხსენებული დადგენილება. მათი აზრით, დადგენილება მიღებული იყო საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მოთხოვნით. გარდა ამისა, დადგენილებას ხელს აწერდა არა რუსეთის პატრიარქი ტიხონი, არამედ არქიეპისკოპოსი ფადეი (უსპენსკი) და სხვა საეკლესიო იერარქები. უნდა აღინიშნოს, რომ კანონიკური თვალსაზრისით, რუსეთის პატრიარქის ტიხონის, საღვთო სინოდისა და უმაღლესი საეკლესიო საბჭოს პოზიცია აბსოლუტურად სწორი იყო.

პატრიარქმა ტიხონმა ვერ შესძლო საზღვარგარეთ მოღვაწე რუსი საეკლესიო იერარქების დარწმუნება, ისინი მტკიცედ იცავდნენ კარლოვიცეში გამართული საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებს. პატრიარქი იძულებული გახდა ორჯერ (1923 წლის ნოემბერში და 1925 წლის აპრილში) ხელახლა დაედასტურებინა 1922 წლის 22 აპრილის (5 მაისის) ბრძანება საზღვარგარეთის დროებითი უმაღლესი საეკლესიო მმართველობის გაუქმების თაობაზე.

რუსეთისმართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიების რაოდენობა შეამცირა ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენებამ.

1917 წლის 12 (25) მარტს საქართველოს ძველ სატახტო ქალაქ მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში, გამართულმა ქართველი ეპისკოპოსების, თეთრი სამღვდელოების და ერისკაცთა კრებამ აღადგინა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. 1917 წლის 8 სექტემბერს საქართველოს საეკლესიო კრებამ კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია ეპისკოპოსი გიორგი საძაგლიშვილი, რომელსაც ეწოდა კირიონ II. საქართველოს საეგზარქოსო გაუქმდა და რუსმა ეგზარქოსმაც თბილისი დატოვა. რუსეთის ეკლესიის უწმიდესმა სინოდმა არ სცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

1921 წლის 18 მარტს ქ. რიგაში საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების ძალით დადგინდა ახალი სასაზღვრო ხაზი, რომლის მიხედვითაც ვარშავის, ვოლინის, გროდნოსა და ხოლმის ეპარქიები, ასევე ლიტვის ეპარქიის ნაწილი ქ. ვილნოთი და მინსკის ეპარქიის ნაწილი ქ. პინსკითურთ პოლონეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა. პატრიარქ ტიხონისა და საღვთო სინოდის ძალისხმევით, 1921 წლის 15 (28) სექტემბერს პოლონეთის მართლმადიდებელ ეკლესიას მიენიჭა ფართო ავტონომია, რომელიც მომავალში ავტოკეფალიაში უნდა გაზრდილიყო. 1921 წლის 15 (28) სექტემბერს პატრიარქმა ტიხონმა დაამტკიცა „პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველობის დებულება“. 1921 წლის 5 ოქტომბერს მინსკის არქიეპისკოპოსი გიორგი (იაროშევსკი) დაინიშნა რუსეთის პატრიარქის ეგზარქოსად პოლონეთში, რომელიც პრაქტიკულად განაგებდა პოლონეთის მართლმადიდებელ ეკლესიას. პოლონეთის მთავრობას სურდა პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ჩამოეშორებინა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსათვის დაექვემდებარებინა. 1923 წლის 8 თებერვალს მოკლეს რუსეთის პატრიარქის მიერ პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეგზარქოსად დანიშნული მიტროპოლიტი გიორგი (იაროშევსკი). ახალი ეგზარქოსი, ვოლინის არქიეპისკოპოსი დიონისი (ვალედინსკი) პოლონეთის მთავრობას პოლიტიკის გამტარებელი გახდა. არქიეპისკოპოსმა დიონისიმ საეკლესიო კანონების დარღვევით კონსტანტინეპოლის პატრიარქისაგან მიიღო ვარშავისა და სრულიად პოლონეთის მიტროპოლიტის ტიტული. მიტროპოლიტმა დიონისიმ რუსეთის პატრიარქის ერთგული ეპისკოპოსები და არქიეპისკოპოსები ეპარქიებიდან გააძევა და მათ ნაცვლად მისი ერთგული იერარქები დანიშნა. 1923 წლის თებერვალში პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსების კრებამ დაადასტურა პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში გადასვლა. რუსეთის პატრიარქმა ტიხონმა 1924 წლის 23 მაისით დათარიღებულ წერილში მიტროპოლიტ დიონისის აცნობა, რომ პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრების გადაწყვეტილება რუსეთის პატრიარქის კურთხევას ვერ მიიღებდა. პოლონეთის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა დაეჩქარებინა პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის

გამოცხადება. აქტიურად მოქმედებდნენ მიტროპოლიტი დიონისი და ავტოკეფალიის მომხრე საეკლესიო იერარქები. ყოველივე ამან თავისი შედეგი გამოიღო. კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ 1924 წლის 13 ნოემბერს ოფიციალურად დაადასტურა **პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია**. 1925 წლის 17 სექტემბერს ვარშავაში შედგა პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებისადმი მიძღვნილი ოფიციალური ცერემონია.

ქ. დეტროიტში მიმდინარე სრულიად ამერიკის მეოთხე საეკლესიო კრებამ რუსეთის საპატრიარქოს იურისდიქციაში შემავალი ამერიკის სამიტროპოლიტო ოკრუგში დროებითი ავტონომიური მმართველობა შემოიღო. დეტროიტის საეკლესიო კრების დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან კავშირს აღადგენდა რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევის შემდეგ და ისიც იმ შემთხვევაში, თუ საეკლესიო კრება კანონიერ საფუძველზე იქნებოდა მოწვეული.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის, განსაკუთრებით კი 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით, სამღვდელოებასა და მორწმუნეთა შორის დაიწყო უთანხმოება. ჩამოყალიბდა ე. წ. „პროგრესული“ ტენდენციები, აღმოცენდა მრავალი ჯგუფი და მიმდინარეობა. ისინი მოუწოდებდნენ „ეკლესიაში რევოლუციის“ განხორციელებისაკენ, ეკლესიის რადიკალური „განახლებისაკენ“.

„განმაახლებელთა“ შორის ნამყვან როლს ასრულებდა 1917 წლის 7 მარტს პეტროგრადში აღმოცენებული „სრულიად რუსეთის დემოკრატიული მართლმადიდებელი სამღვდელოებისა და ერისკაცთა კავშირი“. კავშირს მხარს უჭერდა რუსეთის დროებითი მთავრობა, უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი ვ. ნ. ლვოვი. კავშირი სინოდის ხარჯებით სცემდა გაზეთს „ქრისტეს ხმა“, ჰქონდა თავის გამომცემლობა და ჟურნალი. ორგანიზაციის მუშაობას წარმართავდნენ ე. წ. „პროგრესული“ სამღვდელოების წარმომადგენლები: მღვდელი ა. ი. ვვედენსკი და მღვდელი ა. ი. ბოიარსკი. პეტროგრადის წმიდა ზაქარიასა და წმიდა ელისაბედის ეკლესიები,

სადაც წინამძღვარი იყო მღვდელი ალექსანდრე ვვედენსკი, იქცა დემაგოგიური ქადაგებების ცენტრად.

„სრულიად რუსეთის დემოკრატიული მართლმადიდებელი სამღვდელოებისა და ერისკაცთა კავშირმა“ მალე ფილიალები გახსნა მოსკოვში, კიევში, ხარკოვში, ოდესაში, ნოვგოროდსა და სხვა ქალაქებში. ქალაქებში მოქმედი კავშირის წევრთა ჯგუფები ძალზე მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ მათი წევრები მოქმედებდნენ აქტიურად, აგრესიულად. სამწუხარო იყო ის, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის „რეფორმირებისა“ და „განახლების“ იდეას მხარი დაუჭირა სასულიერო აკადემიების პროფესორის ნაწილმა.

რუსეთის საეკლესიო კრებაზე (გაიხსნა 1917 წლის 15 აგვისტოს) ეკლესიის „განმაახლებლები“ უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ამის შემდეგ მათ გადაწყვიტეს შეთქმულების გზას დასდგომოდნენ. „სრულიად რუსეთის დემოკრატიული მართლმადიდებელი სამღვდელოებისა და ერისკაცთა კავშირი“ 1918 წლის იანვარში მოსკოვში, პეტროგრადსა და სხვა ქალაქებში პატრიარქ ტიხონის წინააღმდეგ გამოსვლას ამზადებდნენ. იმხანად შეთქმულები ვერ ბედავდნენ აშკარად განხეთქილების გზას დასდგომოდნენ. მათი ტაქტიკა ასეთი იყო. ეკლესიაში დარჩენა და პატრიარქობის შიგნიდან აფეთქება.

1919 წლიდან მოსკოვში მოქმედებდა „რელიგიური თემებისა და ჯგუფების გაერთიანებული საბჭო“. „განმაახლებლებმა“ გაერთიანებულ საბჭოში თავიანთი წარმომადგენელი გაგზავნეს (ოფიციალურად იგი „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლად“ იწოდებოდა). „განმაახლებლები“ ცდილობდნენ „რელიგიური თემებისა და ჯგუფების გაერთიანებული საბჭო“ რუსეთის ყველა აღმსარებლობის თემთა რელიგიურ-პოლიტიკურ ცენტრად ექციათ. ამ მიზნით შეიქმნა ორგანიზაცია „სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტი“. „განმაახლებელთა“ მიზნებს განხორციელება არ ეწერა. 1920 წელს „რელიგიური თემებისა და ჯგუფების გაერთიანებულმა საბჭომ“ არსებობა შეწყვიტა. „განმაახლებლებმა“ ბრძოლის ახალი ფორმების ძიება დაიწყეს.

1922 წლის 12 მაისს მოსკოვში, სამების მონასტერში, შინაპატიმრობაში მყოფ პატრიარქ ტიხონთან გამოცხადნენ ე. წ. „პროგრესული“ სამღვდელოების წარმომადგენლები – დეკანოზი ალექსანდრე ვვედენსკი, მღვდელი ალექსანდრე ბოიარსკი, მღვდელი ევგენი ბელკოვი და მეფსალმუნე ს. სტადნიკი. „განმაახლებლებმა“ პა-

ტრიარქს მოსთხოვეს საეკლესიო კრების მოწვევა, რომელსაც უნდა განეხილა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ახლებურად მოწყობის საკითხი. მათი განცხადებით საეკლესიო კრების მოწვევის საკითხი შეთანხმებული იყო საბჭოთა ხელისუფლებასთან. გარდა ამისა, „განმაახლებლები“ ითხოვდნენ პატრიარქ ტიხონის გადადგომას.

პატრიარქმა ტიხონმა მიუღებლად მიიჩნია „განმაახლებელთა“ მოთხოვნები. ამასთან ერთად, შინაპატიმრობაში მყოფმა პატრიარქმა, იმის გამო, რომ ველარ ასრულებდა რუსეთის ეკლესიის მწყემსმთავრის მოვალეობას გადაწყვიტა პატრიარქის მოვალეობის შესრულება დაეკისრებინა ერთ-ერთი საეკლესიო იერარქისათვის. თავისი გადაწყვეტილება პატრიარქმა ტიხონმა ოფიციალური წერილით აცნობა საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას. პატრიარქმა ტიხონმა ხელისუფლებას პატრიარქის მოვალეობის შემსრულებელს ორი კანდიდატი წარუდგინა – იაროსლავის მიტროპოლიტი აგაფანგელი (პრეობრაჟენსკი) და პეტროგრადის მიტროპოლიტი ბენიამინი (კაზანსკი). თავისი გადაწყვეტილება პატრიარქმა სპეციალური ეპისტოლეთი აცნობა საქმის მიტროპოლიტ აგაფანგელს.

1922 წლის 14 მაისს გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნდა „განმაახლებელთა“ მოწოდება სათაურით – „**რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მორწმუნე შვილებს**“. მართალია, პატრიარქ ტიხონის სახელი ნახსენები არ იყო, მაგრამ დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რომ მიმართვა მის წინააღმდეგ იყო გამიზნული. „განმაახლებლები“ „ეკლესიის ნგრევაში დამნაშავეთა გასამართლებას“ ითხოვდნენ. ისინი ამჯერად თავიანთ თავს „ფართო სახალხო მასის ინტერესების გამომხატველებს“ უწოდებდნენ. „განმაახლებლებს“ რუსეთის ეკლესიის მმართველობის გარდაქმნისა და ეკლესიასა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის ურთიერთობის მოგვარების პრეტენზია ჰქონდათ. 15 მაისს მიმართვის ინიციატორები მიიღო საბჭოთა რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ კალინინმა. 16 მაისს „განმაახლებლებმა“ ოფიციალური წერილით მიმართეს მიხეილ კალინინს. წერილში აღნიშნული იყო: პატრიარქ ტიხონის ნებაყოფლობით გადადგომის გამო რუსეთის ეკლესიის მართვის მიზნით უნდა შექმნილიყო „**უმაღლესი საეკლესიო მმართველობა**“, რომელიც 1922 წლის 15 მაისიდან თავის თავ-

ზე აიღებდა რუსეთის ეკლესიის მართვას. საბჭოთა ხელისუფლება, ცხადია, დაეთანხმა „განმაახლებელთა“ მოთხოვნას.

ამრიგად, 1922 წლის მაისში „განმაახლებლებმა“ საბჭოთა ხელისუფლების თანადგომით რუსეთის საეკლესიო კრების მიერ კანონიერად არჩეული პატრიარქის გადაყენებას მიაღწიეს და „**უმაღლესი საეკლესიო მმართველობის**“ შექმნით უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების უზურპაცია მოახდინეს.

„განმაახლებლებმა“ პატრიარქ **ტიხონის** მიერ მის მემკვიდრედ დასახელებული იაროსლავის მიტროპოლიტის **აგაფანგელისა (პრეობრაჟენსკის)** და პეტროგრადის მიტროპოლიტის **ბენიამინის (კაზანსკის)** მიმხრობა სცადეს. ამ საძრახისი მისიით პეტროგრადში მიტროპოლიტ ბენიამინთან გაემგზავრა დეკანოზი ალექსანდრე ვვედენსკი, ხოლო იაროსლავში მიტროპოლიტ აგაფანგელთან – მღვდელი ვლადიმირ კრასნიცკი. დეკანოზი ალექსანდრე ვვედენსკი პეტროგრადში ჩავიდა 1922 წლის 25 მაისს. პეტროგრადის მიტროპოლიტმა **ბენიამინმა** დეკანოზი ალექსანდრე ვვედენსკი, ასევე პეტროგრადის ეპარქიის ის მღვდლები, რომელთაც მხარი დაუჭირეს „განმაახლებლებს“, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან განკვეთა მონაწიეობამდე. თავისი გადანყვეტილება მიტროპოლიტმა 1922 წლის 15 (28) მაისს საგანგებო ეპისტოლეით აცნობა პეტროგრადის ეპარქიის სამღვდელოებასა და მრევლს. მიტროპოლიტ ბენიამინის გაბედულმა მოქმედებამ პეტროგრადის ეპარქიაში „განმაახლებელთა“ ავტორიტეტი ძალზე დასცა. „განმაახლებლებს“ მხარი არ დაუჭირა არც იაროსლავის მიტროპოლიტმა **აგაფანგელმა**.

„განმაახლებლები“ უკან დახევას მაინც არ აპირებდნენ. მათ უმაღლეს საეკლესიო მმართველობაში მიიწვიეს ეპისკოპოსი **ანტონინე (გრანოვსკი)** და ეპისკოპოსი **ლეონიდი (სკობელევი)**. ორივე ეპისკოპოსს ცხადად აგრძნობინეს, რომ მათი თანამდებობა, „საპატიო“ იყო და რომ ისინი რეალურ „უფროსებად“ არ მიუწვევიან.

1922 წლის 29 მაისს „განმაახლებლებმა“ მოსკოვში მოიწვიეს მათი მიმდევრების „**დამფუძნებელი კრება**“ და დააარსეს ორგანიზაცია „**ცოცხალი ეკლესია**“. ორგანიზაცია თავის უმთავრეს მიზნად მიიჩნევდა რუსეთის ეკლესიის მმართველობის გარდაქმნას, ასევე ცვლილებების შეტანას ქრისტიანულ სწავლებაში. ამ დროისათვის უკვე ცხადი გახდა, რომ „განმაახლებლები“ ებრძოდნენ არა მარტო შავ სამღვდელოებას (მიტროპოლიტებს, არქიეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებს), არამედ თეთრ სამღვდელოებასაც.

1922 წლის 4 ივლისს მოსკოვში გამართულ კრებაზე არჩეული იქნა „ცოცხალი ეკლესიის“ ცენტრალური კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეც გახდა დეკანოზი ვლადიმირ კრასნიცკი.

1922 წლის აგვისტოში გაიმართა „ცოცხალი ეკლესიის“ სრულიად რუსეთის ყრილობა. ყრილობის გადწყვეტილებებიდან ცხადი ხდება, რომ „ცოცხალი ეკლესია“ თავის მიზნად პატრიარქობის გაუქმებას მიიჩნევდა.

ორგანიზაცია „ცოცხალი ეკლესია“ შეუდგა ეპარქიებში კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას. ეპარქიებში გაიგზავნა „უმაღლესი საეკლესიო მმართველობის“ 56 რწმუნებული. მათ დავალებული ჰქონდათ ეპარქიებიდან მმართველი ეპისკოპოსების გაძევება და „ცოცხალი ეკლესიის“ ადგილობრივი (საეპარქიო) ფილიალების შექმნა.

„უმაღლესმა საეკლესიო მმართველობამ“ და ორგანიზაცია „ცოცხალმა ეკლესიამ“ საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მხარდაჭერით შესძლო სამღვდელოების ტერორიზება. გადააყენეს ცნობილი საეკლესიო იერარქები: მიტროპოლიტი ბენიამინი (კაზანსკი), მიტროპოლიტი არსენი (სტადნიცკი), მიტროპოლიტი კირილე (სმირნოვი), მიტროპოლიტი მიხეილი (ერმაკოვი). არ დაინდეს პატრიარქ ტიხონის მიერ მემკვიდრედ დასახელებული მიტროპოლიტი აგაფანგელი (პრეობრაჟენსკი).

გადაყენებული საეკლესიო იერარქების ნაცვლად „განმაახლებლებმა“ თავიანთი მომხრეები დაანინაურეს. 1922 წლის ივნის-ივლისში „უმაღლესი საეკლესიო მმართველობის“ წევრმა ეპისკოპოსებმა ანტონინემ და ლეონიდმა საეკლესიო კანონიკის სრული დარღვევით, პატრიარქის ნებართვის გარეშე, თეთრი სამღვდელოების წარმომადგენლები, ცოლიანი დეკანოზები, ბერად აღკვეცის გარეშე ეპისკოპოსებად აკურთხეს.

გააქტიურდნენ პეტროგრადელი „განმაახლებლები“. პეტროგრადის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსად ხელახსმული ეპისკოპოსი ალექსი (სიმანსკი) აიძულეს 1922 წლის 4 ივლისს მიტროპოლიტ ბენიამინის (კაზანსკის) მიერ (მონანიებამდე) ეკლესიიდან განკვეთილი პეტროგრადის ეპარქიის „განმაახლებელი“ მღვდელები ეკლესიაში დაებრუნებინა (ეკლესიიდან განკვეთა აეხსნა).

„განმაახლებელთა“ შანტაჟს ვერ გაუძლო და 1922 წლის ზაფხულში პოზიცია შეიცვალა რუსეთის სამღვდელოების წინააღმდეგ.

„განმაახლებელთა“ გავლენის ზრდას დიდად შეუწყო ხელი ე. წ. „სამთა მემორანდუმმა“. 1922 წლის 3 (16) ივნისს პრესაში გამოქვეყნდა ვლადიმირის მიტროპოლიტის სერგის, ნიჟნი ნოვგოროდის არქიეპისკოპოსის ევდოკიმის და კოსტრომის არქიეპისკოპოსის სერაფიმის მემორანდუმი. სამი დიდი საეკლესიო იერარქი აცხადებდა, რომ „უმაღლესი საეკლესიო მმართველობა“ იყო „ერთადერთი კანონიკური საეკლესიო ხელისუფლება“. მოგვიანებით, ამ სამარცხვინო დოკუმენტის შექმნა მისმა ავტორებმა ორი მიზეზით ახსნეს: 1. შექმნილი უმძიმესი ვითარებისათვის ანგარიშის განევა, პრაქტიკულად იძულება; 2. სამ საეკლესიო იერარქს ამოძრავებდა ფარული მიზანი: სათავეში ჩასდგომოდნენ „განმაახლებელთა“ მოძრაობას, გადაეყვანათ იგი კანონიკურ საფუძველზე და თავიდან აეცილებინათ ანარქია ეკლესიაში.

სამი საეკლესიო იერარქის ფარული მიზანი მიუღწეველი დარჩა. მათ კონტროლი ვერ გაუწიეს ეკლესიაში დაწყებულ დამანგრეველ პროცესებს. ეს კარგად იგრძნო მემორანდუმის ერთ-ერთმა ავტორმა ვლადიმირის მიტროპოლიტმა სერგიმ (სტრაგოროდსკიმ). მიტროპოლიტი სერგი უკვე 1922 წლის 21 ოქტომბერს მზად იყო გამიჯვნოდა „განმაახლებლებს“ და გამოსულიყო უმაღლესი საეკლესიო მმართველობიდან. 1923 წლის 27 აგვისტოს მიტროპოლიტმა სერგიმ პატრიარქ ტიხონს შენდობა სთხოვა. 1923 წელსვე პატრიარქს შენდობა სთხოვა კოსტრომის არქიეპისკოპოსმა სერაფიმმა (მეშჩერიაკოვმა). ნიჟნი ნოვგოროდის არქიეპისკოპოსი ევდოკიმი (მეშჩერსკი) 1923 წელს უმაღლეს საეკლესიო მმართველობას ედგა სათავეში. იგი, საეკლესიო განხეთქილების თავიდან აცილების მიზნით, ცდილობდა პატრიარქ ტიხონისა და „განმაახლებელთა“ შერიგებას, მაგრამ უშედეგოდ. 1925 წლის თებერვალში არქიეპისკოპოსი ევდოკიმი როგორც „ცუდი განმაახლებელი“ გადააყენეს.

მიუხედავად შანტაჟისა და დევნა-შევიწროვებისა, „განმაახლებელთა“ მოძრაობას მხარი არ დაუჭირეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ღირსეულმა წარმომადგენლებმა: მიტროპოლიტმა ბენიამინმა (კაზანსკიმ), მიტროპოლიტმა ავაფანგელმა (პრეობრაჟენსკიმ), მიტროპოლიტმა კირილემ (სმირნოვმა), მიტროპოლიტმა სერაფიმმა (ჩიჩაგოვმა), მიტროპოლიტმა მიხეილმა (ერმაკოვმა), არქიეპისკოპოსმა პეტრემ (პოლიანსკიმ), არქიეპისკოპოსმა კონსტანტინემ (დიაკოვმა), არქიეპისკოპოსმა ილარიონმა (ტროიცკიმ), არქიეპისკოპოსმა სერაფიმმა (ალექსანდროვმა),


არქივისკოპოსმა **ტიხონმა (ობოლენსკიმ)**, ეპისკოპოსმა **პეტრემ (ზვერევმა)**, ეპისკოპოსმა **მანუილმა (ლემეშევსკიმ)**.

ორგანიზაცია „ცოცხალი ეკლესია“ მტკიცე ვერ აღმოჩნდა, ეპისკოპოსმა **ანტონინემ** კავშირი განწყვიტა „ცოცხალი ეკლესიის“ ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარესთან დეკანოზ ვლადიმირ კრასნიცკისთან და 1922 წელს დააარსა ორგანიზაცია **„ეკლესიის განახლების კავშირი“**. 1922 წლის 5 სექტემბერს პრესაში გამოქვეყნდა ცნობა „ეკლესიის განახლების კავშირის“ პეტროგრადის ფილიალის გახსნის შესახებ. „ეკლესიის განახლების კავშირში“ შევიდნენ დეკანოზი **ალექსანდრე ვვედენსკი** და მისი მიმდევრები. მალე „ეკლესიის განახლების კავშირში“ განხეთქილება მოხდა და დეკანოზ **ალექსანდრე ვვედენსკის** მომხრეებმა ახალი ორგანიზაცია – **„ძველი აღთქმის ეკლესიის თემების კავშირი“** – დააარსეს. „განმახლებელთა“ შორის განხეთქილების დამადასტურებელი იყო დეკანოზ **ვეგენი ბელკოვის** მიერ პეტროგრადში კიდევ ერთი ორგანიზაციის – **„რელიგიურ-შრომითი კომუნების თემთა კავშირის“** – დაარსება.

„განმახლებლებმა“ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის განხეთქილება დააკანონეს 1923 წლის 29 აპრილიდან 9 მაისამდე მოსკოვში მიმდინარე „განმახლებელთა“ ყრილობაზე. „განმახლებლებმა“ თავიანთ ყრილობას **„რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეორე კრება“** („მეორე საეკლესიო კრება“) უწოდეს (პირველი კანონიერი საეკლესიო კრება გაიმართა 1917-1918 წლებში). ჭეშმარიტმა მართლმადიდებლებმა ამ კრებას **„სქიზმატური კრება“** და **„ცრუ საეკლესიო კრება“** უწოდეს.

„განმახლებელთა“ ყრილობის შემადგენლობა უმაღლესი საეკლესიო მმართველობის მიერ იყო შერჩეული. ყრილობას ესწრებოდა „ცოცხალი ეკლესიის“ 200 დელეგატი „რელიგიურ-შრომითი კომუნების თემთა კავშირის“ 116 დელეგატი, „ეკლესიის განახლების კავშირის“ 10 დელეგატი და 69 „უპარტიო“ დელეგატი. გარდა ამისა, ყრილობის დელეგატები იყვნენ: ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსებად ახლად დადგენილი საეკლესიო იერარქები („განმახლებლები“), „უმაღლესი საეკლესიო მმართველობის“ რწმუნებულები, სულ 139 კაცი.

„განმახლებელთა“ მოსკოვის ყრილობამ („ცრუ საეკლესიო კრებამ“) დააკანონა „უმაღლესი საეკლესიო მმართველობისა“ და „ცოცხალი ეკლესიის“ ცენტრალური კომიტეტის არაკანონიკური



გადანყვეტილებანი: თეთრი სამღვდელოების (ცოლიანი მღვდლებ-ის) ხელდასხმა ეპისკოპოსებად („თეთრი ეპისკოპატი“), სამღვდელოების მეორედ დაქორწინება, მონასტრების დახურვა, ნმინდანთა ნანილების ლიკვიდაცია.

საბოლოო ჯამში „განმაახლებელთა“ მოსკოვის ყრილობა („ცრუ საეკლესიო კრება“) მაინც „განმაახლებელთა“ მოძრაობის მარცხს მოასწავებდა. ყრილობის გადანყვეტილებები არ მიიღო მართლმადიდებელმა სამღვდელოებამ და მრევლმა. ის ეკლესიები, რომელიც „განმაახლებლებმა“ ჩაიგდეს ხელში, ღვთისმსახურების დროს თითქმის ცარიელი იყო.

1923 წლის ივნისის ბოლოს პატრიარქი ტიხონი კვლავ შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. 28 ივნისს გამოქვეყნდა პატრიარქის ეპისტოლე. ეპისტოლეში „განმაახლებელთა“ მოძრაობა დახასიათებული იყო ცნობილი მოაზროვნის, შემდეგში დეკანოზის ვალენტინ სვენციცკის სიტყვებით: ეს იყო მოძრაობა, რომელსაც არ გააჩნდა „არც ღმერთებრივი და არც ადამიანური სიმართლე“. თვით „განმაახლებლების“ შესახებ ეპისტოლეში ნათქვამი იყო, რომ ისინი იყვნენ „ანგარებიანი ადამიანები, რომლებიც ესწრაფოდნენ მატერიალურ კეთილდღეობას, ჩინებსა და ჯილდოებს“. ეპისტოლეში პატრიარქი ტიხონი შეეხო „განმაახლებელთა“ მოსკოვის ყრილობის („ცრუ საეკლესიო კრების“, „სქიზმატური კრების“) მიერ მისთვის გამოტანილ მსჯავრს და შეაფასა იგი როგორც „ფორმით, ისე შინაარსით არასწორი“.

1923 წლის 1 ივლისს გამოქვეყნდა პატრიარქ ტიხონის კიდევ ერთი ეპისტოლე. ეპისტოლეში პატრიარქი აღნიშნავდა, რომ „განმაახლებლები“ „ნებსით თუ უნებლიედ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას სექტანტობისაკენ უბიძგებენ“. სწორედ ამიტომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ვერ მიიღებდა „განმაახლებელთა“ მოსკოვის ყრილობის („ცრუ საეკლესიო კრების“, „სქიზმატური კრების“) მიერ მონონებულ „რეფორმებს“.

„განმაახლებელთა“ მოძრაობას კანონიკური შეფასება მიეცა პატრიარქ ტიხონის 1923 წლის 2 (15) ივლისის ეპისტოლეში. ეპისტოლეში მოთხრობილი იყო თუ როგორ ჩაიგდეს ხელში პატრიარქის კანცელარია „განმაახლებლებმა“ 1922 წლის მაისში. პატრიარქმა დაწვრილებით მოუთხრო მრევლს თუ რომელი საეკლესიო კანონები დაარღვიეს „განმაახლებლებმა“. ეპისტოლეში აღნიშნული იყო, რომ „განმაახლებლებმა“ უკანონოდ მიტაცებული საეკლესიო

ხელისუფლება გამოიყენეს არა საეკლესიო აღმშენებლობისათვის, არამედ იმისათვის, რომ ეკლესიაში დაენერგათ დამღუბველი განხეთქილება“. პატრიარქი ტიხონი საეკლესიო განხეთქილების მონაწილეებს მოუწოდებდა „მონაწილების გზით განწმენდილიყვნენ და დაბრუნებულიყვნენ ეკლესიაში“. პატრიარქ ტიხონის მოწოდებამ ბევრ გზააბნეულს აუხილა თვალი.

1923 წლის ივლისში მოსკოვში გაიმართა რუსეთის ეკლესიის მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა კრება. კრებამ „განმაახლებელთა“ მოძრაობა შეაფასა როგორც სქიზმა, დაგმო იგი და პატრიარქ ტიხონს სთხოვა კვლავ გაეგრძელებინა მწყემსმთავრის მოვალეობის შესრულება. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველობის სათავეში პატრიარქ ტიხონის დაბრუნება და პატრიარქისადმი ეპისკოპოსთა მხარდაჭერა გაფორმდა საგანგებო კანონიკური აქტით. თავდაპირველად აქტს ხელი მოაწერა იმხანად მოსკოვში მყოფმა 13 მღვდელმთავარმა. შემდეგ ხანებში აქტს სხვა მღვდელმთავრებმაც მოაწერეს. სულ 1924 წლის ზაფხულისათვის აქტს ხელი მოაწერა ასზე მეტმა სასულიერო პირმა (მიტროპოლიტმა, არქიეპისკოპოსმა, ეპისკოპოსმა, ილუმენმა, არქიმანდრიტმა).

პატრიარქმა ტიხონმა, მართალია, „განმაახლებლებს“ (საეკლესიო განხეთქილების მონაწილეებს) შეუწდო, მაგრამ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გაერთიანებას საფუძვლად კომპრომისი არ დასდებია. ტიხონი მტკიცედ იცავდა მართლმადიდებლობის პრინციპებს, საეკლესიო კანონებს, საეკლესიო ტრადიციებს და 1917-1918 წლების რუსეთის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებს. პატრიარქის 1924 წლის 2 (15) აპრილის ბრძანებით, „განმაახლებელთა“ მოძრაობის მოთავეებს აეკრძალათ მღვდელმსახურება და მონაწილებამდე განკვეთილნი იქნენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან.

„განმაახლებლები“ მიხვდნენ, რომ დამარცხდნენ და ჯერ კიდევ 1923 წლის სექტემბერში რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან კომპრომისულ ნიადაგზე შერიგება სცადეს. განმაახლებელთა წინადადება ასეთი შინაარსისა იყო. შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ უნდა გახსნილიყო. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის და „განმაახლებელთა“ „საერთო საეკლესიო კრება“, რომლის თავმჯდომარეც იქნებოდა პატრიარქი ტიხონი. საეკლესიო კრების გახსნის შემდეგ პატრიარქ ტიხონს გადადგომა უნდა ეთხოვა, კრებას კი მისი თხოვნა უნდა დაეკმაყოფილებინა. ამის

შემდეგ საეკლესიო კრება ტიხონს კვლავ აირჩევდა პატრიარქად და კრება შეუდგებოდა საეკლესიო რეფორმის განხილვას. „განმაახლებელთა“ სინოდის თავმჯდომარესთან არქიეპისკოპოს **ევდოკიმ მეშჩერსკისთან** მოლაპარაკებას ანარმოებდნენ არქიეპისკოპოსი **სერაფიმი (ალექსანდროვი)**, არქიეპისკოპოსი **ტიხონი (ობოლენსკი)** და არქიეპისკოპოსი **ილარიონი (ტროიცკი)**. პატრიარქმა ტიხონმა „განმაახლებელთა“ სინოდის წინადადებები განსახილველად გადასცა რუსეთის ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებას. **რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრება** გაიმართა 1924 წელს მოსკოვში, დონის მონასტერში. კრებას პატრიარქი ტიხონი თავმჯდომარეობდა. კრებაზე წარმოდგენილი იყო 27 მღვდელმთავარი. ფარული კენჭისყრის შედეგად გაირკვა, რომ რუსეთის ეკლესიის მღვდელმთავრებმა (ხმების აბსოლუტური უმრავლესობით) მიუღებლად მიიჩნიეს „განმაახლებელთა“ წინადადებები. ეს კი იმისი მაუწყებელი იყო, რომ პატრიარქ ტიხონის გონივრული მოქმედებით რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში განხეთქილება დაძლეული იქნა. „განმაახლებელთა“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ორგანიზაცია „ცოცხალი ეკლესიის“ წინამძღოლმა ვლადიმირ კრასნიცკიმ 1924 წლის 21 მაისს პატრიარქ ტიხონს თხოვნა მიართვა და შეწყალება ითხოვა. ამავე დროს ვლადიმირ კრასნიცკი ითხოვდა პატრიარქთან არსებულ უმაღლეს საეკლესიო მმართველობაში (დროებით საღვთო სინოდში, უმაღლესი საეკლესიო საბჭო) შეყვანას. პატრიარქი ტიხონი მერყეობდა. სამაგიეროდ, მტკიცე პოზიციაზე დადგნენ საეკლესიო იერარქები, განსაკუთრებით აქტიურობდა ყაზანის მიტროპოლიტი **კირილე (სმირნოვი)**. 1924 წლის ზაფხულში მიტროპოლიტი კირილე პატრიარქს შეხვდა და ვლადიმერ კრასნიცკის თხოვნასთან დაკავშირებით მღვდელმთავართა უარყოფითი აზრი გააცნო. 1924 წლის ივლისის დამდეგს პატრიარქმა ტიხონმა ოფიციალურად განაცხადა, რომ სწყვეტდა ვლადიმირ კრასნიცკისთან მოლაპარაკებას.

პატრიარქი ტიხონი და მისი თანამოაზრე მღვდელმთავრები: ყაზანის მიტროპოლიტი **კირილე**, კრუტიცკის მიტროპოლიტი **პეტრე**, ტვერის მიტროპოლიტი **სერაფიმი**, ურალის მიტროპოლიტი **ტიხონი**, ნიჟნი ნოვგოროდის მიტროპოლიტი **სერგი**, ასევე სხვა გამოჩენილი საეკლესიო თუ საერო მოღვაწენი ყველაფერს აკეთებდნენ რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევის მიზნით. კრებას უნდა აერჩია რუსეთის ეკლესიის უმაღლესი მმართველობა, რომელიც საბჭოთა

ხელისუფლებასთან ურთიერთობის მოგვარებაზე იზრუნებდა. „განმაახლებლები“ გააფთრებით ეწინააღმდეგებოდნენ საეკლესიო კრების მონვევას.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობას სერიოზული საფრთხე შეუქმნა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა.

1917 წლის 20 ნოემბერს რუსეთის საეკლესიო კრებამ ვოლინის არქიეპისკოპოსის **ველოგის (გეორგიევსკის)** ხელმძღვანელობით ჩატარებული უკრაინის ეპარქიათა მმართველი ეპისკოპოსების გამოკითხვის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება კიევში საეკლესიო კრების მონვევის თაობაზე. კრებას უნდა განეხილა უკრაინაში საეკლესიო მმართველობის საკითხი. სეპარატისტულად განწყობილმა უკრაინელმა პოლიტიკოსებმა და სამღვდლოებამ გადაწყვიტეს მომენტი ხელიდან არ გაეშვათ და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიიდან უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის გამოყოფისათვის (ავტოკეფალიისათვის) ებრძოლათ.

უკრაინის საეკლესიო კრება გაიხსნა კიევში 1918 წლის 7 იანვარს. დანყებულნი სამოქალაქო ომის გამო 18 იანვარს კრებამ მუშაობა შეწყვიტა. 1917 წელს უკრაინაში შეიქმნა „**სრულიად უკრაინის მართლმადიდებლური საეკლესიო რადა**“, რომელიც უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებისათვის იბრძოდა. მიტროპოლიტმა პლატონმა (როფდესტვენსკიმ), რომელიც კიევში მიმდინარე საეკლესიო კრებას რუსეთის პატრიარქის წარმომადგენლის რანგში ესწრებოდა, უკრაინელი ავტოკეფალისტები გააფრთხილა: „უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის ნაადრევი და გაუაზრებელი გამოცხადება გამოიწვევს არეულობას ეკლესიაში, შეიძლება იგი მიზეზი გახდეს დიდი სქიზმისა ან განხეთქილებისა“.

1918 წლის 18 იანვარს დახურულმა უკრაინის საეკლესიო კრებამ მუშაობა განაახლა 1918 წლის ზაფხულში. 1918 წლის 9 ივლისს საეკლესიო კრებამ მიიღო „**უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დროებითი უმაღლესი მმართველობის დებულება**“. დებულება 1918 წლის 7 (20) სექტემბერს დაამტკიცა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთო სინოდმა. დებულების მიხედვით, უკრაინის ეპარქიები რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ამავე დროს, უკრაინის ეპარქიები შეადგენდა განსაკუთრებულ საეკლესიო ოლქს ავტონომიურ

სანყისებზე. ავტონომიური მმართველობა ვრცელდებოდა მხოლოდ ადგილობრივ საეკლესიო საკითხებზე, საერო-საეკლესიო საკითხები რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი მმართველობის გამგებლობაში რჩებოდა.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, 1921 წელს, პატრიარქმა ტიხონმა უკრაინაში რუსეთის პატრიარქის ეგზარქოსად დანიშნა გროდნოს არქიეპისკოპოსი (შემდეგში კიევის მიტროპოლიტი) **მიხეილი (ერმაკოვი)**. მიტროპოლიტი მიხეილი წლების მანძილზე აქტიურად ებრძოდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისაგან უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის გამოყოფის მომხრეებს. უკრაინელი ავტოკეფალისტები იმედს არ კარგავდნენ. „სრულიად უკრაინის მართლმადიდებლურმა საეკლესიო რადამ“, რომელსაც მხარს უჭერდნენ ცნობილი უკრაინელი პატრიოტი პოლიტიკური მოღვაწეები (ს. პეტლიურა, ვ. ჩეხოვსკი, ი. ოგიენკო), 1917 წლის 1 (14) ნოემბერს მოიწვია **სრულიად უკრაინის საეკლესიო კრება**. კრების დელეგატებად არჩეული იყვნენ ცნობილი საეკლესიო მოღვაწეები და ეროვნული მოძრაობის ლიდერები. კრებას თავმჯდომარეობდა ცნობილი ეროვნული მოღვაწე **ვ. ჩეხოვსკი**. სრულიად უკრაინის საეკლესიო კრებამ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის **ავტოკეფალია** გამოაცხადა. ავტოკეფალიის წინააღმდეგ გამოვიდნენ უკრაინაში მოღვაწე რუსი საეკლესიო იერარქები. 1921 წლის 10 (23) ოქტომბერს კიევის სოფიის ტაძარში სრულიად უკრაინის საეკლესიო კრების ავტოკეფალიის მომხრე დელეგატების ინიციატივით შედგა ავტოკეფალისტი დეკანოზის **ვასილი ლიპკოვსკის** ეპისკოპოსად ხელდასხმა, რომელიც მაშინვე **მიტროპოლიტიკის** ხარისხში იქნა აყვანილი. მეორე დღესვე მიტროპოლიტმა ვასილიმ ავტოკეფალისტი მღვდელი **ნესტორ შარაივსკის** ეპისკოპოსად დაასხა ხელი. მიტროპოლიტმა ვასილიმ და ეპისკოპოსმა **ნესტორმა** ეპისკოპოსად დაასხეს ხელი ავტოკეფალისტ მღვდლებს: **ი. თეოდოროვიჩს**, **ა. იარეშენკოს**, **ს. ორლიკს** და სხვ. პატრიარქი ტიხონი და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი მმართველობა არ სცნობდა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას. ავტოკეფალიას არ სცნობდა უკრაინაში მოღვაწე რუსი სამღვდლოება.

1922 წლის აგვისტოში კიევში შეიკრიბა 1918 წლის იანვარში კიევში მიმდინარე უკრაინის საეკლესიო კრების 84 მონაწილე. კრებამ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი განსახილველად გად-

ასცა უკრაინის უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებას – უკრაინის ეპისკოპოსების კრებას.

1922 წლის 23 აგვისტოს (5 სექტემბერს) უკრაინის ეპისკოპოსების კრებამ, რომელსაც უკრაინაში რუსეთის პატრიარქის ეგზარქოსი, კიევის და გალიჩის მიტროპოლიტი მიხეილი (ერმაკოვი) თავმჯდომარეობდა, მხარი არ დაუჭირა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის დაუყოვნებლივ გამოცხადებას. თავისი გადაწყვეტილება კრებამ იმით ახსნა, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება სრულიად უკრაინის საეკლესიო კრებისა და რუსეთის საეკლესიო კრების კომპეტენციას შეადგენდა.

ავტოკეფალიისათვის ბრძოლის პერიოდში უკრაინის ეპარქიების მმართველი ეპისკოპოსები ორ ბანაკად გაყოფილნი აღმოჩნდნენ. გაყოფას ეროვნული ნიშანი არ დადებია საფუძვლად. უკრაინის ეპისკოპოსების ერთმა ნაწილმა პოდოლისა და ბრაცლავის ყოფილი არქიეპისკოპოსის პიმენის (პეგოვის) მეთაურობით უკრაინაში ავტოკეფალიური ეკლესიის შექმნა გამოაცხადეს. უკრაინის ეპისკოპოსების მეორე ნაწილმა ლუბეჩის ეპისკოპოსის (შემდგომში ხარკოვის მიტროპოლიტის) თეოფილეს (ბულდოვსკის) მეთაურობით 1924 წლის შემოდგომაზე მეორე ავტოკეფალური ეკლესიის შექმნა გამოაცხადეს.

ამრიგად, 1924 წლისათვის უკრაინის ტერიტორიაზე სამი ეკლესია ჩამოყალიბდა: 1) რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან კანონიკურ კავშირში მყოფი ეკლესია, რომლის სათავეში იდგა რუსეთის პატრიარქის მიერ დანიშნული ეგზარქოსი, კიევისა და გალიჩის მიტროპოლიტი მიხეილი (ერმაკოვი); 2) რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისაგან გამოყოფილი ავტოკეფალური ეკლესია, რომელსაც განაგებდა პოდოლისა და ბრაცლავის არქიეპისკოპოსი პიმენი (პეგოვი); 3) რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისაგან გამოყოფილი ავტოკეფალური ეკლესია, რომელსაც განაგებდა ხარკოვის მიტროპოლიტი თეოფილე (ბულდოვსკი).

რუსეთის პატრიარქი ტიხონი არ სცნობდა უკრაინის ავტოკეფალურ ეკლესიებს. 1924 წლის 2 (15) აპრილს პატრიარქმა ტიხონმა გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც უკრაინის ორივე ავტოკეფალურ ეკლესიაზე გავრცელდა ყველა ის აკრძალვა (მღვდელმსახურების უფლების ჩამორთმევის ჩათვლით), რაც პატრიარქმა რუსეთის ეკლესიის „განმახლებლებს“ დაუწესა.

1924 წლის დეკემბერში უკრაინაში რუსეთის პატრიარქის ეგ-


ზარქოსის, კიევისა და გალიჩის მიტროპოლიტის მიხეილის (ერ-
მაკოვის) თავმჯდომარეობით გაიმართა უკრაინის ეპისკოპოსე-
ბის კრება. 1924 წლის 12 (25) დეკემბერს საეკლესიო კრებამ მიიღო
დადგენილება თეოფილე ბულდოვსკის გადაყენებისა და მისი
ეკლესიიდან განკვეთის თაობაზე. გადააყენეს და ეკლესიიდან
განკვეთეს თეოფილე ბულდოვსკის მომხრეებიც. ეს დადგენილება
პატრიარქ ტიხონის გარდაცვალების შემდეგ, 1926 წლის 5 იანვარს,
დაამტკიცა რუსეთის პატრიარქის ტახტის მონაცვლემ მიტროპო-
ლიტიმა სერგიმ.

დიდი სირთულეები შეიქმნა სასულიერო განათლების სფეროში.
1918 წლის ზაფხულისათვის შეწყდა სასულიერო აკადემიების ფუნ-
ქციონირება. სამღვდელოება შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს
ეძიებდა. 1920 წლის აპრილში პეტროგრადში გაიხსნა მართლმად-
იდებლური საღვთისმეტყველო ინსტიტუტი. ინსტიტუტის რექ-
ტორი იყო ყაზანის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი, პროფესორი
ნ. კ. ჩუკოვი (შემდგომში ლენინგრადის მიტროპოლიტი გრიგოლი).
ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ პეტროგრადის სასულიერო აკა-
დემიის პროფესორები: ა. ი. ბრილიანტოვი და ნ. ნ. გლუბოკოვსკი,
პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორები ბ. ა. ტურაევი, ლ.
პ. კარსავინი, დ. ი. აბრამოვიჩი და სხვები. პეტროგრადის (ლენინ-
გრადის) მართლმადიდებლურმა სახვთისმეტყველო ინსტიტუტმა
1923 წლის მაისში არსებობა შეწყვიტა.

1925 წელს ნიკოლოზ ჩუკოვის ინიციატივით ლენინგრადში
გაიხსნა უმაღლესი საღვთისმეტყველო კურსები, რომელიც 1928
წლამდე მოქმედებდა.

1920-1922 წლებში სწავლა განახლდა მოსკოვის სასულიერო
აკადემიაში. აკადემია იმხანად პეტრეს მონასტერში იყო მოთავსე-
ბული. იმავე მონასტერში 1926 წლამდე მოქმედებდა საღვთისმე-
ტყველო კურსები.

1925 წელს მიტროპოლიტ ევლოგის (გეორგიევსკის) ინიცია-
ტივით პარიზში გაიხსნა საღვთისმეტყველო ინსტიტუტი. პირველ
ხანებში ინსტიტუტის ხელმძღვანელობაში შედიოდნენ: ეპისკოპოსი
ბენიამინი (ფედჩენკო), ა. ფ. კარტაშევი, ს. ს. ბეზობრაზოვი, პ. ე.
კოვალევსკი. შემდგომში ინსტიტუტს ხელმძღვანელობდნენ: დეკა-



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

რუსეთის აკლესია 1925-1941 წლებში

1925 წლის 25 მარტს (7 აპრილს) გარდაიცვალა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ტიხონი (ბელაჟინი).


რუსეთის საეკლესიო კრების მიერ 1917 წლის 7 დეკემბერს დამტკიცებული „უმაღლესი საეკლესიო მმართველობის დებულებების“ მიხედვით პატრიარქთან ერთად რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას განაგებდა ორი ორგანო – საღვთო სინოდი და უმაღლესი საეკლესიო საბჭო. პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლება გადადიოდა ამ ორი ორგანოს ხელში. საღვთო სინოდსა და უმაღლეს საეკლესიო საბჭოს უნდა აერჩია პატრიარქის ტახტის მონაცვლე. გარკვეული მიზეზების გამო პატრიარქ ტიხონის გარდაცვალების დროისათვის უმაღლესი საეკლესიო მმართველობის არც ერთი ორგანო არ ფუნქციონირებდა. რჩებოდა ერთადერთი გამოსავალი: პატრიარქ ტიხონს თავის ანდერძში უნდა დაესახელებინა ის საეკლესიო იერარქი, რომელიც საეკლესიო კრებამდე პატრიარქის ტახტის მონაცვლე იქნებოდა. 1924 წლის 25 დეკემბერს (1925 წლის 7 იანვარს) პატრიარქმა ტიხონმა მოახდინა შემდეგი წერილობითი განკარგულება: „ჩემი გარდაცვალების შემთხვევაში პატრიარქის კანონიერად არჩევამდე პატრიარქის უფლება და მოვალეობა დროებით გადაეცეს მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას მიტროპოლიტ კირილეს. იმ შემთხვევაში თუ სხვადსხვა გარემოებათა გამო შეუძლებელი გახდება მისთვის პატრიარქის უფლებისა და მოვალეობის გადაცემა, ეს უფლება და მოვალეობა გადაეცეს მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას მიტროპოლიტ აგაფანგელს. თუ მიტროპოლიტმა აგაფანგელმაც ვერ მიიღო პატრიარქის უფლება და მოვალეობა, მაშინ იგი გადაეცეს მას მაღალყოვლადუსამღვდელოესობას მიტროპოლიტ პეტრე კრუტიცკელს“.

პატრიარქი ტიხონი 1925 წლის 30 მარტს (12 აპრილს) დაკრძალეს მოსკოვში, დონის მონასტერში. იმავე დღეს შედგა რუსეთის ეკლესიის 59 იერარქის (მიტროპოლიტის, არქიეპისკოპოსის, ეპისკოპოსის) კრება. იერარქები გაეცნენ პატრიარქ ტიხონის წერილობით განკარგულებას. პატრიარქის წერილობით განკარგულებაში მოხსენიებული მიტროპოლიტი კირილე და მიტროპოლიტი აგაფანგელი მოსკოვში არ იმყოფებოდნენ და ამდენად საეკლესიო იერარქთა კრებას არ ესწრებოდნენ. ამის გამო კრებამ რუსეთის პატრიარქის ტახტის მონაცვლედ აირჩია მიტროპოლიტი პეტრე კრუტიცკელი. შესაბამის აქტს პირველმა მოაწერა ხელი ნიჟნი ნოვგოროდის მიტროპოლიტმა სერგიმ (სტრაგოროდსკიმ).

მიტროპოლიტი პეტრე კრუტიცკელი რუსეთის პატრიარქის ტახტის მონაცვლე იყო 1925 წლის 30 მარტიდან (12 აპრილიდან) 27 ნოემბრამდე (10 დეკემბრამდე).

მიტროპოლიტი პეტრე (ერისკაცობაში პეტრე თევდორეს ძე პოლიანსკი) დაიბადა 1863 წელს ვორონეჟის გუბერნიაში. დაამთავრა ვორონეჟის სასულიერო სასწავლებელი, ხოლო 1892 წელს მოსკოვის სასულიერო აკადემია. მინიჭებული ჰქონდა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი. 1897 წელს დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე: „პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ“. 1897-1906 წლებში იყო გროდნოს ეპარქიის ჟიროვიცკის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, შემდეგ მუშაობდა უწმიდესი სინოდის სასწავლო კომიტეტში საქმისმწარმოებლად. პეტრე პოლიანსკი იყო 1917-1918 წლების რუსეთის საეკლესიო კრების წევრი. პატრიარქად არჩევის შემდეგ ტიხონი ნდობით ეპყრობოდა ნიჟიერ და ენერგიულ პეტრე პოლიანსკის. 1920 წელს პეტრე პოლიანსკი აკურთხეს დიაკვნად, ხოლო შემდეგ აყვანილი იქნა პრესვიტერის ხარისხში. იმავე 1920 წლის 25 აპრილს პატრიარქმა ტიხონმა პავლე პოლიანსკის პოდოლსკის ეპისკოპოსად დაასხა ხელი, იმავდროულად დაინიშნა მოსკოვის ეპარქიის ქორეპისკოპოსად. 1923 წელს ეპისკოპოს პეტრეს პატრიარქმა ტიხონმა კრუტიცკის არქიეპისკოპოსად დაასხა ხელი, ხოლო 1924 წელს აყვანილი იქნა მიტროპოლიტის ხარისხში.

1923 წლიდან არქიეპისკოპოსი პეტრე პატრიარქ ტიხონის უახლესი თანამებრძოლი ხდება. პატრიარქის კურთხევით იგი დაკავებული იყო საეკლესიო ცხოვრების ნორმალიზაციასთან დაკავშირებული საკითხებით. პატრიარქი ტიხონი მიტროპოლიტ პეტრეს



ეთათბირებოდა საეკლესიო მმართველობის საკითხების გადაწყვეტის დროს. უკანასკნელად მიტროპოლიტი პეტრე პატრიარქ ტიხონს შეხვდა გარდაცვალებამდე ორი საათით ადრე. პატრიარქმა მიტროპოლიტს გადასცა სამწყსოსადმი მოწოდების ტექსტი.

პატრიარქის ტახტის მონაცვლის, მიტროპოლიტ პეტრე კრუტიცკის პირველი ღონისძიება იყო პატრიარქ ტიხონის მიერ სიკვდილის წინ დაწერილი სამწყსოსადმი მოწოდების გავრცელება. 1925 წლის 14 აპრილს მიტროპოლიტი პეტრე ურალის მიტროპოლიტ ტიხონთან ერთად გაზეთ „იზვესტიას“ რედაქციას ეწვია და გამოსაქვეყნებლად გადასცა პატრიარქ ტიხონის მოწოდების ტექსტი.

„განმაახლებელმა“ პატრიარქ ტიხონის გარდაცვალების თავის სასარგებლოდ გამოყენება სცადეს. ისინი გარდაცვლილი პატრიარქის მიმართ ცილის წამებასაც კი არ მოერიდნენ. „განმაახლებელთა“ სინოდის 1925 წლის 11 აპრილისა და 30 აპრილის ეპისტოლეებში გატარებული იყო აზრი იმის თაობაზე, რომ განხეთქილება რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში მხოლოდ პატრიარქ ტიხონის ხასიათის გამო მოხდა. „განმაახლებელთა“ აზრით, ამიერიდან განხეთქილების დაძლევის წინ ველარაფერი აღუდგებოდა. „განმაახლებელთა“ სინოდი მიიჩნევდა, რომ განხეთქილების დაძლევის მიზნით 1925 წლის შემოდგომაზე უნდა მოეწვიათ რუსეთის საეკლესიო კრება.

პატრიარქის ტახტის მონაცვლემ მიტროპოლიტმა პეტრემ 1925 წლის 15 (28) ივლისის ეპისტოლეში კანონიკური შეფასება მისცა „განმაახლებელთა“ სინოდის ეპისტოლეებში გატარებულ შეხედულებას, კატეგორიულად უარყო „განმაახლებელთან“ რაიმე მოლაპარაკებისა და შეთანხმების შესაძლებლობა. მიტროპოლიტმა პეტრემ „განმაახლებლებს“ მონანიებისაკენ მოუწოდა. მიუხედავად ამისა, „განმაახლებლები“ ბრძოლას არ წყვეტდნენ.

1925 წლის 1-10 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა „განმაახლებელთა“ მეორე ყრილობა („მეორე ცრუ კრება“). ყრილობამ მიიღო „მიმართვა სსრკ მთავრობისადმი“. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ პატრიარქ ტიხონის მომხრე სამღვდელთა ანტისაბჭოთა განყოფილებისა და მას კავშირი აქვს საზღვარგარეთის მონარქისტულ წრებთან. ცხადი იყო, რომ მიმართვის უმთავრესი მიზანი პატრიარქის ტახტის მონაცვლის მიტროპოლიტ პეტრეს გზიდან ჩამოცილება იყო.

თანდათან ნათელი ხდებოდა „განმაახლებელთა“ მოძრაობის კრიზისი. 1923 წლის დამდეგისათვის „განმაახლებელთა“ შექმნილ „უმაღლეს საეკლესიო მმართველობის“ დაქვემდებარებაში იყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამწყსოთა 70%. 1924 წელს „განმაახლებელთა“ სინოდს, რომელმაც „უმაღლესი საეკლესიო მმართველობა“ შესცვალა, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის 28.743 სამწყსოდან ემორჩილებოდა დაახლოებით 15.000 სამწყსო. 1925 წლის მიწურულისათვის „განმაახლებლების“ დაქვემდებარებაში იყო 9.000, ხოლო 1926 წლის მიწურულს – 6000 სამწყსო. „განმაახლებლებს“ შედარებით ძლიერი პოზიციები ჰქონდათ ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ყირიმის, ჩრდილო კავკასიის, ყაზახეთისა და შუა აზიის ეპარქიებში.

„განმაახლებელთა“ მოძრაობა შემდეგში კიდევ უფრო დასუსტდა. 1930 წელს გარდაცვლილი „განმაახლებელთა“ პირველი იერარქი ლენინგრადის მიტროპოლიტი **ბენიამინი (მურატოვსკი)** შესცვალა ტულის მიტროპოლიტმა **ვიტალიმ (ვედენსკიმ)**. 1930 წელს „განმაახლებელთა“ სინოდმა გააუქმა უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო 1934 წელს – ბელორუსიის ეკლესიის ავტონომია. 1935 წელს არსებობა შეწყვიტა „განმაახლებელთა“ სინოდმა. უფრო ადრე დაიხურა „განმაახლებელთა“ სასულიერო სასწავლებლები მოსკოვში, ლენინგრადსა და კიევში, შეწყდა პერიოდული გამოცემების გამოსვლა. 1938 წლისათვის აღარ არსებობდა „განმაახლებელთა“ ეპარქიების უდიდესი ნაწილი. დარჩენილი ეპარქიების ხელმძღვანელობას ახორციელებდა პირველი იერარქი მიტროპოლიტი **ვიტალი (ვედენსკი)**. 1941 წელს იგი შესცვალა მიტროპოლიტმა **ალექსანდრემ (ვედენსკიმ)**. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1946 წელს, „განმაახლებელთა“ პირველი იერარქი მიტროპოლიტი **ალექსანდრე (ვედენსკი)** ეახლა რუსეთის პატრიარქს **ალექსი I-ს**. მიტროპოლიტმა **ალექსანდრემ** არ მიიღო პატრიარქ **ალექსი I-ის** წინადადება – მოენანიებინა და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას დაბრუნებოდა როგორც ერისკაცი. „განმაახლებელთა“ პირველი იერარქის მიტროპოლიტ **ალექსანდრეს (ვედენსკის)** გარდაცვალებით რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში განხეთქილება დასრულდა.



პატრიარქის ტახტის მონაცვლე მიტროპოლიტი პეტრე (პოლიანსკი) ხედავდა, რომ ახალ ხანებში შექმნილ მძიმე ვითარების გამო რუსეთის საეკლესიო კრების მოწვევა და პატრიარქის არჩევა შეუძლებელი იქნებოდა. 1925 წლის 22 ნოემბრის (5 დეკემბრის) წერილობითი განკარგულებით მიტროპოლიტმა პეტრემ მისი გარდაცვალების შემთხვევაში პატრიარქის ტახტის მემკვიდრედ დაასახელა შემდეგი კანდიდატები: მიტროპოლიტი **კირილე (სმირნოვი)**, მიტროპოლიტი **აგაფანგელი (პრეობრაჟენსკი)**, მიტროპოლიტი **არსენი (სტადნიცკი)** და მიტროპოლიტი **სერგი (სტრაგოროდსკი)**. 1925 წლის 23 ნოემბერს (6 დეკემბერს) მიტროპოლიტმა პეტრემ მეორე განკარგულებას მოაწერა ხელი. ამ განკარგულების ძალით თუ იგი რაიმე მიზეზის გამო ვერ შესძლებდა პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოვალეობის აღსრულებას პატრიარქის ტახტის მონაცვლე უნდა გამხდარიყო ნიჟნი ნოვგოროდის მიტროპოლიტი **სერგი (სტრაგოროდსკი)**. თუ რაიმე მიზეზის გამო მიტროპოლიტი სერგი ვერ შესძლებდა პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოვალეობის შესრულებას მაშინ ეს მოვალეობა უნდა დაკისრებოდა კიევის მიტროპოლიტს **მიხეილს (ერმაკოვს)** ან როსტოვის არქიეპისკოპოსს **იოსებს (პეტროვიჩს)**.

პატრიარქის ტახტის მონაცვლე მიტროპოლიტი პეტრე ფორმალურად არ გადამდგარა თანამდებობიდან. მისი ნების თანახმად, 1925 წლის დეკემბრიდან რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას განაგებდა ნიჟნი ნოვგოროდის მიტროპოლიტი **სერგი (სტრაგოროდსკი)**, რომელიც იწოდებოდა „**პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოადგილედ**“.

პატრიარქის ტახტის მონაცვლეს მიტროპოლიტი პეტრეს (პოლიანსკის) ოპოზიციაში ჩაუდგა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქების ნაწილი. ცხრა იერარქმა, რომელთაც მოგვიანებით კიდევ რამდენიმე იერარქი დაემატა, ეკატერინბურგის არქიეპისკოპოსის **გრიგოლის (იაცკოვსკის)** წინამძღოლობით პატრიარქის ტახტის მონაცვლის, მისი მოადგილისა და სხვა იერარქების თანხმობის გარეშე 1925 წლის 22 დეკემბერს შექმნა „**დროებითი უმაღლესი საეკლესიო საბჭო**“. იერარქთა გადაწყვეტილება

შეთანხმებული იყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან. ამიტომ იყო, რომ უკანონოდ შექმნილი დროებითი უმაღლესი საეკლესიო საბჭო სცნო საბჭოთა კავშირის მთავრობამ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში ახალი განხეთქილება იწყებოდა.

ამ დროისათვის მიტროპოლიტი სერგი (სტრაგოროდსკი) მოსკოვში არ იმყოფებოდა. იგი პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოადგილის მოვალეობის შესრულებას ნიჟნი ნოვგოროდში შეუდგა.

1926 წლის 14 იანვარს მიტროპოლიტმა **სერგიმ** ეპისტოლე გაუგზავნა არქიეპისკოპოს **გრიგოლს (იაცკოვსკის)** და უკანონო ორგანოს – დროებითი უმაღლესი საეკლესიო საბჭოს – შექმნა დაგმო. ამავე დროს მიტროპოლიტმა სერგიმ არქიეპისკოპოს გრიგოლს აცნობა, რომ დროებითი უმაღლესი საეკლესიო საბჭოს წევრების საქმე გადაეცემოდა საეკლესიო სასამართლოს. საპასუხო წერილში არქიეპისკოპოსი გრიგოლი მიტროპოლიტ სერგის სთავაზობდა კომპრომისს – ეკლესიის მიმართ „კოლექტიური პასუხისმგებლობის“ აღებას. კოლექტიური პასუხისმგებლობა იმაში უნდა გამოხატულიყო, რომ პატრიარქის ტახტის მონაცვლე მიტროპოლიტი სერგი დროებითი უმაღლესი საეკლესიო საბჭოს წევრი უნდა გამხდარიყო. მიტროპოლიტმა სერგიმ არქიეპისკოპოს გრიგოლს კატეგორიული უარით უპასუხა, ხოლო 1926 წლის 29 აპრილს აცნობა, რომ პირადად მისი და მისი მომხრე ეპისკოპოსების საქმე გადაეცა საეკლესიო სასამართლოს.


არქიეპისკოპოსი გრიგოლი და მისი მომხრე ეპისკოპოსები ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებდნენ. 1926 წლის 1 თებერვალს ისინი ეახლნენ პატრიარქის ტახტის მონაცვლეს მიტროპოლიტ **პეტრეს**, რომელიც პრაქტიკულად თავისსავე ნებით ჩამოშორებული იყო რუსეთის ეკლესიის უმაღლეს მმართველობას. არქიეპისკოპოსმა გრიგოლმა და მისმა თანამოაზრე ეპისკოპოსებმა მიტროპოლიტ პეტრეს ცრუ ინფორმაცია მიაწოდეს და იგი მიტროპოლიტ სერგის წინააღმდეგ განაწყვეს. მიტროპოლიტმა პეტრემ მიტროპოლიტი სერგი გადააყენა პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოადგილის თანამდებობიდან, და რუსეთის ეკლესიის მართვის მიზნით შექმნა კოლეგია. კოლეგიის წევრები გახდნენ: ვლადიმირის არქიეპისკოპოსი **ნიკოლოზი**, ტომსკის არქიეპისკოპოსი **დიმიტრი** და განხეთქილების მოთავე ეკატერინბურგის არქიეპისკოპოსი **გრიგოლი (იაცკოვსკი)**. კოლეგის შემადგენლობის განსაზღვრისას არქ-

იეპისკოპოსმა გრიგოლმა მიტროპოლიტ პეტრეს დაუმალა, რომ არქიეპისკოპოსებს ნიკოლოზსა და დიმიტრის არ შეეძლოთ დაკისრებული მოვალეობის შესრულება. მიტროპოლიტი სერგი დაემორჩილა პატრიარქის ტახტის მონაცვლის გადანყვევტილებას: ამავე დროს მიტროპოლიტმა სერგიმ განაცხადა, რომ პატრიარქის ტახტის მონაცვლე არ იცნობდა რუსეთის ეკლესიაში შექმნილ ვითარებას და რომ იგი შეყვანილი იყო შეცდომაში.

რუსეთის ეკლესიის იერარქებმა და სამწყსოებმა მხარი დაუჭირეს მიტროპოლიტ სერგის არქიეპისკოპოს გრიგოლისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ ბრძოლაში. დროებით უმაღლესი საეკლესიო საბჭოს ზოგიერთმა წევრმა შეიგნო თავის შეცდომა და მიტროპოლიტ სერგის შენდობა სთხოვა. 1926 წლის თებერვალში შენდობა პირველმა ითხოვა პერეიასლავლის ეპისკოპოსმა **დამიანმა (ვოსკრესენსკიმ)**. სამაგიეროდ, არქიეპისკოპოსმა გრიგოლმა და მისმა მომხრეებმა სცადეს გავლენიანი საეკლესიო იერარქების გადაბირება. მათ არქიეპისკოპოს **ილარიონს (ტროიცკის)** შესთავაზეს დროებით უმაღლესი საეკლესიო საბჭოს წევრობა, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღეს.

საბოლოო ჯამში არქიეპისკოპოსმა გრიგოლმა და მისმა მიმდევრებმა აღიარება ვერ ჰპოვეს. მათ ვერც საეკლესიო კრების მოწვევას მიაღწიეს. 1928 წლისათვის ცხადი გახდა, რომ რუსეთის ეკლესიაში განხეთქილების საფრთხე აღარ არსებობდა. არქიეპისკოპოსი გრიგოლი (იაცკოვსკი), რომელსაც დროებითმა უმაღლესმა საეკლესიო საბჭომ მიტროპოლიტის ხარისხი უბოძა, მოსკოვიდან ეკატერინბურგში (სვერდლოვსკში) გადაბარგდა. იგი გარდაცვალებამდე (1932 წ.) რამდენიმე ეკლესიის სამწყსოს განაგებდა. არქიეპისკოპოს გრიგოლის ყველაზე ცნობილი თანამოაზრე მოჟაისკის ეპისკოპოსი **ბორისი (რუკინი)** 1943 წელს გარდაიცვალა. ციმბირისა და ვოლგისპირეთის ეპარქიებში დარჩენილმა არქიეპისკოპოს გრიგოლის მიმდევრებმა 1943 წელს მოინანიეს და მიტროპოლიტ სერგის შენდობა სთხოვეს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ იაროსლავის მიტროპოლიტი **აგაფანგელი (პრეობრაჟენსკი)** რუსეთის პატრიარქის ტახტის მონაცვლის მიტროპოლიტ პეტრეს (პოლიანსკის) მიერ დასახელებული იყო იმ კანდიდატთა შორის, რომელთაგან ერთი მისი გარდაცვალების



შემთხვევაში პატრიარქის ტახტის მონაცვლე უნდა გამხდარიყო. 1926 წლის 5 (18) აპრილს, ისე რომ არ იცნობდა რუსეთის ეკლესიის უმაღლეს მმართველობაში შექმნილ ვითარებას, მიტროპოლიტი აგაფანგელმა ქ. პერიოდისგან გაავრცელა „ეკლესიისადმი მიმართვა“. მიმართვაში მიტროპოლიტი აგაფანგელი იუწყებოდა, რომ შეუდგა რუსეთის პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოვალეობის შესრულებას. ამ პერიოდისათვის პატრიარქის ტახტის მონაცვლეს მიტროპოლიტი პეტრეს (პოლიანსკის) თავისი უფლება-მოვალეობა მოხსნილი არ ჰქონდა, ხოლო პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოვალეობას პრაქტიკულად მიტროპოლიტი სერგი (სტრაგოროდსკი) ასრულებდა. მიტროპოლიტი სერგი მიმონერის გზით (1926 წლის 17 (30) აპრილის, 1926 წლის 3 (16) მაისისა და 1926 წლის 10 (23) მაისის წერილებით) მიტროპოლიტი აგაფანგელი დაარწმუნა მისი გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობაში. 1926 წლის 11 (24) მაისს მიტროპოლიტი აგაფანგელმა მიტროპოლიტი სერგის აცნობა, რომ იგი რუსეთის ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით უარს ამბობდა თავის განზრახვაზე.

1936 წლის 29 აგვისტოს (11 სექტემბერს) რუსეთის პატრიარქის ტახტის მონაცვლე მიტროპოლიტი პეტრე (პოლიანსკი) გარდაიცვალა. 1936 წლის 14 (27) დეკემბერს ძალაში შევიდა „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის ტახტის მონაცვლის უფლებისა და მოვალეობის პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოადგილის, მოსკოვისა და კოლომენსკოეს უნეტარესი მიტროპოლიტის სერგისადმი (სტრაგოროდსკი) გადაცემის აქტი“. მიტროპოლიტი სერგი უკვე 1925 წლიდან პრაქტიკულად ასრულებდა პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოვალეობას. პატრიარქის ტახტის მონაცვლის მიტროპოლიტი პეტრეს (პოლიანსკის) 1925 წლის 22 ნოემბრის (5 დეკემბრის) წერილობით განკარგულებაში მიტროპოლიტი სერგისთან ერთად დასახელებული სამი კანდიდატიდან ორი – მიტროპოლიტი აგაფანგელი (პრეობრაჟენსკი) და მიტროპოლიტი არსენი (სტადნიცკი) – პატრიარქის ტახტის მონაცვლეზე, მიტროპოლიტი პეტრეზე ადრე გარდაიცვალნენ. მესამე კანდიდატს – კიევის მიტროპოლიტს კირილეს (სმირნოვს) – არ შეეძლო პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოვალეობის შესრულება.



რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ საწყისებზე მონყობა შეუძლებელი იყო საეკლესიო კრების გარეშე. გარდა ამისა, უნდა გარკვეულიყო რუსეთის ეკლესიის იურიდიული სტატუსი. საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით (სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 12 ივნისის დადგენილება და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლის 10 აგვისტოს ინსტრუქცია) ყოველგვარი კერძო საზოგადოებისა და მათთან გათანასწორებული რელიგიური საზოგადოებების მოღვაწეობა ნებადართული უნდა ყოფილიყო შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (სამინისტროს) მიერ. საზოგადოება, რომელსაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში რეგისტრაცია არ ჰქონდა გავლილი, ლიკვიდირებული უნდა ყოფილიყო. ცხადია, კერძო საზოგადოების (ორგანიზაციის) სტატუსით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ვერ იარსებებდა. რუსეთის ეკლესიისათვის შესაფერისი სტატუსის მოპოვება იყო პატრიარქის საზრუნავი. 1923 წელს პატრიარქ ტიხონის მიერ შექმნილ რუსეთის ეკლესიის პატრიარქთან არსებულ დროებით საღვთო სინოდს საბჭოთა ხელისუფლება არ სცნობდა, რადგან იგი რეგისტრირებული არ ყოფილა საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით. დროებით საღვთო სინოდში შედიოდნენ პატრიარქ ტიხონის უახლოესი თანამოაზრეები: ურალის მიტროპოლიტი ტიხონი (ობოლენსკი), ტვერის მიტროპოლიტი სერაფიმი (ალექსანდროვი), კრუტიცკის მიტროპოლიტი პეტრე (პოლიანსკი). საღვთო სინოდი „დროებითად“ იწოდებოდა იმის გამო, რომ მისი წევრები საეკლესიო კრების მიერ არ იყვნენ არჩეულნი და თავიანთ მოვალეობას პატრიარქის განკარგულებით ასრულებდნენ. საღვთო სინოდი „პატრიარქთან არსებულად“ იწოდებოდა იმის გამო, რომ იგი განესხვაგვებინათ „განმაახლებელთა“ საღვთო სინოდისაგან. 1925 წლის 15 (28) იანვარს პატრიარქმა ტიხონმა შესაბამის სახელმწიფო ორგანოს მიმართ თხოვნით, რათა საეკლესიო კრების მოწვევამდე რეგისტრაციაში გაეტარებინათ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქთან არსებული საღვთო სინოდი. სულ საღვთო სინოდში თორმეტი წევრი უნდა ყოფილიყო. ზემოთ დასახელებული სამი წევრის გარდა, ეს პატივი წილად ხვდა ნიჟინ ნოვგოროდის მიტროპოლიტს სერგის (სტრაგოროდსკის), ვიატკის არქიეპისკოპოსს პავლეს (ბორისოვსკის) და სხვებს. პატრიარქ ტიხონის მცდელობას

შედეგი არ მოჰყოლია. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ნორმალიზაციას საბჭოთა ხელისუფლება უკავშირებდა რუსეთის ეკლესიის მიერ „დეკლარაციის“ მიღებას. დეკლარაციაში საუბარი უნდა ყოფილიყო 1917 წლის ოქტომბრის შემდგომ პერიოდში შექმნილ სოციალურ ვითარებაში ეკლესიის ადგილზე, მის დანიშნულებაზე და ა. შ. ასეთი დეკლარაციის საფუძვლად შეიძლება ქცეულიყო პატრიარქ ტიხონის 1925 წლის 25 მარტის (7 აპრილის) მონოდება, რომელიც პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ნორმალიზების გზებს ეძიებდა არქიეპისკოპოსი ილარიონი (ტროიციკი).

პატრიარქ ტიხონის გარდაცვალების შემდეგ, 1926 წლის მაისში, გამოქვეყნდა „მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა მიმართვა სსრკ მთავრობისადმი“. ეს იყო ოფიციალური მიმართვის პროექტი. ამ დოკუმენტთან იყო დაკავშირებული მეორე დოკუმენტი – „მიმართვა მართლმადიდებელი მღვდელმთავრებისა და მოძღვრებისადმი“. იგი მიტროპოლიტმა სერგიმ შეადგინა და 1926 წლის 28 მაისით (10 ივნისით) იყო დათარიღებული.

„მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა მიმართვა სსრკ მთავრობისადმი“ შემდეგი შინაარსისაა: 1) რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ცნობდა საბჭოთა კონსტიტუციას, სვინდისის თავისუფლებისა და რელიგიური თემების თაობაზე დეკრეტს, როგორც საეკლესიო ცხოვრების ორგანიზების საფუძველს; 2) რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია სცნობდა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფას; 3) რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია არ ესწრაფვოდა არსებული წყობილების დამხობას და მონაწილეობას არ მიიღებდა ანტისაბჭოთა მოძრაობაში; 4) რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ემორჩილებოდა საბჭოთა კავშირის სამოქალაქო კანონმდებლობას. ამასთან ერთად, მიმართვაში აღნიშნული იყო: ა). რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სურვილი იყო სრულიად შეენარჩუნებინა საბჭოთა კონსტიტუციით ნაბოძები სულიერი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, არ მიეღო კომპრომისის მიღწევის უღირსი გზა; ბ). რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ანგარიშს უწევდა იმას, რომ ისტორიული მატერიალიზმის პრინციპი საბჭოთა იდეოლოგიის საფუძველი იყო, მაგრამ შეურყევლად დაციავდა ქრისტეს სწავლებას.

1926 წლის 10 ივლისს მიტროპოლიტმა სერგიმ (სტრაგოროდსკიმ) თხოვნით მიმართა საბჭოთა ხელისუფლების შესაბამის ინსტანციას: 1) რეგისტრაციაში გაეტარებინათ იგი, როგორც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოვალეობის შემსრულებელი; 2) მიეცათ ნიჟნი ნოვგოროდიდან მოსკოვში გადასვლის უფლება; 3) ნება დაერთოთ რუსეთის საეკლესიო კრების მონვევამდე მოენჯია საეკლესიო იერარქების კრება, გამოეცა ბეჭდვითი ორგანო და გაეხსნა სასულიერო სასწავლებლები.

მიტროპოლიტ სერგის თხოვნას თან ერთვოდა „მართლმადიდებელ მღვდელმთავრებისა და მოძღვრებისადმი მიმართვის პროექტი“. პროექტში აღნიშნული იყო, რომ ეკლესიას თავის პრინციპებზე უარის თქმისა და იდეური კომპრომისის გარეშეც შეეძლო სახელმწიფოსათვის სასიკეთო პატრიოტული საქმის კეთება.

1926 წლის ნოემბერში მიტროპოლიტი სერგი იძულებული გახდა დროებით ჩამოშორებოდა უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებას. რუსეთის პატრიარქის ტახტის მონაცვლე მიტროპოლიტმა პეტრემ (პოლიანსკიმ) 1925 წლის 6 დეკემბერს პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოვალეობა დააკისრა არქიეპისკოპოს იოსებ (პეტროვიჩს), რომელიც 1926 წლის აგვისტოში ლენინგრადის მიტროპოლიტადაც დაინიშნა. არქიეპისკოპოს იოსებს იმხანად არ შეეძლო დაკისრებული მოვალეობის შესრულება. 1926 წლის 25 ნოემბერს (8 დეკემბერს) არქიეპისკოპოსმა იოსებმა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავრებსა და მოძღვრებს მიმართა ეპისტოლეთი, რომელშიც განსაზღვრული იყო მის შემდეგ პატრიარქის ტახტის მონაცვლის თანამდებობის დაკავების „კანონიკური და უდავო“ წესი. ამ წესის მიხედვით 1926 წლის დეკემბერში პატრიარქის ტახტის მონაცვლის დროებითი მოადგილე გახდა უგლიჩის არქიეპისკოპოსი სერაფიმი (სამოილოვიჩი).

ამრიგად, 1927 წლის დამდეგისათვის რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლეს მმართველობაში ბევრი გაუგებრობა და წინააღმდეგობა არსებობდა. არქიეპისკოპოსი სერაფიმი (სამოილოვიჩი) ეპარქიის მმართველ ეპისკოპოსებს სთხოვდა ყველა საქმე ადგილებზე თავადვე გადაეწყვიტათ და უმაღლესი საეკლესიო მმართველობა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ჩაეყენებინათ საქმის კურსში. ბევრმა საეკლესიო იერარქმა ნაბოძები „ავტონომია“ სწორად ვერ გაიგო და კანონიკის დარღვევის გზას დაადგა.

1927 წლის 30 მარტს მიტროპოლიტი სერგი (სტრაგოროდსკი) კვლავ შეუდგა პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოადგილის მოვალეობის შესრულებას. 1927 წლის 18 მაისს მიტროპოლიტმა სერგიმ მოსკოვში მოიწვია **საეკლესიო იერარქების თათბირი**, რომელსაც წარუდგინა რუსეთის პატრიარქთან არსებული დროებითი საღვთო სინოდის შექმნის პროექტი. საღვთო სინოდის შემადგენლობაში შევიდნენ: ნოვგოროდის მიტროპოლიტი **არსენი (სტადნიცკი)**, ტვერის მიტროპოლიტი **სერაფიმი (ალექსანდროვი)**, ვოლოგდის არქიეპისკოპოსი **სილვესტრი (ბრატანოვსკი)**, ხუტინის არქიეპისკოპოსი **ალექსი (სიმანსკი)**, კოსტრომის არქიეპისკოპოსი **სებასტიანი (ვესტი)**, ზვენეგორაიდის არქიეპისკოპოსი **ფილიპე (გუმილევსკი)**, სუმის ეპისკოპოსი **კონსტანტინე (დიაკოვი)**. მოგვიანებით სახვთო სინოდის წევრები გახდნენ: რუსეთის პატრიარქის ეგზარქოსი უკრაინაში, კიევის მიტროპოლიტი **მიხეილი (ერმაკოვი)**, ტაშკენტის ეპისკოპოსი **ნიკანდრი (ფენომენოვი)**, სამარის არქიეპისკოპოსი **ანატოლი (გრისიუკი)**, ვიატკის არქიეპისკოპოსი **პავლე (ბორისოვსკი)**, სერპუხოვოს ეპისკოპოსი **სერგი (გრიშინი)** ეპისკოპოსი სერგი დაინიშნა სინოდის საქმის მწარმოებლად.

1927 წლის 20 მაისს საბჭოთა რუსეთის შინაგან საქმეთა კომისარიატმა პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელს მიტროპოლიტ სერგის (სტრაგოროდსკის) აცნობა, რომ საღვთო სინოდის დამტკიცებამდე მის მოღვაწეობას ხელს არაფერი შეუშლიდა. საღვთო სინოდი 1927 წლის აგვისტოში ოფიციალურად დამტკიცდა.

1927 წლის 25 მაისს შედგა პატრიარქთან არსებული **დროებითი საღვთო სინოდის** პირველი ოფიციალური სხდომა. ამ დღიდან იურიდიულად დაკანონდა პატრიარქის ტახტის მონაცვლესთან არსებული უმაღლესი საეკლესიო მმართველობა. იმავე დღეს ეპარქიებში დაიგზავნა მინერილობა ეპარქიების მმართველ ეპისკოპოსებთან **დროებითი საეპარქიო საბჭოების** შექმნის თაობაზე. დროებით საეპარქიო საბჭოებს რეგისტრაცია უნდა გაეწეოთ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში. ქორეპისკოპოსებთან უნდა შექმნილიყო **დროებითი საბლალოჩინო საბჭოები**. ასე დასრულდა პატრიარქ ტიხონისა (ბელავინისა) და პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოადგილის, მიტროპოლიტ სერგი (სტრაგოროდსკის) მოღვაწეობა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი და

ადგილობრივი (საეპარქიო) ხელისუფლების ორგანოების დაკანონების მიზნით.

1927 წლის 16 (29) ივლისს გამოცემული იქნა „**ეპისტოლე მოძღვრება და სამწყსოებს**“. ეპისტოლეს მიტროპოლიტ სერგისთან ერთად ხელს აწერდნენ დროებითი საღვთო სინოდის წევრები. ამ დოკუმენტს სამეცნიერო ლიტერატურაში იხსენიებდნენ როგორც „**მიტროპოლიტ სერგის დეკლარაციას**“ ან „**1927 წლის დეკლარაციას**“.

დეკლარაცია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს აუწყებდა, რომ შეიქმნა ეკლესიის უმაღლესი მმართველობა – **პატრიარქთან არსებული საღვთო სინოდი**. ამიერიდან რუსეთის ეკლესიის სათავეში იდგა როგორც კანონიკური, ისე სამოქალაქო კანონმდებლობის თვალსაზრისით ლეგიტიმური ორგანო. დეკლარაციის ავტორი აცხადებდა, რომ აღსრულდა ის, რისთვისაც იღვწოდა პატრიარქი ტიხონი.

„**მიტროპოლიტ სერგის დეკლარაციის**“ ანუ „**1927 წლის დეკლარაციის**“ შინაარსი ასეთია:

1. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ადასტურებდა, რომ იგი ლოიალურად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი;
2. საბჭოთა მოქალაქე შეიძლება ლოიალურად იყოს განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი და ამავე დროს ინარჩუნებდეს ერთგულებას ეკლესიისადმი, იყოს მორწმუნე და ქრისტეს სწავლების დამცველი;
3. ყველა მორწმუნე ვალდებულია იყოს თავისი სამშობლოს ერთგული მოქალაქე;
4. 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ რუსეთში განვითარებული მოვლენები შემთხვევითობა კი არ იყო, არამედ ღმერთის ნება. ღმერთის ნების გარეშე, შემთხვევით, არაფერი ხდება;
5. საზღვარგარეთ მყოფ რუს სამღვდელოებს თავი უნდა შეეკავებინა პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობისაგან და საჯაროდ დაედასტურებინა თავისი ლოიალური დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი განკვეთილი იქნებოდნენ რუსეთის ეკლესიისაგან;
6. უნდა მოწვეულიყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეორე კრება (პირველ საეკლესიო კრებად ითვლებოდა 1917-1918 წლების კრება – ავტ.), რომელიც, დროებითი ცენტრალური

საეკლესიო მმართველობის ნაცვლად, აირჩევა ახალ ცენტრალურ მმართველობას.

ამრიგად, რუსეთის მართლმადიდებლობა ეკლესიამ პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოადგილის, მიტროპოლიტ სერგის (სტრაგოროდსკის) წინამძღოლობით შესძლო იმ კრიზისის დაძლევა, რომელიც 1917 წლის ოქტომბრის შემდგომ დაიწყო და დიდი სირთულეები შექმნა ეკლესიაში.

მიტროპოლიტი სერგი (ერისკაცობაში ივანე ნიკოლოზის ძე სტრაგოროდსკი) დაიბადა 1867 წლის 11 იანვარს ქალაქ არზამასში დედათა მონასტრის მღვდლის ოჯახში. დედა ბავშვის დაბადების შემდეგ მალევე გარდაიცვალა. ივანე და მისი უფროსი და დედათა მონასტერში იზრდებოდნენ. რვა წლის ასაკში ივანე სტრაგოროდსკი სამრევლო სასწავლებელში შეიყვანეს, შემდეგ სწავლა განაგრძო არზამასის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1886 წელს დაამთავრა ნიჟნი ნოვგოროდის სასულიერო სემინარია. სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ შევიდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში.

1890 წლის 30 იანვარს ივანე სტრაგოროდსკი ბერად აღიკვეცა და მიიღო სახელი სერგი. იმავე 1890 წელს ბერმონაზონმა სერგიმ წარჩინებით დაასრულა პეტერბურგის სასულიერო აკადემია. ნაშრომისათვის – „Православное учение о вере и добрых делах“, მას მიენიჭა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი.

1890 წელს ბერდიაკონმა სერგიმ პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორს მიმართა თხოვნით, რათა იგი იაპონიის მართლმადიდებლურ მისიაში ჩაერიცხათ. 1890 წლის ოქტომბერში იგი უკვე ტოკიოშია. სულ მალე ბერდიაკონი სერგი გახდა იაპონიის არქიეპისკოპოსის ნიკოლოზის უახლოესი თანამოაზრე და თანაშემწე. ბერდიაკონმა სერგიმ განსაკუთრებული ნიჭის წყალობით სწრაფად შეისწავლა იაპონური ენა. 1891 წელს არქიეპისკოპოსმა ნიკოლოზმა ბერმონაზონი სერგი ქალაქ კიოტოში გააზავნა, სადაც მართლმადიდებლურ ეკლესიაში მოღვაწეობდა. იმავე 1891 წლის შემოდგომიდან ბერმონაზონი სერგი ტოკიოს სასულიერო სემინარიაში დოგმატურ ღვთისმეტყველებას ასწავლიდა.

1891 წლის დეკემბრიდან 1892 წლის გაზაფხულამდე ბერმონაზონი სერგი რუსეთის ერთ-ერთ სამხედრო გემზე იმყოფებოდა, სადაც გემის მოძღვრის მოვალეობას ასრულებდა. შემდეგ ერთი წლის

განმავლობაში ისევ ქ. კიოტოს ეკლესიაში იმყოფებოდა, ეწეოდა მისიონერულ მოღვაწეობას.

1893 წლის გაზაფხულზე ბერმონაზონი სერგი რუსეთში ბრუნდება და პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს. იგი ინიშნება **პეტერბურგის სასულიერო აკადემიის** ძველი ალექსის კათედრის დოცენტის მოვალეობის შემსრულებლად. იმავე 1893 წლის დეკემბერში გადაჰყავთ **მოსკოვის სასულიერო აკადემიის** ინსპექტორად. მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ბერმონაზონი სერგი ძალზე დაუახლოვდა აკადემიის რექტორს არქიმანდრიტ **ანტონს (ხრაპოვიცკის)**. არქიმანდრიტ ანტონის რჩევით ბერმონაზონმა სერგიმ გადაამუშავა თავისი საკანდიდატო დისერტაცია და 1895 წელს მოსკოვის სასულიერო აკადემიაში დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია.

1894 წლის დეკემბერში ბერმონაზონი სერგი დაინიშნა ათენში რუსეთის საელჩოს ეკლესიის წინამძღვრად და იმავდროულად აყვანილი იქნა **არქიმანდრიტის** ხარისხში. საბერძნეთში იგი ორ წელზე მეტ ხანს მოღვაწეობდა. შემდეგ გადაყვანილი იქნა იაპონიაში **მართლმადიდებლური მისიის უფროსის თანაშემწედ**. იაპონიაში იმყოფებოდა 1899 წლამდე.

1899 წელს არქიმანდრიტი სერგი დაინიშნა **პეტერბურგის სასულიერო სემინარიის რექტორად**, ხოლო იმავე წლის სექტემბერში – **პეტერბურგის სასულიერო აკადემიის ინსპექტორად**. 1901 წელს არქიმანდრიტი სერგი დაინიშნა **პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორად**, იმავე წელს ხელი დაასხეს იამბურგის ეპისკოპოსად და პეტერბურგის ეპარქიის **მესამე ქორეპისკოპოსად**. არქიმანდრიტ სერგის ეპისკოპოსად ხელდასხმა შედგა 1901 წლის 25 თებერვალს პეტერბურგში ალექსანდრე ნეველის ლავრის სამების ეკლესიაში.

1899 წელს პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში ასაკის გამო სამსახურს თავი გაანება ეკლესიის ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა პროფესორმა ი. ე. ტროიციმ. კათედრაზე ე. ი. ტროიციის ადგილი დაიკავა ეპისკოპოსმა სერგიმ. პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ეპისკოპოსი სერგი ინტენსიურ სამეცნიერო მუშაობასაც ეწეოდა. 1902 წელს გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „Что нас разделяет со старокаатоликамт? ხოლო 1903 წელს – „К вопросу о том, что нас разделяет со старокаатоликами?“.

1905 წლის 6 ოქტომბერს იამბურგის ეპისკოპოსი სერგი (სტრაგოროდსკი) გადაყვანილი იქნა ფინეთისა და ვიბორგის არქიეპისკოპოსად. არქიეპისკოპოსი სერგი იყო საეკლესიო კრების წინა თათბირის წევრი და აქტიური მოღვაწე (1907 წ.).


1911 წლის 6 მაისს არქიეპისკოპოსი სერგი დაინიშნა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი სინოდის წევრად და იმავდროულად დატოვებული იქნა ფინეთისა და ვიბორგის არქიეპისკოპოსად. 1912 წელს უწმიდეს სინოდთან შეიქმნა მუდმივმოქმედი საეკლესიო კრების წინა თათბირი, რომლის თავმჯდომარედაც არქიეპისკოპოსი სერგი დაინიშნა.

1917 წლის 10 აგვისტოს არქიეპისკოპოსი სერგი დაინიშნა ვლადიმირისა და შუის არქიეპისკოპოსად.

არქიეპისკოპოსი სერგი (სტრაგოროდსკი) იყო 1917-1918 წლების რუსეთის საკლასო კრების წევრი. იგი აქტიურად მონაწილეობდა კრების მუშაობაში. 1918-1921 წლებში იყო რუსეთის პატრიარქის ტიხონის (ბელანოვის) უახლოესი თანამოაზრე და თანამებრძოლი.

მიუხედავად ვითარების სტაბილიზაციისა, რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში სრული სიმშვიდე მაინც არ სუფევდა.

1927 წლის 31 აგვისტოს პატრიარქთან არსებულმა დროებითმა საღვთო სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება ლენინგრადის მიტროპოლიტის იოსების ოდესის ეპარქიაში გადაყვანის თაობაზე. ამ გადადგილების თაობაზე მიტროპოლიტმა იოსებმა არაფერი იცოდა, ამიტომ მან საღვთო სინოდის გადაწყვეტილებას არაკანონიკური უწოდა და არ დაემორჩილა მას. 1927 წლის ოქტომბერში მიტროპოლიტ სერგისა და დროებით საღვთო სინოდს დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს ვოტკინისა და ვიატკის ეპარქიებმა, ასევე გლაზოვოს ეპისკოპოსმა ვიქტორმა (ოსტროვიდოვმა). 1927 წლის დეკემბერში მიტროპოლიტ სერგისადმი დაუმორჩილებლობის აქტს მოაწერეს ხელი გდოვის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ (ლიუბიმოვმა) და კოპორიეს ეპისკოპოსმა სერგიმ (დრუჟინინმა). ცოტა უფრო ადრე პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოადგილის მიტროპოლიტ სერგის ლოცვებში მოხსენიება შეწყვიტეს ლენინგრადის ეპარქიის ზოგიერთ სამწყსოში. 1928 წლის იანვარში მიტროპოლიტ სერგის დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს ვორონეჟის ეპისკოპოსმა ალექსიმ (ბუიმ), მოსკოვის ეპარქიის ქორეპისკოპოსმა, სერპუხო-



ვოს ეპისკოპოსმა **ალექსიმ (გოტოვცევმა)**. 1928 წლის თებერვალში მიტროპოლიტ სერგის დაქვემდებარებიდან გამოვიდა იაროსლავის მიტროპოლიტი **აგაფანგელი (პრეობრაჟენსკი)** და იაროსლავის ეპარქიის **ოთხი ქორეპისკოპოსი**. მიტროპოლიტ აგაფანგელს მხარი დაუჭირა იმხანად იაროსლავის ეპარქიის ქალაქ როსტოვში მცხოვრებმა ლენინგრადის ყოფილმა მიტროპოლიტმა **იოსებმა**. ცოტა მოგვიანებით მიტროპოლიტ სერგის ოპოზიციაში ჩაუდგა ყაზანის მიტროპოლიტი **კირილე (სმირნოვი)**. სულ 1920 წლისათვის მიტროპოლიტ სერგისა და დროებითი საღვთო სინოდისადმი დაუმორჩილებლობა ჰქონდა გამოცხადებული 37 საეკლესიო იერარქს (მიტროპოლიტს, არქიეპისკოპოსს, ქორეპისკოპოსს, ეპისკოპოსს). თუმცა, ზოგიერთმა მათგანმა დაუმორჩილებლობა ადრევე შეწყვიტა და შენდობა ითხოვა.

მიტროპოლიტი სერგი ყოველ ღონეს ხმარობდა განხეთქილების დასაძლევად. მიტროპოლიტ სერგის მცდელობამ შედეგი გამოიღო. 1928 წელს მიტროპოლიტ სერგისა და საღვთო სინოდის დაქვემდებარებაში დაბრუნდა მიტროპოლიტი **აგაფანგელი**. 1941 წლის აგვისტოში იგივე მოიმოქმედა მიტროპოლიტმა **კირილემ**. საეკლესიო იერარქების ნაწილი შერიგების გზას გვიან – 1945 წლიდან დაადგა. ეპისკოპოსი **ალექსი (ბუი)** და მრევლის ნაწილი არც 1945 წლის შემდეგ სცნობდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი I-ს. 1971-1972 წლებისათვის ვორონეჟის, ტამბოვის, ლიპეცკისა და რიაზანის ოლქებში 1209 კაცი არ სცნობდა პატრიარქ ალექსი I-ს. მათ შორის ეპისკოპოსი ან მღვდელი არ იყო, არ ჰქონიათ რაიმე ორგანიზაცია.


რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საზღვარგარეთის ეპარქიები დიდად უშლიდნენ ხელს რუსეთის ეკლესიაში ვითარების ნორმალიზაციას.

1926 წლის სექტემბერში მიტროპოლიტმა **სერგიმ** საზღვარგარეთის ეპარქიებს ურჩია ან საზღვარგარეთის რომელიმე მართლმადიდებელი ქვეყნის ავტოკეფალურ ეკლესიაში გაერთიანებულიყვნენ ან შეექმნათ ეპარქიის (თემის) თვითმმართველობა. 1927 წლის ივლისში დროებითმა საღვთო სინოდმა საზღვარგარეთის ეპარქიებს ასეთი პირობა წაუყენა: 1) საზღვარგარეთის რუს სამღვდლოებას წერილობითი პირობა უნდა დაედო იმის თაობაზე, რომ ლოიალურ

დამოკიდებულებაში იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლებასთან; 2) დადებული პირობის დარღვევის შემთხვევაში სასულიერო პირი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის საპატრიარქოდან ჩამოშორებულიად ჩაითვლებოდა. რუსეთის პატრიარქს წერილობითი პირობა გამოუგზავნეს: დასავლეთ ევროპის სამწყსოების მმართველმა იერარქმა: მიტროპოლიტმა **ევლოგიმ (გეორგიევსკიმ)**, ლიტვის არქიეპისკოპოსმა **ელეფთერმა**, იაპონიის არქიეპისკოპოსმა **სერგიმ**, ჩინეთში მყოფმა კამჩატკის ეპისკოპოსმა **ნესტორმა**.

დადებული პირობა ყველა საეკლესიო იერარქმა არ დაიცვა. 1930 წლის 10 ივნისს მიტროპოლიტმა სერგიმ და დროებითმა საღვთო სინოდმა მიტროპოლიტი ევლოგი გადააყენა დასავლეთ ევროპის სამწყსოების მმართველის თანამდებობიდან. ამის საპასუხოდ დასავლეთ ევროპის სამწყსოების საეპარქიო საბჭომ 1930 წლის 26 ივლისს მიტროპოლიტ ევლოგის ნდობა გამოუცხადა. იმავედროულად საეპარქიო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მოსკოვის საპატრიარქოსთან კავშირის განწყვეტის თაობაზე. 1930 წლის 2 ივლისს მიტროპოლიტმა ევლოგიმ და საეპარქიო საბჭომ განმარტეს 1930 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება. განმარტებაში აღნიშნული იყო, რომ საქმე ეხებოდა მოსკოვის საპატრიარქოსთან მხოლოდ ადმინისტრაციული კონტრაქტის დროებით განწყვეტას, რაც არ ნიშნავდა დედაეკლესიასთან კანონიკური და სულიერი კავშირის განწყვეტას. მიუხედავად ასეთი განცხადებისა, 1931 წლის თებერვალში კანონიკის სრული დარღვევით მიტროპოლიტი ევლოგი გადავიდა კონსტანტინეპოლის პატრიარქის იურისდიქციაში. კონსტანტინეპოლის პატრიარქმა დასავლეთ ევროპაში არსებული რუსული სამწყსოების მართვის მიზნით შექქმნა „**დასავლეთ ევროპის რუსული სამწყსოების დროებითი ეგზარქატი**“. ეგზარქატი თვითმმართველობის უფლებით სარგებლობდა. ყოველივე ამას მიტროპოლიტ სერგის პროტესტი მოჰყვა, თუმცა მას შედეგი არ გამოუღია.

1933 წლის 16 აგვისტოს საბოლოოდ გაუქმდა ჩრდილო ამერიკის ეპარქიის ავტონომია. ეპარქიის მმართველი მიტროპოლიტი **პლატონი** გადააყენეს. 1933 წელს ჩრდილო ამერიკაში გაიგზავნა მიტროპოლიტი **ბენიამინი (ფედჩენკო)**. მიტროპოლიტი პლატონი და მისი მხარდამჭერი სამღვდელოება არ დაემორჩილა მიტროპოლიტ სერგისა და დროებითი საღვთო სინოდის გადაწყვეტილებას. დაიწყო კონფლიქტი, რომელიც 1970 წლამდე გაგრძელდა. 1970 წელს



მოსკოვის საპატრიარქომ ამერიკის სამიტროპოლიტო ოკრუგს ავტონომია უბოძა.

1933 წლის აპრილში მიტროპოლიტმა სერგიმ სერბეთის ქალაქ კარლოვიცეში მყოფ რუს საეკლესიო იერარქებთან მოლაპარაკებაში შუამდგომლობა სთხოვა სერბეთის პატრიარქს. კარლოვიცეში მყოფმა „საზღვარგარეთის რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ“ მოსკოვის საპატრიარქოს პირობები არ მიიღო. 1934 წელს მიტროპოლიტმა სერგიმ და დროებითმა საღვთო სინოდმა კარლოვიცეში მყოფ საეკლესიო იერარქებსა და სხვა სასულიერო პირებს ღვთისმსახურება აუკრძალა და მათი საეკლესიო სასამართლოსათვის გადაცემა დაადგინა.

რუსეთის პატრიარქის ტახტის მონაცვლე 1925 წლიდან მიტროპოლიტი პეტრე (პოლიანსკი) იყო. რეალურად პატრიარქის ტახტის მონაცვლის ფუნქციას იგი რამდენიმე თვე – 1925 წლის 30 მარტიდან (12 აპრილიდან) 27 ნოემბრამდე (10 დეკემბრამდე) ასრულებდა. მიუხედავად ამისა, 1936 წლის დეკემბრამდე რუსეთის ეკლესიებში ღვთისმსახურებისას მიტროპოლიტ პეტრეს სახელი იხსენიებოდა. რუსეთის ეკლესიის რეალურ გამგებელს, პატრიარქის ტახტის მონაცვლის მოადგილეს მიტროპოლიტ სერგის (სტრაგოროდსკის) 1927 წლიდან მიტროპოლიტ პეტრესთან ურთიერთობა არ ჰქონია.

1934 წლის 27 აპრილს პატრიარქთან არსებულმა დროებითმა საღვთო სინოდმა სხვა საეკლესიო იერარქების (სულ 21 იერარქის) მონაწილეობით მიტროპოლიტ სერგის მიანიჭა ტიტული: „უნ-მიდესი მიტროპოლიტი მოსკოვისა და კოლომენსკოესი“ და მეორე პანაღეას ტარების უფლება მიეცა. 1936 წლის 27 დეკემბერს, მიტროპოლიტ პეტრეს გარდაცვალების შემდეგ (1936 წლის 11 ნოემბერი), ძალაში შევიდა აქტი პატრიარქის ტახტის მონაცვლის უფლებისა და მოვალეობას უწმიდეს მიტროპოლიტ სერგისათვის გადაცემის თაობაზე.

1939 წელს საბჭოთა კავშირმა დაიპყრო დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია, 1940 წელს – ლიტვა, ლატვია და ესტონეთი. დაპყრობილ ტერიტორიაზე ცხოვრობდა რამდენიმე მილიონი მართლმადიდებელი, მოქმედებდა უამრავი ეკლესია. დასავლეთ



თავი მესამე

რუსეთის ეკლესია 1941-1945 წლებში

1941 წლის 22 ივნისს დაიწყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომი. უკვე სერიოზულად დასუსტებულმა (სმენა ჰქონდა დაქვეითებული, უჭირდა გადაადგილება) პატრიარქის ტახტის მონაცვლემ, მოსკოვისა და კოლომენსკოეს უნმიდესმა მიტროპოლიტმა **სერგიმ (სტრაგოროდსკიმ)** იმავე დღეს დაწერა ეპისტოლე, რომელიც მთავრდებოდა სიტყვებით:

„ქრისტეს ეკლესია ლოცვა-კურთხევას აძლევს ყველა მართლმადიდებელს ჩვენი სამშობლოს საზღვრების დასაცავად.

ღმერთი გამარჯვებას გვიბოძებს!“

ომის პირველი დღიდანვე რუსეთის ეკლესიაში არ შეუწყვეტია ლოცვა, სამღვდლოება გულმხურვალედ ევედრებოდა ღმერთს და მტრის ძლევაში შემწეობას სთხოვდა. ლოცულობდა მრევლი.

1941 წლის 22 ივნისის ეპისტოლის შემდეგ მიტროპოლიტმა სერგიმ კიდევ 23 ეპისტოლე გაუგზავნა სამღვდლოებას და მრევლს. ამ ეპისტოლეთა საერთო აზრი ასეთი იყო: ღმერთის შეწევნით საბოლოო გამარჯვება საბჭოთა კავშირს დარჩებოდა.

1941 წლის შემოდგომაზე შექმნილი უმძიმესი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამო ხელისუფლებამ მიტროპოლიტ სერგის ქალაქ ჩკალოვში (ორენბურგში) გადასვლა შესთავაზა. მიტროპოლიტმა სერგიმ ქალაქ **ულიანოვსკში** გადასვლა ითხოვა. ამ ქალაქში იმყოფებოდა იგი 1941 წლის 19 ოქტომბრიდან 1943 წლის ზაფხულის ბოლომდე. ულიანოვსკში გადავიდა რამდენიმე საეკლესიო იერარქიც.

მიტროპოლიტ სერგის მოწოდების შემდეგ მრევლმა დაიწყო შეწირულობათა შეგროვება. 1941 წელს სულ რამდენიმე თვეში ქალაქ გორკის (ნიჟნი ნოვგოროდის) სამების ტაძრის მრევლმა ერთ მილიონ მანეთზე მეტი გადარიცხა თავდაცვის ფონდში. როცა ამის შესახებ მიტროპოლიტ სერგის წერილობითი ცნობა წარუდგინეს,

მან ასეთი რეზოლუცია დაადო: „ყოჩაღ! ნიჟინ ნოვგოროდმა არ შეარცხვინა მინინის ხსოვნა“. 1943 წელს ქალაქ სარატოვის მრეწველმა თავდაცვის ფონდში გადარიცხა 2 მილიონ მანეთზე მეტი, ქალაქ ორიოლის მრეწველმა – 2 მილიონ მანეთზე მეტი. სულ 1941-1945 წლებში რუსეთის ეკლესიის მრეწველმა თავდაცვის ფონდში გადარიცხა რამდენიმე ასეული მილიონი მანეთი. 1944 წლის დამდეგს რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ არმიას გადასცა საკუთარი სახსრებით შექმნილი მთელი სატანკო კოლონა.

ომმა ისევ დაძაბა ვითარება რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. ვოლინის ვლადიმირის ეპისკოპოსმა **პოლიკარპემ (სიკორსკიმ)** გერმანიის მიერ უკრაინის დაპყრობის შემდეგ, 1941 წელს, კავშირი განწყვიტა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია გამოაცხადა. ეპისკოპოსი პოლიკარპე თავის თავს **უკრაინის ავტოკეფალური ეკლესიის „ადმინისტრატორს“ უწოდებდა**. 1942 წლის 5 თებერვალს მიტროპოლიტმა სერგიმ ეპისტოლეთი მიმართა უკრაინის მართლმადიდებელ მოსახლეობას და ამხილა ეპისკოპოს პოლიკარპეს არაკანონიკური მოქმედება. იმავედროულად მიტროპოლიტმა სერგიმ ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები დაითანხმა, რათა ეპისკოპოს პოლიკარპეს საქმე საეკლესიო სასამართლოს გადასცემოდა. მიტროპოლიტმა სერგიმ ეპისკოპოს პოლიკარპეს აუკრძალა ღვთისმსახურება და ჩამოართვა ეპარქიის მართვის უფლება. 1942 წლის 28 მარტს ულიანოვსკში გაიმართა საეკლესიო იერარქთა კრება. კრებამ ეპისკოპოს პოლიკარპეს მისცა ორი თვის ვადა, რათა ამ ხნის მანძილზე მოსკოვის საპატრიარქოს წინაშე თავი ემართლებინა. თუ ეპისკოპოსი პოლიკარპე ორი თვის განმავლობაში თავის მართლებას ვერ მოახერხებდა დაკარგავდა საეპისკოპოსო კათედრას და ბერობის უფლებას. უკრაინაში ვითარების ბოლომდე ნორმალიზება ვერ მოხერხდა. ეპისკოპოს პოლიკარპეს მომხრეებმა ომის შემდეგ საზღვარგარეთ შეჰქმნეს **„უკრაინის მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესია საზღვარგარეთ“**.

ომი დროს სეპარატისული მისწრაფებები უკრაინის გარდა სხვაგანაც გაჩნდა. ესტონეთში მიტროპოლიტმა **ალექსანდრემ (პაულიუსიმ)** სამწყსოთა ნაწილთან ერთად კავშირი განწყვიტა მოსკოვის საპატრიარქოსთან და ბალტიისპირეთში მოსკოვის საპატრიარქოს ეგზარქოსთან. იგივე მოიმოქმედა ლატვიის მიტროპოლიტმა

ავგუსტინმა (პეტერსონმა). უკრაინაში ეპისკოპოს პოლიკარპეს გარდა, მოსკოვის საპატრიარქოსთან კავშირი განყვიტნ ეპისკოპოსმა **თეოფილემ (ბულდოვსკიმ).**

ომის წლებში უკრაინის ეკლესიას სათავეში ედგა კიევისა და გალიჩის მიტროპოლიტი **ნიკოლოზი (იარუშევიჩი).** გერმანიის ჯარების მიერ კიევის დაკავების შემდეგ (1941 წლის 19 სექტემბერი) მიტროპოლიტი ნიკოლოზი მოსკოვის ეკლესიებში ეწეოდა ღვთისმსახურებას.

ალყაშემორტყმული ლენინგრადი არ დაუტოვებია ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტი **ალექსის (სიმანსკის).** ბლოკადის 900 დღე მან თავის მრევლთან ერთად გაატარა.

ომის წლებში შესაძლებელი გახდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობის ნორმალიზაცია. ამაში დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა **კალისტრატემ (ცინცაძემ)** და რუსეთის პატრიარქმა უწმიდესმა **სერგიმ (სტრაგოროდსკიმ).** როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის ეკლესიის უწმიდესმა სინოდმა არ სცნო 1917 წლის მარტში გამოცხადებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. 1943 წლის 28 ოქტომბერს თბილისს ეწვია რუსეთის პატრიარქის სერგის ოფიციალური წარმომადგენელი, სტავროპოლისა და პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსი **ანტონი.** მოლაპარაკებების შემდეგ რუსეთის ეკლესიამ საეკლესიო კანონიკის სრული დაცვით ოფიციალურად ცნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და ამის თაობაზე აცნობა აღმოსავლეთის მართლმადიდებელ პატრიარქებს.

ავადმყოფობისაგან ძალზე დასუსტებულმა პატრიარქის ტახტის მონაცვლემ, მოსკოვისა და კოლომენსკოეს მიტროპოლიტმა სერგიმ (სტრაგოროდსკიმ) 1941 წლის 12 ოქტომბერს თავის მემკვიდრედ დანიშნა ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტი **ალექსი (სიმანსკი).**

1943 წლის ზაფხულის დამლევს მიტროპოლიტი სერგი ულიანოვსკიდან მოსკოვში დაბრუნდა. 1943 წლის 4 სექტემბერს იოსებ სტალინმა მიიღო პატრიარქის ტახტის მონაცვლე, მოსკოვისა და კოლომენსკიეს მიტროპოლიტი **სერგი (სტრაგოროდსკი),**

ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტი **ალექსი (სიმანსკი)** და პატრიარქის ეგზარქოსი უკრაინაში, კიევისა და გალიჩის მიტროპოლიტი **ნიკოლოზი (იარუშევიჩი)**. ამ შეხვედრაზე გადაწყდა რუსეთის ეპისკოპოსების კრების მოწვევა და პატრიარქის არჩევა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსების კრება შედგა მოსკოვში 1943 წლის 8 სექტემბერს. კრებას ესწრებოდა 19 იერარქი (3 მიტროპოლიტი, 1 არქიეპისკოპოსი, 5 ეპისკოპოსი). ეპისკოპოსების კრებამ რუსეთის პატრიარქად აირჩია პატრიარქის ტახტის მონაცვლე, მოსკოვისა და კოლომენსკოეს მიტროპოლიტი **სერგი (სტრაგოროდსკი)**. 1943 წლის 12 სექტემბერს შედგა ახლადარჩეული პატრიარქის ინტრონიზაცია.

1943 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესიაზე კონტროლის უკეთ განხორციელების მიზნით შექმნა ახალი ორგანო – **სსრკ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეთა საბჭო**. საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა **გ. გ. კარპოვი**.

1941-1945 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოქმედი ეკლესიების რაოდენობა, გაიზარდა ეპარქიების რიცხვიც. 1944 წლის გაზაფხულისათვის რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში დაახლოებით 40 ეპარქია არსებობდა.

გაუმჯობესდა საეკლესიო ლიტურატურის გამოცემის საქმე. 1943 წლის სექტემბერში განახლდა „**მოსკოვის საპატრიარქოს ჟურნალის**“ გამოცემა. ჟურნალის პირველი რედაქტორი პატრიარქი სერგი იყო.

1943 წლის ოქტომბერში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთო სინოდმა დაამტკიცა სასულიერო განათლების სისტემის პროექტი. პროექტის მიხედვით მოსკოვში უნდა გახსნილიყო **მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო ინსტიტუტი**, ხოლო ეპარქიებში – **საღვთისმეტყველო კურსები**.

რუსეთის პატრიარქი სერგი (სტრაგოროდსკი) გარდაიცვალა 1944 წლის 2 (15) მაისს. ჯერ კიდევ 1941 წელს პატრიარქმა სერგიმ თავის მემკვიდრედ დაასახელა ლენინგრადისა და ნოვგოროდის



მიტროპოლიტი **ალექსი (სიმანსკი)**. 1944 წლის 21 მაისს მიტროპოლიტმა ალექსიმ მოსკოვში პირველად სწირა პატრიარქს ტახტის მონაცვლის რანგში.

1944 წლის 21-23 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსების კრება. კრებამ დაამტკიცა პატრიარქის არჩევის წესი. 1945 წლის 31 იანვარს მოსკოვში, ამალღების ტაძარში, გაიხსნა **რუსეთის საეკლესიო კრება**. რუსი საეკლესიო იერარქების, თეთრ სამღვდლოებას და ერისკაცთა გარდა საეკლესიო კრებას ესწრებოდნენ: ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი **ქრისტეფორე**, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **კალისტრატე**, ასევე სხვა ავტოკეფალიური ეკლესიების (კონსტანტინეპოლის, იერუსალიმის, სერბეთის, რუმინეთის) წარმომადგენლები, სულ 204 კაცი.

1945 წლის 2 თებერვალს გაიმართა რუსეთის პატრიარქოს არჩევნები. პატრიარქად არჩეულ იქნა მიტროპოლიტი **ალექსი (სიმანსკი)**. ახლადარჩეული პატრიარქის ინტრონიზაცია შედგა 4 თებერვალს.

რუსეთის ეკლესიის უმადესმა სწოლმა არ სცნა 1917 წლის მარტის განცხადებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საფუძველად გამოქვეყნებულ მანდატს. პატრიარქის არჩევნების შემდეგ, ალექსი (სიმანსკი) დაამტკიცა რუსეთის ეკლესიის საეკლესიო კრების მიერ დადგენილი წესები, რომლებიც უზრუნველყოფდა პატრიარქის არჩევნების პროცესს. ალექსი (სიმანსკი) დაამტკიცა რუსეთის ეკლესიის საეკლესიო კრების მიერ დადგენილი წესები, რომლებიც უზრუნველყოფდა პატრიარქის არჩევნების პროცესს. ალექსი (სიმანსკი) დაამტკიცა რუსეთის ეკლესიის საეკლესიო კრების მიერ დადგენილი წესები, რომლებიც უზრუნველყოფდა პატრიარქის არჩევნების პროცესს.

1943 წლის ნოემბერში "და დღეს" მიტროპოლიტი სერგი ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის (სიმანსკი) რეზოლუციის მიხედვით, პატრიარქის არჩევნების პროცესში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეს ყველა ავტოკეფალიური ეკლესიის წარმომადგენლებს.

წინასიტყვა 3

თავი პირველი

რუსეთის ეკლესია XX საუკუნის დამდეგს.
საეკლესიო კრების წინა თათბირი 5

თავი მეორე

1917-1918 წლების რუსეთის საეკლესიო
კრება 24

თავი მესამე

რუსეთის ეკლესია 1918-1925 წლებში 33

თავი მეოთხე

რუსეთის ეკლესია 1925-1941 წლებში 60

თავი მესხუთე

რუსეთის ეკლესია 1941-1945 წლებში 80

ივლიშვილი ანატოლი

საქართველოს ეკლესიის მართლმადიდებელი
სინოდის ბიბლიოთეკის განყოფილება
www.nplg.gov.ge

ინფორმაცია



ქართული
ბიზნისი

მიტროპოლიტი ალექსი (სიმანსკი). 1944 წლის 21 მარტს
ოლიტმა ალექსიმ მოსკოვი მიიწვიეს სწრაფ პატრიარქის
მონაწილის რანგში.

დეტალები

1944 წლის 21-22 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსების კრება. კრებამ დაამტკიცა პატრიარქის არჩევის წესი. 1945 წლის 31 იანვარს იგი ამოქმედების ტაძარში, გასცემს დასრულებულ პატრიარქის არჩევნების შედეგს. 1945 წლის 2 თებერვალს ალექსიანდრე ჯიქურიძე დასრულიდა აფრიკის მამა-მღვდლის კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე. 1945 წლის 2 თებერვალს ალექსიანდრე ჯიქურიძე დასრულიდა აფრიკის მამა-მღვდლის კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე.

საგამომცემლო ჯგუფი

დარეჯან მზარელუა

ნინო ყულოშვილი

ილია ხელაია

თამთა ჯანაშია

ალექსანდრე ჯიქურიძე

1945 წლის 2 თებერვალს ალექსიანდრე ჯიქურიძე დასრულიდა აფრიკის მამა-მღვდლის კათოლიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე.

დეტალები

ინფორმაცია 1491-3591 დეტალები

დეტალები

ინფორმაცია 3291-1491 დეტალები

გამომცემლობა არტანუჯი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 17 ბ,
25-05-22, 91-22-83, 8(93) 25-05-22
www.artanuji.ge artanuji@artanuji.ge

K 257.965
3

Handwritten text, possibly a title or list, in a dark ink on a light background. The text is arranged in two columns, with the right column being more legible than the left. The characters appear to be in a non-Latin script, possibly Georgian or Armenian. The right column contains several lines of text, including what looks like 'საქართველო' (Georgia) and 'საქართველოს' (of Georgia). The left column is less distinct but appears to contain similar text.